

2008 წლის კრიზისი საქართველოში
წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი

დაფუძნებულია 2008 წლის 15 ოქტომბერს

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, ქვეყანაში შექმნილმა მძიმე რეალობამ და ახალმა გამოწვევებმა დაგვარწმუნა ისეთი პროფესიული კლუბის დაფუძნების მიზანშეწონილობაში, რომელიც გააერთიანებს პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალური სფეროს, უსაფრთხოების, სამხედრო საქმის, კონფლიქტოლოგიის და ქვეყნისთვის სხვა აქტუალური საკითხების ანალიზში აქტიურად ჩართული დამოუკიდებელი ექსპერტების ძალისხმევას.

კლუბის საქმიანობა დაეყრდნობა პროფესიონალიზმის, თანასწორობის, გამჭვირვალობისა და ზღურავის პრინციპებს.

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრები არ არიან სახელმწიფო მოხელეები, პოლიტიკურ პარტიათა წევრები.

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის ამოცანაა უფრო აქტიურად ჩაერთოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შეფასებათა პროცესში, გახადოს ეს პროცესი საჯარო და მასში თანამონაწილეობის შესაძლებლობა მისცეს დაინტერესებულ საზოგადოებას, შეეცადოს არსებული ინტელექტუალური პოტენციალის (მათ შორის საერთაშორისო პოტენციალის) კონცენტრაციას შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის ძიებისათვის. აგრეთვე, დიალოგის ინიცირებას სამთაფრობო და საერთაშორისო სტრუქტურებთან ქვეყნის წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობად.

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის დაფუძნების ინიციატორები არიან:

- ზურაბ აბაშიძე** საერთაშორისო ურთიერთობების საბჭო
- მამუკა არეშიძე** კავკასიის სტრატეგიული კვლევების ცენტრი
- არჩილ გეგეშიძე** სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდი
- მერაბ კაკულია** პოლიტიკისა და სამართლებრივი რჩევების ქართულ-ევროპული ცენტრი
- ლადო პაპავა** სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდი
- რამაზ საყვარელიძე** საერთაშორისო პროექტების ცენტრი
- ირაკლი სესიაშვილი** ასოციაცია სამართალი და თავისუფლება
- ლაშა ტულუში** გაზეთი „რეზონანსი“
- ზაქარია ქუცნაშვილი** ასოციაცია კანონი ხალხისათვის
- თამარ ჩიქოვანი** ტელეკომპანია „მაესტრო“
- სოსო ცისკარიშვილი** ევროპული ინტეგრაციის ფორუმი, ასოციაცია „მსოფლიო ლაბორატორია“
- გიორგი ხუციშვილი** კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი
- გია ხუნაშვილი** საზოგადოებრივი პროექტების ცენტრი

თავისი პირველი ღონისძიებები დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბმა გამართა საჯარო მოსმენების ფორმატით შემდეგ თემებზე: „საქართველოს ეკონომიკა ომამდე და ომის შემდეგ“; „ქართული ჯარი - აგვისტომდე, აგვისტოში, აგვისტოს შემდეგ“; „ჰუმანიტარული კატასტროფა: რეალობა და პერსპექტივები“.

სარჩევი

შესავალი.....	5
არჩილ გეგეშიძე ავვისტოს მოვლენები: კრიზისის საფუძველი, მიზეზები და აღმოფხვრის პერსპექტივა.....	6
ირაკლი სესიაშვილი 2004-2008 წლებში საქართველოს თავდაცვის სისტემაში მიმდინარე პროცესების ანალიზი	10
შალვა ფიჩხაძე ნატო-საქართველო: მოლოდინი, რეალობა, პერსპექტივა.....	18
ზურაბ აბაშიძე საქართველოს საგარეო პოლიტიკის შეცდომები რუსეთთან მიმართებაში	23
ვლადიმერ პაპავა საქართველოს ეკონომიკა: შეცდომები, საფრთხეები, მათი დაძლევის გზები.....	26
მერაბ კაკულია მაკროეკონომიკური საფრთხეების გაძლიერება რუსული აგრესიის შემდეგ და მათი ნეიტრალიზაციის შესაძლებლობა	38
გუგული მალრაძე სოციალური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი	44
თამარ ჩიქოვანი ქართული მედიის პრობლემები	49
სოსო ცისკარიშვილი ყალბი დემოკრატია — სისტემური სახელმწიფო კრიზისის სათავე.....	52
ზაქარია ქუცნაშვილი, ვახტანგ ხმალაძე საქართველოს ხელისუფლების მოქმედების სამართლებრივი შეფასება 2008 წლის ავვისტოს მოვლენებისას	56
არჩილ გეგეშიძე, ვლადიმერ პაპავა ომისშემდგომი საქართველო განვითარების ახალი მოდელის ძიებაში	66

კრებული გამოიცა ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, რაც არ ნიშნავს ფონდის მიერ პუბლიკაციის ავტორთა მოსაზრებების გაზიარებას.

შესავალი

2008 წლის აგვისტოს ბოლოს, საქართველოში შემოჭრილი რუსეთის ჯარის მიერ აქტიური საომარი მოქმედებების დასრულებიდან სამი კვირის შემდეგ, ოცამდე ქართველი დამოუკიდებელი ექსპერტი - პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, მედიის ცნობილი ანალიტიკოსი - გაერთიანდა დროებით ჯგუფში, რათა ორდღიან ომში სამარცხვინო სამხედრო მარცხით, ასეულობით მეომრისა და მშვიდობიანი მოსახლის დაღუპვით, მტრის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიების სრული ოკუპაციით, უამრავი გადამწვარი სახლ-კარით, დევნილთა ახალი მრავალათასიანი ტალღით სასოწარკვეთილი, ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფი ან მიზანმიმართულად დეზინფორმირებული მოსახლეობისთვის შეეთავაზებინა საკუთარი ხედვა, თუ რა მოხდა სინამდვილეში ქვეყანაში. რომელ და ვისი შეცდომებისა თუ დანაშაულებათა შედეგს ვიმკით, არსებობს თუ არა შექმნილი მწვავე კრიზისიდან გამოსავალი.

ვინაიდან აგვისტოს ომში რუსეთის ქმედებათა შეფასებისას ექსპერტთა მოსაზრებები (გარდა რუსეთის საომარი მზადყოფნისა და მოვლენათა განვითარების ქრონოლოგიის შეფასებებისა), დიდად არ განსხვავდებოდა სახელისუფლებო ხედვისაგან, წინამდებარე ნაშრომში აქცენტი გაკეთდა საქართველოს მთავრობის მიერ სხვადასხვა დროს გადადგმული ან არგადადგმული ნაბიჯების ანალიზზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრებზე გამოითქვა აზრი, რომ “ცხელ გულზე” სწრაფი დასკვნების გამოტანის შემთხვევაში სუბიექტურობისა და ემოციურობის საფრთხე, შესაძლოა, გაზრდილიყო. ამიტომ, დოკუმენტზე მუშაობამ ოთხ თვეს გასტანა, რამაც აგვისტოს შემდეგ განვითარებული ზოგიერთი მოვლენის შეფასებაც გახადა შესაძლებელი.

პარალელურად, საზოგადოების მიერ გამოვლენილი მაღალი ინტერესის გამო, ნაშრომის დასრულებამდე, მისი ზოგიერთი ნაწილი ფართო წინასწარი განხილვის თემა გახდა საჯარო მოსმენების ფორმატში.

საბოლოოდ, შემოთავაზებულმა დოკუმენტმა მიიღო ექსპერტების ორიგინალურ სტატიათა კრებულის სახე, რომელიც მოიცავს საქართველოში უკანასკნელ წლებში დაწყებული და 2008 წელს გამწვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, ფინანსური, სოციალური, სამხედრო, ჰუმანიტარული, ინფორმაციული კრიზისის სხვადასხვა ასპექტს, მათი შესაძლო დაძლევის ხედვას.

ანალოგიური ანალიტიკური საქმიანობის კოორდინირებული, ეფექტური გაგრძელებისა და შემდგომი თანამშრომლობის სურვილით, ამ დოკუმენტზე მომუშავე ექსპერტთა უმრავლესობამ დააფუძნა “დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი”.

“დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი” მადლობას უხდის ფრიდრიხ ებერტის ფონდს წინამდებარე ნაშრომის დაბეჭდვისა და თარგმნის დაფინანსებისთვის.

სოსო ცისკარიშვილი
დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი

ავისტოს მოვლენები: კრიზისის საფუძველი, მიზეზები და აღმოფხვრის პერსპექტივა

კრიზისის საფუძველები

2008 წლის ავისტოში სამხრეთ ოსეთში დაწყებული საომარი მოქმედებები სწრაფად გადაიზარდა გლობალური მასშტაბის კრიზისში. კრიზისის აღმოფხვრა ურთულესი ამოცანაა, რაც მისი სამგანზომილებიანი კონფლიქტოგენური ხასიათით არის განპირობებული. ერთის მხრივ, კრიზისის საფუძველს წარმოადგენს ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური დაპირისპირება, რასაც ათწლეულების ისტორია აქვს და თავისი ფესვებით კავკასიაში რუსეთის, და შემდგომ საბჭოთა კავშირის იმპერიულ პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. დღევანდელი დაპირისპირების სიმწვავე მნიშვნელოვნად განაპირობა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარმა სისხლიანმა კონფლიქტებმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რის გამოც ეს დაპირისპირება არსით ეთნო-პოლიტიკური ხასიათისაა. მეორეს მხრივ, კრიზისის აპირობებს რუსეთ-საქართველოს შორის გართულებული ურთიერთობები, რაც სათავეებს გვიანდელი “პერესტროიკის” პერიოდში იღებს. რუსეთის დღევანდელი ელიტის აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლას (ანუ, რუსეთის ძლიერების დაკნინებას — ა.გ.) ბიძგი სხვასთან ერთად გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში დაწყებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მისცა. გარდა ამისა, საქართველოს მიერ არჩეული დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკურ სივრცეში ორიენტაციაზე აღებული კურსი იმავე ელიტაში რუსეთისადმი მტრულ და სახიფათო პოლიტიკად აღიქმება. მიიჩნევა, რომ საქართველოში დასავლური ყაიდის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ამავე დროს ნატო-ს წევრიც იქნებოდა, ეგზისტენციალურ საფრთხეს შეუქმნიდა პოსტ-საბჭოთა სივრცეში რუსეთის გავლენის შენარჩუნებასა და ნეოიმპერიულ ამბიციებზე დაფუძნებულ ზესახელმწიფოდ აღორძინების სტრატეგიის განხორციელებას. ამგვარი აღქმის გამო საქართველო რუსეთის საზოგადოებრივ ცნობიერებაში ერთ-ერთ ყველაზე მტრულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ვინაიდან, საქართველოსთვის არჩეული კურსით სვლაში ხელის შეშლა ვერ მოხერხებდა ვერც ეკონომიკური სანქციების დაწესებით და ვერც პოლიტიკურ სპექტრში “მეხუთე კოლონის” გაძლიერებით, ყველაზე ეფექტურ გზად ისევ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტების მანიპულირებით საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევა იქნა მიჩნეული. მესამეს მხრივ, ცივი ომის შედეგებით უკმაყოფილო რუსეთი, რომელიც არასრულფასოვნების კომპლექსით არის შეპყრობილი, საქართველოს დაჩაგვრით ცდილობს შური იძიოს დასავლეთზე და საერთაშორისო ურთიერთობების აღიარებული ნორმებისა და სტანდარტების უხეში დარღვევით მიაღწიოს მსოფლიო მართლსწესრიგის შეცვლას. რუსეთის ამგვარი პოზიცია სერიოზული გამოწვევაა დასავლეთისთვის და იმისდა მიხედვით, რამდენად მოხერხდება რუსეთის ცივილური ქცევის ჩარჩოებში დაბრუნება, შეიძლება ვივარაუდოთ დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების შემდგომი დაძაბვის თავიდან აცილება.

კრიზისის უშუალო მიზეზები

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ ვინ დაიწყო ომი, საქართველომ თუ რუსეთმა? მართალია, ისტორიოგრაფიისთვის მნიშვნელოვანია ზუსტად დადგინდეს რა მოხდა 7 ავისტოს ღამეს, მაგრამ კრიზისის შემოქმედი პოლიტიკური სუბიექტების პასუხისმგებლობის სამართლიანი განსაზღვრისთვის აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ის პროცესები, რაც წინ უძღოდა საომარი მოქმედებების დაწყებას.

ამგვარი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა საბოლოო დასკვნაში მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ის ცდომილება, რასაც მხარეების მიერ პროპაგანდისტული მიზნით სიმართლის შეგნებული დამახინჯება ან ტექნიკური ხასიათის ინფორმაციის არასრულყოფილება შეიძლება განაპირობებდეს. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კრიზისის წინაპირობების შექმნაში თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც რუსეთისა და საქართველოს მთავრობებს, ისე სეპარატისტული ადმინისტრაციის ხელმძღვანელებსა და ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, დასავლეთის ცალკეულ სახელმწიფოებს.

რუსული ხაფანგი

ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის პირველი ვადის ბოლოსთვის რუსეთისთვის ცხადი გახდა, რომ საქართველოსა და უკრაინაში მომხდარი “ფერადი რევოლუციებისა” და ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების ფონზე სულ უფრო საეჭვო ხდებოდა პოსტ-საბჭოთა სივრცეზე გავლენის შენარჩუნება. მართლაც, საქართველომ არსებითად დააჩქარა ნატო-ში ინტეგრაციისთვის აუცილებელი რეფორმები და, პარალელურად, სცადა ადგილიდან დაეძრა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტების მოგვარების “გაყინული” პროცესები. კონფლიქტების “გალობა” პირველ რიგში სამშვიდობო პროცესზე რუსეთის მონოპოლიური უფლებებისა და როლის მკვეთრად შემცირებას გულისხმობდა. ქართულმა დიპლომატიამ შეძლო ამ საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების მხარდაჭერის მოპოვება. რუსეთისთვის ეს აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც გადაწყვიტა თავად საქართველო “გაეტეხა” და ამისთვის 2006 წელს უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა. მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ რუსეთი ამ გზით ვერ მოახერხებდა ქვეყანაში სოციალური არეულობის გამონევენას და პოლიტიკური კურსის შეცვლას, გადაწყდა სხვა გზა გამოძებნილიყო. დროც აღარ ითმენდა: ერთის მხრივ, სულ უფრო რთული ხდებოდა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული კონფლიქტების მოგვარებაზე ორიენტირებული სამშვიდობო ინიციატივების “მოგერიება”, მეორეს მხრივ 2008 წლის გაზაფხულზე, კერძოდ ბუქარესტის ნატო-ს სამიტზე, უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პერსპექტივები. ერთადერთი, რაც რუსეთს შეეძლო სასწრაფოდ მოემოქმედა, იყო საქართველოს სამხედრო პროვოკაციაში ჩათრევა. ეს კი მხოლოდ კონფლიქტის ზონებში სიტუაციის უკიდურესი დაძაბვით იყო შესაძლებელი. რუსეთმა შესაბამისი სამზადისი მალევე დაიწყო: 2008 წლის მარტში ცალმხრივად გამოვიდა დსთ-ს მიერ აფხაზეთზე 1996 წლის 19 იანვარს დანესებული ეკონომიკური და სამხედრო ემბარგოს რეჟიმიდან; იმავე წლის აპრილში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაიწყო ფართომასშტაბიანი ურთიერთობები, რომლის ფარგლებშიც განახორციელა აფხაზეთში სარკინიგზო-საინჟინრო ჯარებისა და სადესანტო ნაწილების, აგრეთვე მძიმე შეიარაღების შეყვანა; ჯავაში სამხედრო ბაზის მშენებლობა; პარალელურად საქართველოს საზღვრებთან ჩაატარა 58-ე არმიის ვარჯიში. აღსანიშნავია, რომ ვარჯიშის დასრულების შემდეგ ჯარები მუდმივი დისლოკაციის ადგილებში არ დაბრუნებულან; 58-ე არმია საბრძოლო მასალით, საწვავითა და საკვებით მომარაგებული საქართველოს საზღვართან მუდმივი მზადყოფნის მდგომარეობაში დარჩა.

სეპარატისტების სიჯიუტე

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობები, რუსეთთან შეთანხმებით, თბილისთან ურთიერთობებში უაღრესად ხისტ პოზიციას იკავებდნენ. ისინი სისტემატურად ამბობდნენ უარს სამშვიდობო ინიციატივების განხილვაზე, რომელიც საქართველოს მთავრობის ან მიუკერძოებელი მესამე მხარეების მიერ იყო შემუშავებული. ბოლო ასეთი შემთხვევა იყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის სამშვიდობო გეგმის “ჩაგდება”, რომელიც კონფლიქტის მხარეებისთვის 2008 წლის ივნისში იქნა წარდგენილი. ამასობაში, სეპარატისტული მთავრობები აგრძელებდნენ რუსეთიდან მომდინარე სხვა ინსტრუქციების თვალდახუჭულ შესრულებას. კერძოდ, ხელოვნური თუ არაარსებითი საბაზის მოშველიებით უარს ამბობდნენ თბილისთან მოლაპარაკებებზე, ან გამომწვევი სიჯიუტით მოითხოვდნენ მოლაპარაკებების და სამშვიდობო ოპერაციების უკვე ხავსმოდებული ფორმატების შენარჩუნებას. რაც მთავარია, სეპარატისტული მთავრობები ხელს არ უშლიდნენ რუსეთს კონფლიქტის ზონებში საქართველოსთვის უკიდურესად გამომწვევი ფორმით განხორციელებინა სამხედრო პოტენციალის არალეგალური კონცენტრაცია.

საქართველოს მცდარი სტრატეგიული გათვლა

საქართველოს მთავრობის მთავარი სტრატეგიული შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მან შესაძლებლად ჩათვალა რუსეთის მხრიდან პოტენციური ობსტრუქციის საფრთხის ფონზე დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ნატო-ში ინტეგრაციის ამოცანების ერთდროული, პარალელურ რეჟიმში გადაწყვეტა. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო კონფლიქტების მოგვარების სწორი ხედვის ჩამოყალიბება.

მთავარი ნაკლი, რაც საქართველოს მთავრობის მიდგომას ახასიათებდა, მისი არათანმიმდევრულობა და მცდარ დაშვებებზე ორიენტირება იყო. აფხაზ და სამხრეთელ ოს სეპარატისტებთან პირდაპირი დიალოგის წარმართვის ნაცვლად, საქართველოს მთავრობა მათზე პირდაპირი თუ ირიბი ზეწოლის გზების მუდმივ ძიებაში იყო. ქართული მხარის სამშვიდობო ინიციატივები სეპარატისტებთან ნაბიჯ-ნაბიჯ დაახლოებაზე და ნდობის აღდგენაზე ორიენტირებული ღონისძიებების ნაცვლად აქცენტს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ერთიანი საქართველოს ფარგლებში სტატუსის განსაზღვრაზე აკეთებდა. ეს სეპარატისტებს დამატებით საბაზს აძლევდა უარი ეთქვათ მოლაპარაკებებზე და, შესაბამისად, ირიბად ხელს უწყობდა რუსეთის მხრიდან კონფლიქტის მხარეებს შორის კონფრონტაციის გაღვივებისკენ მიმართული გეგმის სისრულეში მოყვანას. აღნიშნულის ფონზე, საქართველოს მთავრობაში თანდათან გაძლიერდა კონფლიქტის ძალისმიერი გზებით მოგვარების მომხრეთა პოზიციები. სულ უფრო ნონადი ხდებოდა “ქორების” არგუმენტები საქართველოს შეიარაღებული ძალების სწრაფად გაძლიერების სასარგებლოდ, ასეთ ვითარებაში კი რუსეთის მიერ ინსპირირებულ პროვოკაციებზე თავის შეკავების თაობაზე დასავლეთის მხრიდან მომდინარე გამაფრთხილებელ გზავნილებზე წაყრუების საფრთხე სწრაფად იზრდებოდა. როგორც ჩანს, 2008 წლის ზაფხულში საქართველოს მთავრობაში უკვე მყარად იყო ჩამოყალიბებული აზრი იმის თაობაზე, რომ ქართულ არმიას შესწევდა ძალა პროვოკაციის ან ხელსაყრელი ვითარების შემთხვევაში ნებისმიერი სამხედრო ამოცანა გადაეწყვიტა.

დასავლეთის ზოზინი

დასავლეთი საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების პროცესში აქტიურად ჩართვისგან დიდხანს ითრევდა ფეხს. ერთის მხრივ მას “რუსეთის ფაქტორის” რიდი ჰქონდა, მეორეს მხრივ, არც იცოდა, რა უნდა ექნა. შედარებით აქტიურობდა შეერთებული შტატები, თუმცა მისი როლი, ძირითადად, საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივების პოლიტიკური მხარდაჭერით შემოიფარგლებოდა. რაც შეეხება ევროკავშირს, იგი კონფლიქტების “გაღების” თემით მხოლოდ **ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ესპ)** საქართველოს ჩართვის შემდეგ დაინტერესდა. თუმცა, ეს დაინტერესება არ იყო საკმარისად ძლიერი და ევროკავშირი ყოველთვის გაურბოდა კონფლიქტების მოგვარების საქმეში პირველხარისხოვანი როლის შესრულებას. ესპ-ის სამოქმედო გეგმის თაობაზე მოლაპარაკებების დროს არაერთი მწვავე დისკუსია გახდა საჭირო, რათა კონფლიქტების მოგვარების სფერო საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულიყო. მიუხედავად ამისა, ესპ-ის სამოქმედო გეგმაში ასახული ღონისძიებები მოკლებულია კონკრეტულებს. აღნიშნულია მხოლოდ, რომ “მოლაპარაკებების მექანიზმი უფრო ეფექტიანი უნდა გახდეს”, უნდა გააქტიურდეს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის როლი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და საქართველოს შიდა კონფლიქტების მოგვარების საკითხი შეტანილ იქნას ევროკავშირ-რუსეთის პოლიტიკური დიალოგის ფორმატში და ა.შ. ამგვარად, ესპ-ის სამოქმედო გეგმა კონფლიქტების მოგვარებაში ევროკავშირის როლის გაზრდის თვალსაზრისით კონკრეტულ ნაბიჯებს არ ითვალისწინებს. ნიშანდობლივია, რომ ხსენებული კუთხით ევროპელთა გააქტიურების პირველი სერიოზული მცდელობები 2008 წლის აპრილში გამართულ ნატო-ს სამიტს მოჰყვა. საქმე იმაშია, რომ ამ სამიტზე საქართველოსთვის ნატო-ში განწევრიანების სამოქმედო გეგმის მიცემის თაობაზე გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული და ეს, პირველ რიგში, ალიანსის წევრი ევროპული სახელმწიფოების ერთი ჯგუფის პოზიციის გამო მოხდა. სამწუხაროა, რომ ამ პოზიციის გამართლება ხდებოდა იმგვარი არგუმენტებით, რომელმაც რუსეთს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს სუვერენიტეტის გამოწვევი ფორმით შემლახავი ნაბიჯების გადადგმის ცდუნება შეუქმნა. მას შემდეგ, რაც ყველამ დაინახა, რუსეთი დღითიდღე როგორ ძაბავდა სიტუაციას კონფლიქტის ზონებში, ევროპელები სინდისის ქეჯნამ შეიპყრო და ევროკავშირის ფარგლებში კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით აქტიური ნაბიჯების გადადგმა გადაწყვიტეს: ჯერ ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა ბ-ნმა ხავიერ სოლანამ სცადა კონფლიქტის მხარეებს შორის შუამავლობისთვის ნიადაგის მოსინჯვა, მოგვიანებით კი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა შტაინმაიერმა რეგიონში სპეციალურად შემუშავებული სამშვიდობო გეგმა ჩამოიტანა. სამწუხაროდ, ეს ნაბიჯები დაგვიანებული აღმოჩნდა - რუსეთს, როგორც ჩანს, საკუთარი გეგმის განხორციელების მყარი გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა და ბ-ნების სოლანასა და შტაინმაიერის ინიციატივები მალევე “დამარხა”.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა შესაძლებელი გახადა საომარო მოქმედებების დაწყება სამხრეთ ოსეთში და, როგორც აღნიშნეთ, ამაში პასუხისმგებლობა მეტ-ნაკლებად ყველას ეკისრება.

რა გამოსავალია?

ავვისტოს კრიზისი, მისი ზეგავლენა რეგიონული თუ გლობალური უსაფრთხოების მდგომარეობაზე, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების ყურადღების ცენტრში. ინტერესი, პირველ რიგში, ოთხ ძირითად კითხვაზე პასუხის მოძიებას უკავშირდება: ა) მოხერხდება თუ არა საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის ნორმალური პროცესის აღდგენა და, აქედან გამომდინარე, დესტაბილიზაციის კერების სხვა ქვეყნებზე და რეგიონებზე გავრცელების თავიდან აცილება? ბ) მოხერხდება თუ არა გაძლიერებული და ავტორიტარული რუსეთის “მოთვინიერება” და საერთაშორისო ურთიერთობების ცივილურ ჩარჩოებში მოქცევა? გ) აღმოჩნდება თუ არა ქმედითუნარიანი ევროკავშირი და მის ხელთარსებული საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების ინსტრუმენტები ხსენებული ამოცანების გადაჭრისთვის? დ) როგორი უნდა იყოს ნატო-ს ადგილი და როლი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში ავვისტოში განვითარებული მოვლენების კონტექსტში? დღეს ამ კითხვებზე მზა პასუხები არ არსებობს, მაგრამ არავინ უარყოფს, რომ ჯერ კიდევ მომხდარის გააზრების პროცესი მიდის. ავვისტოს კრიზისმა ყველა თავისებურად წყმმარიტების წამის წინ დააყენა: ხდება შეხედულებების გადაფასება, სტერეოტიპების რღვევა, ახლებური მსოფლალქმის ჩამოყალიბება და ა.შ.

ისე მოხდა, რომ მთელი რიგი ისტორიული თუ გეოპოლიტიკური ფაქტორების გამო კონფლიქტის განმუხტვის და კრიზისის დაძლევის ამოცანის მთელი სიმძიმე დღეს ევროკავშირს დაანვა. ამერიკის შეერთებული შტატები იქმინდინარე საარჩევნო პროცესის და შემდგომ ადმინისტრაციის ცვლილების გამო უკანა პლანზეა და, ძირითადად, პოლიტიკური ხასიათის საქართველოს მხარდამჭერი განცხადებებით და შეფასებებით შემოიფარგლება. თუმცა, ხსენებული პოზიცია თავის “დამხმარე როლს” უდავოდ თამაშობს და ევროკავშირის პოზიციებს რუსეთთან დიალოგში აძლიერებს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის აგრესიული ქმედების შეფასებისა და საქართველოს დახმარების მასშტაბებისა და ფორმების საკითხში აშშ-სა და ევროპას შორის პოზიციათა თანხვედრამ ბოლო წლებში დაკნინებული ტრანსატლანტიკური თანხმობა აშკარად განამტკიცა. ეს აუცილებელი პირობაა რუსეთის “მოთვინიერების” ამოცანის წარმატებით გადწყვეტისთვის.

დღეს დასავლეთის მთავარი ამოცანაა მოსკოვს გააცნობიერებინოს, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცე-ში კუნთებით თამაშისთვის დაუსჯელი ვერ დარჩება, მას ამისთვის მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური ფასის გადახდა მოუწევს. მოსკოვმა ასევე უნდა გაიგოს, რომ დასავლეთთან პარტნიორობა, რაც მისი ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის გამო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, შეუთავსებელია მეზობელი ქვეყნების ოკუპაციასთან. ამავე დროს ეჭვგარეშეა, რომ ევროკავშირი რთული დილემის წინაშეა. ერთის მხრივ, მას არ შეუძლია რუსეთის მიერ მეზობელ ქვეყანაში ინტერვენციაზე თვალის დახუჭვა. მეორეს მხრივ, რეგიონის სტაბილიზაციისთვის მოსკოვთან თანამშრომლობა სჭირდება. ეს უკვე ევროკავშირის მხრიდან მოსკოვის მიმართ არსებითად სადამსჯელო ხასიათის მიდგომას გამორიცხავს. ევროკავშირმა ან რუსეთთან თანამშრომლობით უნდა შეძლოს ვითარების სტაბილიზება საქართველოში, მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ან სერიოზულად განიხილოს სანქციების შემოღება. ერთდროულად ორივეს გაკეთებას ევროკავშირი ვერ შეძლებს. ალბათ, პრიორიტეტი საქართველოში ვითარების სტაბილიზების მიზნით ევროკავშირის მაქსიმალური ჩართულობა უნდა იყოს, თანაც ისე, რომ მოსკოვმა გარიყულად არ იგრძნოს თავი. არავინ იცის, კუთხეში მიმწყვედელი რუსეთი კუდს როგორ მოიქნევს. ამავედროულად, რუსეთმა თავის მხრივ უნდა გააცნობიეროს, რომ მომავალში დასავლეთთან შეზღუდული თანამშრომლობა უფრო სახიფათოა, ვიდრე მოკლევადიანი დიპლომატიური სანქციები. ამიტომ ევროკავშირმა თამამად უნდა იმოქმედოს და ცეცხლის შეწყვეტის 6-პუნქტიანი შეთანხმების ფარგლებში მიაღწიოს უსაფრთხოების სათანადო რეჟიმის დამკვიდრებას და მოსკოვი დააყენოს არჩევანის წინაშე — ან ითანამშრომლოს ან შეურიგდეს დასავლეთთან ურთიერთობების გაცივებას.

2004-2008 წლებში საქართველოს თავდაცვის სისტემაში მიმდინარე პროცესები

სამხედრო საფრთხეების შეფასება

ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრელი ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტებია:

1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია
2. საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი
3. საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია 2005 წელს დამტკიცდა საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის მიერ. იგი განსაზღვრავს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებს; აღწერს სახელმწიფოს წინაშე მდგარ საფრთხეებს, რისკებს და გამოწვევებს; ადგენს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს; განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში განსაზღვრულია სახელმწიფოს უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული საფრთხეები და გამოწვევები, რაც ერთობლიობაში საქართველოს ნაკლებ დაცულობას განაპირობებს. კერძოდ: დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, საბრძოლო მოქმედებების განახლება სეპარატისტულ რეგიონებში, კონტრაბანდა და ტერორიზმი; კორუფცია და სახელმწიფო მართვის არაეფექტური სისტემა, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები, არადივერსიფიცირებული ენერგომომარაგება, არაეფექტური საინფორმაციო პოლიტიკა, ეკოლოგიური პრობლემები, რუსეთის მიერ საქართველოს ენერგო რესურსების კონტროლი.

საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის სექტემბერში გამოსცა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ცვლილებების დოკუმენტი, რომელშიც ტერიტორიული თავდაცვის ფუნდამენტური პრინციპი შეიცვალა „ტოტალური და უპირობო თავდაცვის“ პრინციპით. ამ ცვლილებების საფუძველზე, ახალი მოთხოვნების შესასრულებლად, თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის უზრუნველყოფა.

საფრთხეების შეფასების დოკუმენტი აფასებს სახელმწიფოს წინაშე არსებულ საფრთხეების ხარისხს, ადგენს საფრთხეების წარმოშობის ალბათობის დონეებს და განსაზღვრავს საშინაო და საგარეო საფრთხეებიდან გამომდინარე პოტენციურ შედეგებს. დოკუმენტი ასახავს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებულ სხვადასხვა სახის — პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და საინფორმაციო საფრთხეებს. აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულ იქნა 2007 წელს, რომლის მიხედვითაც, სხვა საკითხებთან ერთად, განისაზღვრა ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეთა კატეგორიები და რისკები.

2005 წლის ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პირველი **ეროვნული სამხედრო სტრატეგია** დაამტკიცა. ეს სახელმძღვანელო შექმნილია თავდაცვისუნარიანობისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით, აგრეთვე თავდაცვის სისტემის მართვის გასაუმჯობესებლად, რათა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეძლოს ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებზე ადეკვატური რეაგირება¹.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების მიერ არსებული საფრთხეების არასწორმა შეფასებამ შეუძლებელი გახადა ეროვნული სამხედრო სტრატეგიისა და შეიარაღებული ძალების განვითარების გზების ეფექტურად განსაზღვრა. მაშინ, როდესაც “საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტის” მიხედვით ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია დღევანდელი ალბათობით განსაზღვრული

¹ თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2007, გვ. 12-14.

იყო როგორც “ძალზედ დაბალი”, ხოლო ალბათობის ტენდენცია — “კლებადი”², ჩვენი ქვეყანა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მხრიდან სწორედ რომ ფართომასშტაბიანი ინტერვენციის მომსწრე გახდა. შესაბამისად, ქვეყანა პოლიტიკურ და სტრატეგიულ დონეზე მოუმზადებელი იყო ადეკვატური თავდაცვის უზრუნველყოფისათვის. მიუხედავად იმისა, რომ “საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის” მიხედვით, 2006 წლიდან ქვეყანამ გამოაცხადა “ტოტალური და უპირობო თავდაცვის პრინციპი”, 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ხელისუფლებამ არ ან ვერ გამოიყენა ამ პრინციპის რაიმე კომპონენტი, რამდენადაც, როგორც ჩანს, ფაქტობრივად არ იყო განსაზღვრული მისი უზრუნველყოფის არც ერთი საშუალება.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში მოვლენები საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა და შეინიშნებოდა საფრთხეების მატების ტენდენცია, საქართველოს ხელისუფლებამ არ ან ვერ მიიღო ადეკვატური ზომები შესაბამისი სამხედრო სტრატეგიის დროულად და ეფექტურად ტრანსფორმაციისთვის. 2008 წლის აპრილიდან მოყოლებული თვალნათელი იყო საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების კატასტროფული მატება, რომელთა ნეიტრალიზაციისთვის საქართველოს ხელისუფლება უუნარო აღმოჩნდა განეხორციელებინა ადეკვატური შიდა და საგარეო პოლიტიკური მოქმედებები. მაშინ, როდესაც კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით რუსული სამხედრო შენაერთების რიცხვი იზრდებოდა და შესაბამისად, იზრდებოდა ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის საფრთხეც, საქართველოს ხელისუფლების რეაქცია იყო არაადეკვატური და გაუმართლებელი. ნაცვლად საერთაშორისო ღონისძიებებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფისა, საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება და არაზომიერ და არათანაბარ ძალას დაუპირისპირა ქვეყნის სამხედრო ძალები, რითაც საფრთხე შეუქმნა ქვეყნის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. იმავე “თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვაში” აღნიშნულია, რომ ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებზე გავლენა კატასტროფულია³.

ცალკე განსჯის საგანს წარმოადგენს ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების უზრუნველყოფა, რომელიც, თავის მხრივ, ერთობლიობაში უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას. ამ ნაშრომის სხვადასხვა თავში უფრო დეტალურად იქნება განხილული ეს თემები.

ეროვნული თავდაცვა - ქვეყნის პრიორიტეტი

2004 წლიდან სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემების განვითარება განსაზღვრულ იქნა ქვეყნის უპირველეს პრიორიტეტად. შესაბამისად, პრიორიტეტულობა ასახულ იქნა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტზეც, რომელიც წლიდან წლამდე იზრდებოდა (მლნ. ლარი):

- 2004 — 173,9;
- 2005 — 368,9;
- 2006 — 684,9;
- 2007 — 1 494,5;
- 2008 — 1 545,2.

მიუხედავად თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის პრიორიტეტულობის, ამ მხრივ საერთაშორისო მხარდაჭერისა და დახმარებებისა, საქართველოს შეიარაღებული ძალების ეფექტურად განვითარებისთვის უმთავრეს ამოცანებად რჩებოდა კომპეტენტური საკადრო პოლიტიკის წარმოება და კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბება ამ სისტემების ეფექტური განვითარებისთვის.

ამ მხრივ, შეცდომები დაშვებულ იქნა ჯერ კიდევ 2004 წლიდან, კერძოდ:

- თავდაცვის მინისტრი შეიცვალა ოთხჯერ, რასაც პარალელურად თან სდევდა სამინისტროს სამოქალაქო ოფისის მმართველი რგოლის თითქმის მთლიანი გადახალისება; შეიარაღებული ძალების გაერთიანებული (გენერალური) შტაბის უფროსი შეიცვალა ოთხჯერ და ამდენჯერვე შეიცვალა სამხედრო ქვედანაყოფების მმართველობა;
- 2005 წლიდან ეროვნული გვარდიის (სამხედრო რეზერვის) სარდალი შეიცვალა ხუთჯერ.

2. იქვე, გვ. 29.
3. იქვე, გვ. 29.

- 2005 წლიდან მოიშალა ჯარების სახეობების მმართველობის სისტემა: (მაგალითისათვის, სამხედრო-საზღვაო ძალებს წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სარდლის მოვალეობის შემსრულებელი).
- 2005 წლიდან ადგილი ჰქონდა სამხედრო მოსამსახურეთა, მათ შორის მაღალი კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი ოფიცრების მასობრივ გათავისუფლებებს სამსახურიდან. 2008 წლის ივლისში (ომამდე ერთი თვით ადრე) თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნა სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი და რამოდენიმე სამხედრო ნაწილის (ბრიგადის) და ქვედანაყოფის (ბატალიონის) მეთაურები (არაოფიციალური ინფორმაცია);
- სამხედრო უმაღლეს მმართველობას ხშირ შემთხვევაში ახორციელებდნენ ისეთი პირები, რომელთაც არანაირი სამხედრო განათლება და გამოცდილება არ გააჩნდათ.
- საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის საწყის ეტაპზე აქცენტი გაკეთდა შესაბამისი სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და სამხედრო საშუალებების შესყიდვაზე. ჯარების რიცხოვნობა 28 ათასიდან გაიზარდა 35 ათასამდე, მოხდა 5 ბრიგადის ფორმირება და გაიზარდა სამხედრო საკონტრაქტო მოსამსახურეთა პროცენტული მაჩვენებელი შეიარაღებულ ძალებში. მიუხედავად რიგი პროგრესული ნაბიჯებისა, რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა არაკომპეტენტურ მოქმედებებს, კერძოდ:
- შეიარაღებულ ძალებში შენარჩუნებულ იქნა სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა კონტინგენტი დაახლოებით 7000 კაცის ოდენობით, მაშინ, როდესაც თავდაცვის ბიუჯეტი იძლეოდა შესაძლებლობას, რომ შეიარაღებული ძალები მთლიანად გადასულიყო საკონტრაქტო სამსახურზე. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელი შეიძლება იყოს ის, რომ მნიშვნელოვანი თანხები გაიხარჯა არამიზნობრივად, მათ შორის რეზერვისტთა მომზადებაზე, რომელთა მართვისა და დანიშნულების საკითხები არ იყო საფუძვლიანად გაანალიზებული.
- კონფლიქტის ზონების მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგებულ იქნა მრავალი სამხედრო ობიექტი (სენაკის სამხედრო ბაზა, გორის სამხედრო ბაზა და სამხედრო ჰოსპიტალი), რაც ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დროს ზრდიდა მათი განადგურების რისკებს.
- განხორციელდა იარაღის მასიური შესყიდვები და არსებული სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაცია (შესყიდულ იქნა მსუბუქი შეიარაღება, ჯავშან-ტექნიკა, საარტილერიო საშუალებები და საბრძოლო საშუალებები). მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სახელმწიფო დოკუმენტებში აქცენტი კეთდებოდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციასა და განვითარებაზე ნატოს სტანდარტების შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს მიერ ხდებოდა საკმაოდ დიდი რაოდენობით მოძველებული საბჭოური წარმოების სამხედრო საშუალებების შესყიდვა. ბოლო წლებში ადგილი ჰქონდა თანამედროვე სამხედრო საშუალებების შეძენის ფაქტებსაც, თუმცა მათი წილი საერთო შეიარაღებაში იყო ძალზე დაბალი, რაც ვერ განსაზღვრავდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სრულ ეფექტიანობას საერთო ჯამში. ამასთან, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არ იყვნენ საკმარისი სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლოთ თანამედროვე საშუალებების სრულყოფილად გამოყენება.

ცალკე განსჯის საგანს წარმოადგენს ქვეყნის სამხედრო რეზერვის პოლიტიკა და შესაბამისად განხორციელებული მოქმედებები. “ტოტალური და უპირობო თავდაცვის პოლიტიკის” პირობებში საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდალმა, საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში მრავალრიცხოვანი სამხედრო რეზერვის მომზადების შესახებ. ზოგიერთმა ექსპერტმა პრეზიდენტის ეს ნაბიჯი შეაფასა როგორც გაუთვითცნობიერებული პიარ-კამპანია, რამდენადაც შემუშავებული სამხედრო რეზერვის პოლიტიკის მიხედვით, სარეზერვო სამსახური გახდა ყველასათვის სავალდებულოდ (27-დან 40 წლამდე, ასევე სტუდენტების გარკვეული კატეგორიისთვის) და მისი მომზადების ვადა განისაზღვრა 18 დღით. შესაბამისად, აქცენტი გაკეთებულ იქნა რაოდენობაზე და არა ხარისხზე, ამასთან სერიოზული პრობლემები დარჩა თავად რეზერვის მართვის სისტემაში და შესაბამის საკადრო პოლიტიკაში. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა უმოკლეს ვადაში წარმოაჩინეს ყველა ის პრობლემა, რომელიც ადასტურებს თავის დროზე ამ გადაწყვეტილების გაუმართლებლობას.

შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლი და გამჭვირვალობა

დემოკრატიულ საზოგადოებაში შეიარაღებული ძალების სრულფასოვნების საწინდარია შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლი და გამჭვირვალე პოლიტიკა. ამ მხრივ 2004 წლიდან საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ სერიოზული ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა შეიარაღებული ძალების დემოკრატიულ გარემოში განვითარებაზე. მმართველი პოლიტიკური ძალა არა თუ ახორციელებდა საპარლამენტო კონტროლს შეიარაღებულ ძალებზე, არამედ შეიძლება ითქვას, რომ მისი შემადგენელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა. საქართველოს პარლამენტის წევრები თავდაცვის პოლიტიკის განსაზღვრის ნაცვლად, უხეშად ერეოდნენ სამხედრო სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზეც კი; მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო შეიარაღების შესყიდვის განსაზღვრაში და ზოგ შემთხვევაში თავად ერთვებოდნენ სამხედრო მმართველობის რგოლებში. ოპოზიციური კვოტა “ნდობის ჯგუფში”, ჩვენი აზრით, აბსოლუტურად გაუმართლებლად იქნა გამოუყენებელი, რის გამოც წახალისდა შეიარაღებულ ძალებზე უკონტროლობის ანუ ცალმხრივი ვითომ კონტროლის პრინციპი. ასეთ ვითარებაში თავდაცვის სამინისტრომ საჭიროდ აღარ ჩათვალა საკუთარი ანგარიშვალდებულობა საზოგადოების წინაშე და ის, ფაქტობრივად, დახურულ სისტემად ჩამოყალიბდა. თითქმის ნულამდე დავიდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ჟურნალისტებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. ყოველივე ამან ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა მთლიანად თავდაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, საზოგადოებას წაერთვა იმის ანალიზის საშუალება, თუ საით მიდიოდა ჩვენი შეიარაღებული ძალები — ვქმნიდით ნატოს სტანდარტების ჯარს, თუ ვემზადებოდით ომისთვის?!

2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებების შეფასება

წინამდებარე ანალიზი მოიცავს 2008 წლის 8-27 აგვისტოს საქართველოში განვითარებული მოვლენების სამხედრო-პოლიტიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ მოქმედებების ზოგად მიმოხილვას და მოსალოდნელი სამხედრო საფრთხეების შეფასებას. გამოთქმულ შეფასებებს ვერ ექნება სრულყოფილობის პრეტენზია არსებული ინფორმაციის არასაკმარისი ხელმისაწვდომობის გამო.

სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებების შეფასება

- მოვლენების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ ჰქონდა გათვალისწინებული საომარი მოქმედებების დროს სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებული მოქმედების ერთიანი გეგმა;
- არ იყო გაანალიზებული გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ფონი, რომელიც განსაზღვრავდა საკუთარი და მონინალმდეგის პოტენციური მოკავშირეების შესაძლებლობებსა და მათ როლს (აშკარა იყო რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესი რეგიონის მიმართ, რაც ზრდიდა მისი კონფლიქტში უშუალოდ ჩართულობის ხარისხს მაშინ, როდესაც საქართველოს პოლიტიკური მოკავშირეები კონფლიქტში უშუალო ჩართვაზე ღიად აფიქსირებდნენ თავიანთ ნეიტრალურ პოზიციებს);
- არ იყო გაანალიზებული საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და საერთაშორისო მხარდაჭერის პოტენციული ომის წარმატებით დასრულების მიღწევისათვის (საქართველოს შიდა ეკონომიკური და პოლიტიკური რესურსი ვერ უზრუნველყოფდა ქვეყნის ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში ჩართვასა და მისი ხანგრძლივი პერიოდით წარმოებას);

- არ იყო გაანალიზებული უშუალო და პოტენციური მონინალმდეგის შესაძლო პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური მოქმედებები და შესაბამისი კონტროლები, კერძოდ: საქართველოს ხელისუფლება არ მიჩნევდა, რომ რუსეთის ფედერაცია ღიად და სრული რესურსით ჩაერთვებოდა საბრძოლო მოქმედებებში; რუსეთმა ღიად გამოიყენა თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური პოტენციალი ომის წარმოების პერიოდში; საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მიმართა შესაბამის კონტროლებს;
- არ იყო გაანალიზებული მხარეების მიერ ომის წარმატებით დასრულების ალბათობა და შესაბამისი პოლიტიკური შედეგები;
- არ იყო გაანალიზებული ცივილიზებული მსოფლიოს მიერ ომის შედეგების შეფასების ფაქტორები (რამდენადაც მოსალოდნელი იყო კონფლიქტურ რეგიონებში მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი მსხვერპლი და ლტოლვილთა ნაკადი, სავარაუდოა, რომ ცივილიზებული მსოფლიოს მიერ დაგეგმილი იქნებოდა კონფლიქტის მოგვარების ძალისმიერი გზები, რაც საფრთხეს შეუქმნიდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასა და საქართველოს ინტეგრაციას საერთაშორისო სტრუქტურებში);
- არ იყო გაანალიზებული ომის შემდგომ საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პერსპექტივები;
- არ იყო შემუშავებული თავდაცვის სექტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის მკაფიო პოლიტიკა (სახელმწიფო მოხელეების მიერ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა არაკოორდინირებულად, რაც იწვევდა მოსახლეობის დაბნეულობასა და პანიკას).

სამხედრო-სტრატეგიული მოქმედებების შეფასება

- სამხედრო სტრატეგიული მიზნები არ იყო განსაზღვრული პოლიტიკური მიზნების შესაბამისად (თუ პოლიტიკური მიზანი იყო ქვეყნის ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენა და შესაბამისად იყო განსაზღვრული სამხედრო სტრატეგიული მიზნები, მაშინ დაუცველი არ უნდა ყოფილიყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოტენციური ფრონტი, მათ შორის ზემო აფხაზეთი);
- არ იყო გაანალიზებული საკუთარი და უშუალო მონინალმდეგის სამხედრო მოკავშირეები და სამხედრო დახმარების სამხედრო-საბრძოლო პოტენციალი (1. “საქართველოს თავდაცვის შეფასების დოკუმენტის” მიხედვით რუსეთის შესაძლო სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ არასწორად იყო შეფასებული, რამაც მთლიანად მოშალა სამხედრო-სტრატეგიული სისტემა. 2. საქართველოს ხელისუფლებას არ ჰქონდა წინასწარ გათვალისწინებული მოკავშირეების მიერ სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობები და მექანიზმები);
- არასწორად იყო შეფასებული უშუალო მონინალმდეგ(ებ)ის მხრიდან მომდინარე სამხედრო საფრთხეები და რისკები (არ იყო განსაზღვრული თუ რა რაოდენობის სამხედრო ძალასა და ტექნიკურ საშუალებებს გამოიყენებდა მონინალმდეგე მხარე საკუთარი მიზნების მისაღწევად);
- მოშლილი იყო საქართველოს სამხედრო ძალების მმართველობის სტრატეგიული დონე (სამხედრო-სტრატეგიული მმართველობის ფუნქციებს რიგ შემთხვევებში ასრულებდნენ არაკომპეტენტური სახელმწიფო სამოქალაქო მოხელეები. გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელები ხშირ შემთხვევაში მონანილებდნენ ოპერატიულ-ტაქტიკური ამოცანების შესრულებაში, რა დროსაც ტოვებდნენ სტრატეგიული მმართველობის დონეებს);

- მოშლილი იყო სტრატეგიული მმართველობის მიერ კონტროლის განხორციელების მექანიზმები ოპერატიულ-ტაქტიკურ მმართველობის დონეებზე;
- არასწორად იყო გამოყენებული სტრატეგიული რესურსები (საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო რესურსები, მარაგები, ტექნიკური საშუალებები და აღჭურვილობა) დაუცველად იყო მიტოვებული სხვადასხვა სამხედრო ბაზაზე. არასწორად იქნა განსაზღვრული სამხედრო რეზერვის ფუნქციები და მისი გამოყენების პირობები);
- არ იყო განსაზღვრული სტრატეგიული პოზიციების დათმობის ან შენარჩუნების შემთხვევაში კოორდინირებულ ქმედებათა ალტერნატიული გეგმა (ფაქტობრივად არ იყო გათვალისწინებული უკან დახევის სცენარები და თანმდევნი ღონისძიებები, სამხედრო ზღუდეების შექმნა და მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია);
- ფაქტობრივად, არ არსებობდა სამოქალაქო თავდაცვის სისტემა და სტრატეგია (საჰაერო თავდასხმის შემთხვევაში დაუცველად იყო მიტოვებული მშვიდობიანი მოსახლეობა, არ იყო მომზადებული სამოქალაქო თავდაცვის ობიექტები, განგაშის სისტემები და ობიექტების გამოყენების გეგმები. სახელმწიფო მოხელეებს არ ჰქონდათ სამოქალაქო თავდაცვის ინსტრუქციები და მოქმედებდნენ კოორდინაციის გარეშე);
- არ იყო განსაზღვრული კონფლიქტის ზონებში მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის გზები, მისი ევაკუაციის სტრატეგია (ომის დაწყების პირველ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებამ არ მოახდინა კონფლიქტურ და მის მიმდებარე ტერიტორიებიდან მოსახლეობის ევაკუაცია, ამასთან არ იყო მომზადებული შესაბამისი საევაკუაციო ინფრასტრუქტურა, მათი უზრუნველყოფის საშუალებები და ღონისძიებები);
- არ იყო უზრუნველყოფილი ინფორმაციული უსაფრთხოება (მონინალმდევის მიერ განადგურებული იქნა ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები. სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვის ფაქტებს);
- არ იყო გათვალისწინებული ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების დაცვის მექანიზმები (დაუცველი იყო სამხედრო და სამოქალაქო სტრატეგიული ობიექტები როგორც საჰაერო, ასევე სახმელეთო და საზღვაო თავდასხმებისაგან, რის შედეგადაც მონინალმდევმა გაანადგურა აეროდრომები, სანაეიგაციო სისტემები, საზღვაო სანაპირო დაცვის საშუალებები, ასევე სამხედრო ბაზები კონფლიქტის ზონის გარეთ);
- სავარაუდოდ, არ იყო გათვალისწინებული, ომის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სიტუაციაზე კონტროლის შენარჩუნების რისკები (გაურკვეველია, რამდენად შეძლებდა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლად, თავისი ეკონომიკური და სამხედრო რესურსების გათვალისწინებით, მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას კონფლიქტურ რეგიონებში, რამდენად იყო გათვალისწინებული ტერორიზმისა და პარტიზანული ბრძოლების რისკები. ცალკე განსჯის საგანია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსალოდნელი მოქმედებები და იქ მცხოვრები ეთნიკური ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები).

ოპერატიულ-ტაქტიკური მოქმედებების შეფასება

- არ იყო დაგეგმილი პოლიტიკისა და სტრატეგიის მიზნების შესაბამისად ომისა და სამხედრო მოქმედებების მიზნები და ამოცანები (ღიად იყო დატოვებული აფხაზეთის, ასევე მთლიანად დასავლეთ საქართველოს მიმართულება, ხოლო ზემო აფხაზეთში დისლოცირებული იყო პოლიციური ძალების მინიმალური რაოდენობა);

- არ იყო გათვალისწინებული სამხედრო-გეოგრაფიული ფაქტორები; რელიეფის და კომუნიკაციების ხასიათი, ოპერატიული ტევადობა, ჯარების გაშლისა და გადაადგილების სიმარტივე და სირთულეები;
- მოშლილი იყო სამხედრო ქვედანაყოფებს შორის კომუნიკაციის საშუალებები (კავშირგაბმულობა ხშირ შემთხვევებში ხორციელდებოდა ღია მობილური სატელეფონო საშუალებებით, რაც ვერ უზრუნველყოფდა კავშირგაბმულობის ეფექტურობასა და ინფორმაციულ უსაფრთხოებას, ასევე, მაღალი იყო რისკი ამ ტიპის კომუნიკაციის საშუალებების სწრაფი განადგურებისა);
- დაუცველი იყო საჰაერო სივრცე სამხედრო აგრესიისგან (საქართველოს მთელს ტერიტორიაზე განხორციელდა 43 საჰაერო დაბომბვა);
- დაუცველი იყო პოტენციური მეორე ფრონტი აფხაზეთის მიმართულებით (სენაკის მე-2 ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეები და ტექნიკური საშუალებები გადმოსროლილი იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიმართულებით, რის გამოც მოწინააღმდეგემ წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა აფხაზეთის კონფლიქტის ზონის გარე ტერიტორიები და ყველა სტრატეგიული ობიექტები. ამასთან განადგურებული იქნა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რამაც სერიოზული მატერიალური ზიანი მიაყენა სახელმწიფოს);
- მოშლილი იყო ლოგისტიკური უზრუნველყოფა (ომის წარმოების მანძილზე შეიარაღებულ ძალებს რიგ შემთხვევებში არ მიენოდებოდა საბრძოლო საშუალებები, საკვები, საწვავ-საპოხი მასალა და სამედიცინო პირველადი დახმარების საშუალებები. ზოგიერთი ჯავშანტექნიკა დატოვებულ იქნა ფრონტის პირველ ხაზზე საწვავის არქონის გამო, სამხედრო მოსამსახურეთა განცხადებით, ბრძოლის დროს მათ არ მიწოდებიათ საკვები);
- გაუმართლებლად და არაეფექტურად იქნა გამოყენებული ქვეყნის სამხედრო რეზერვი (რეზერვის მობილიზება მოხდა ომის წარმოების არასწორ ეტაპზე, არასწორი მეთოდითა და რაოდენობით, ასევე პირველ ეტაპზე არასწორად მოხდა მათი დისლოცირება და საბრძოლო ამოცანების დასახვა);
- უშუალო ოპერატიულ-ტაქტიკურ დონეზე ნაწილობრივ მოშლილი იყო სამედიცინო უზრუნველყოფა (ბრძოლის ველიდან დაჭრილების გამოყვანა ხორციელდებოდა სამხედრო-საბრძოლო ტექნიკური საშუალებებით (ნაცვლად პირველადი დახმარების სპეციალურად აღჭურვილი სამედიცინო ავტომობილებისა შესაბამისი განმასხვავებელი ნიშნებით, რაც ამცირებს მათზე თავდასხმის რისკებს), რის გამოც დაჭრილთა კოლონა ხშირ შემთხვევაში ხდებოდა მოწინააღმდეგის იერიშის ობიექტი და ზრდიდა შეიარაღებულ ძალებში ცოცხალი ძალის დანაკარგს. გარდა ამისა, ბრძოლის ველზე მიტოვებულ იქნა ათეულობით დაჭრილი და დაღუპული სამხედრო მოსამსახურე);
- მოშლილი იყო შეიარაღებული ძალების ადამიანური რესურსების მმართველობის სისტემა (ბრძოლის დასრულების შემდეგ უცნობი იყო შეიარაღებული ძალების დანაკარგების ზუსტი რაოდენობა, დაღუპულ, დაკარგულ და დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა ვინაობა).

დასკვნა

ზოგადი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ:

- საქართველოს ხელისუფლებამ საღად ვერ შეაფასა კონფლიქტურ რეგიონებში და მის საზღვრებთან შექმნილი ვითარება, აგრეთვე შესაძლო სამხედრო, პოლიტიკური, ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ეკოლოგიური საფრთხეები.
- მიუხედავად არაერთი საჯარო განცხადებისა, რომ საქართველო არ აჰყვება რუსეთის პროვოკაციას და მხოლოდ მშვიდობიანი გზით განაგრძობს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებას, ხელისუფლება, ნებით თუ უნებლიედ, აღმოჩნდა საჯაროდ დაგებულ რუსულ ხაფანგში, ხოლო ქართული სარდლობა და სამხედრო ძალა არ აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული ფართომასშტაბიანი საომარი ქმედებებისთვის.

ნატო-საქართველო: მოლოდინი, რეალობა, პერსპექტივა

საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობები სათავეს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებენ. იმ წლებში საქართველომ დაიწყო მონაწილეობა პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, გახდა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი. კოსოვოში ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციის დაწყებისთანავე მონაწილეობს მასში, აგრეთვე მონაწილეობდა ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციაში ავღანეთში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, 2002 წლამდე საქართველო ვერ დაიკვეხნიდა ალიანსთან რაიმე გამორჩეული ურთიერთობებით. ასეთივე ურთიერთობები გააჩნდა ნატო-სთან რამდენიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანასაც. ამასთან ერთად, უკვე არსებობდა ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭო და ნატო-უკრაინის მუდმივმოქმედი კომიტეტი, რაც ალიანსთან ამ ქვეყნების თვისობრივად უფრო მაღალი დონის ურთიერთობებზე მეტყველებდა.

ნატო-საქართველოს ურთიერთობებსა და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის რეალიზაციის საქმეში გარღვევა მოხდა 2002 წლის ნოემბერში პრალაში ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელსაც წინ უძღვოდა ნატო-ს სამიტი. იქ საქართველომ უმაღლესი ტრიბუნლიდან ოფიციალურად განაცხადა, რომ სურს გახდეს ნატო-ს წევრი. 2003 წლის დასაწყისში საქართველო შეუდგა ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის /IPAP/ შედგენას, თანაც იმგვარად, რომ გეგმა მიზნად ისახავდა ისეთი რეფორმების გატარებას, რომლებიც მიმართული იქნებოდნენ ქვეყნის ალიანსში ინტეგრაციისკენ. გეგმის შედგენა დასრულდა 2004 წელს და ამავე წელს დაიწყო მისი შესრულება. ქართულმა მხარემ გეგმის შესრულების ვადად დასახა 2006 წლის მიწურული, თუმცა ის ჯერაც არაა შესრულებული. IPAP -ის შესრულების მდგომარეობას ამომწებ ნატო-ს შეფასების მისია, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე ჩამოდის საქართველოში და ადგენს ანგარიშს. სამწუხაროდ, დღემდე ეს ანგარიშები ფართო საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელია, ვინაიდან მათ თავად ნატო ანიჭებს გრიფს „სამსახურებრივი მოხმარებისთვის“, თუმცა, შეფასების მისიის წევრი პირდებოდა ამ სტრიქონების ავტორს, რომ 2008 წლის იანვრიდან დოკუმენტი გახსნილი იქნებოდა. 2006 წლის სექტემბრიდან ნატო-მ და საქართველომ დაამყარეს „ინტენსიური დიალოგის“ რეჟიმი. 2008 წლის სექტემბერში დაფუძნდა საქართველო-ნატო-ს მუდმივმოქმედი კომისია.

1999 წლის ვაშინგტონის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ნატო-მ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ამიერიდან, მანამ, სანამ განვერიანების მოსურნე სახელმწიფოს ალიანსში მიიწვევდა, ამ სახელმწიფოს უნდა შეესრულებინა განვერიანების სამოქმედო გეგმა (MAP). ქვევით, როდესაც საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის გაგრძელებაზე ვისაუბრებთ, სწორედ MAP-ის შესრულების დაწყება გვექნება მხედველობაში.

გადაჭარბებული მოლოდინი

2004 წელს ხელისუფლებაში მოსულმა პოლიტიკურმა გუნდმა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად და არცთუ შორეულ მომავალში მიღწევად მიზნად დასახა. ხელისუფლების უმაღლესი პირები გამუდმებით აცხადებდნენ, რომ 2006 წელს საქართველო დაიწყებდა MAP -ის შესრულებას, 2008 წელს კი გახდებოდა ნატო-ს წევრი. ამასთან, ამ დაპირებების დროს ალიანსში მიწვევის ეტაპი მთლიანად იყო იგნორირებული. ნატო-ელი ჩინოვნიკები, მათ შორის შეფასების მისიის წევრები, არაერთხელ აფრთხილებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მთელ ქართულ საზოგადოებას და, ალბათ, ხელისუფლების წარმომადგენლებსაც, რომ შემდგომი ინტეგრაციის გზაზე რაიმე თარიღებისა და ვადების დასახელება ეწინააღმდეგება ნატო-ს პრაქტიკას და ეს არც ქვეყნის შიგნით ნატო-ს მხარდამჭერ განწყობებს მოუტანდა სიკეთეს. იგივეზე მიუთითებდა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი პიერ ლელუში თავის 2006 წლის მოხსენებაში საქართველოს შესახებ, როდესაც აღნიშნავდა, რომ გადაჭარბებულმა მოლოდინმა, შესაძლოა, მოსახლეობაში შექმნას იმედგაცრუება.

ამ მოხსენებაში არ შევუდგებით იმ მიზეზების ძიებას, თუ რით იყო გამოწვეული ხელისუფლების მხრიდან ამგვარი არარეალისტური დაპირებები. იმაზე, თუ როგორ იმოქმედა ხელისუფლების პროპაგანდისტულმა პოლიტიკამ ნატო-ს მხარდამჭერ განწყობებზე საქართველოში, შეგვიძლია ვიმსჯელოთ 2008 წლის პლენისციტის შედეგებით. ცესკომ გამოაცხადა, რომ ნატო-ში საქართველოს განწევრიანებას მხარი დაუჭირა პლენისციტში მონაწილეთა 61%. ეს ერთობ მძიმე შედეგად გამოიყურებოდა ათი თვით ადრე ჩატარებული გამოკითხვის შედეგთან შედარებით, როდესაც მხარდამჭერი 82% იყო. ამის შემდეგ, ცესკომ გამოაქვეყნა ქვემო ქართლის /?!/ მოსახლეობის აზრით გათვალისწინებით „დაზუსტებული“ მონაცემი, რომლის თანახმად მხარდამჭერთა რიცხვი 72% -მდე გაიზარდა.

ქვეყანაში გადაჭარბებული მოლოდინის შექმნის კიდევ ერთი მაგალითია ნატო-ს ბუქარესტის უმაღლესი დონის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის ინტერპრეტაცია საქართველოს ხელისუფლების მიერ. მძლავრი პროპაგანდისტული მანქანის მეშვეობით ხელისუფლება არწმუნებდა საქართველოს მოსახლეობას, რომ ამ ფორუმზე ჩვენს სახელმწიფოს მისცემდნენ საშუალებას დაეწყო MAP-ის შესრულება. ეს არ მოხდა. ნატო მხოლოდ დაპირდა საქართველოს, რომ ის გახდებოდა ალიანსის წევრი. ეს დაპირება ბევრს არაფერს მატებს ნატო-ს არაერთგზის განცხადებას, რომ ალიანსის კარი ღიაა საქართველოსთვის, ისევე, როგორც ნებისმიერი ევროპული ქვეყნისთვის, რომელსაც სურს განწევრიანება და რომელიც ნატო-ს კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს. მაშინ, როდესაც MAP -ის დაწყება განწევრიანების პროცედურის დაწყებას ნიშნავს, მართალია, ალიანსის მხრიდან რაიმე შემდგომი ფორმალური ვალდებულების გარეშე.

ინტეგრაციის შემაფერხებელი ფაქტორები

როგორც ექსპერტთა წრეებში, ისე საზოგადოებაში არსებობს მრავალი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რატომ ფერხდება ჩვენი სახელმწიფო ნატო-სთან შემდგომი ინტეგრაციის გზაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან შემდგომი დაახლოების ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის შეიძლება ბევრი დასახელდეს, ვფიქრობთ, საკითხის არსში უკეთ გარკვევის მიზნით, აჯობებდა ისინი, პირობითად, სამ ჯგუფში გაგვეერთიანებინა:

- ცუდი ურთიერთობები რუსეთთან;
- მოუგვარებელი კონფლიქტები;
- ქვეყანაში დემოკრატიის დაბალი ხარისხი.

ამგვარი პირობითი დაჯგუფების უფლებას გვაძლევს იმ შენიშვნებისა და რეკომენდაციების ხასიათი, რომლებიც სიტყვიერ განცხადებებში თუ სხვადასხვა დოკუმენტში გამოითქმება საქართველოს მისამართით. ძალზე რთულია განსაზღვრო, ამ ფაქტორებიდან რომელს გააჩნია მეტი „წონა“. ქვემოთ მოყვანილ ანალიზს არც აქვს ამის პრეტენზია.

ცუდი ურთიერთობები რუსეთთან

ის, რომ მეზობლებთან კარგი ურთიერთობები სასურველია ნატოში განწევრიანების მოსურნე ქვეყნისთვის, არაერთხელ განუცხადებიათ როგორც ნატო-ელ მაღალი დონის ჩინოვნიკებს, ისე ნატო-ს წევრი ქვეყნების ლიდერებს. ერთი მხრივ ასეთი მოთხოვნა საქართველოს მიმართ, შესაძლოა, უსამართლოდ ჟღერდეს, ვინაიდან ორმხრივი ურთიერთობები ორმხრივი სურვილის შედეგია. რუსეთი, რომელიც საკუთარი ინტერესების განხორციელების მიზნით უკვე ორი ათეული წელია ღიად „ნადირობს“ საქართველოზე, აცხადებს, რომ ყველაფერს იღონებს, რათა არ დაუშვას საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია. ამდენად ჩვენგან კარგი ურთიერთობების მოთხოვნა ნიშნავს მოგვთხოვონ ის, რის გაკეთებაც ჩვენს ძალებს აღემატება. შესაძლოა, გაჩნდეს მოსაზრება, რომ ის, ვინც საქართველოს ასეთ პირობას უყენებს, უბრალოდ მიზეზს ეძებს, რათა უარი უთხრას მას ინტეგრაციის გაგრძელებაზე. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ეს მთლად ასე არ არის. ნატო-ს

ევროპელ წევრებს შორის არიან ისეთები, რომლებიც რუსეთს დიდ ანგარიშს უწევენ. ამის მიზეზები მეტ-ნაკლებად ცნობილია. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც მზად არიან ამერიკელებთან ერთად იბრძოლონ საქართველოსთვის და მათ ეს არაერთხელ დაუმტკიცებიათ. ვფიქრობთ, რომ რუსეთის მიმართ ჩვენი არათანმიმდევრული, ხშირად კონფრონტაციული პოლიტიკის გამო, რაც სავსებით შეიძლება შეფასდეს, როგორც „ცეცხლზე ნავთის დასხმა“, ჩვენ არგუმენტებს ვაცლით მომხრეებს და კონტრარგუმენტებს ვაძლევთ მონინააღმეგებს. ქართული სახელმწიფოსგან დასავლეთი ელის ცივილიზებულ დამოკიდებულებას თუნდაც ისეთი არაპროგნოზირებადი, აგრესიული სახელმწიფოს მიმართ, როგორც რუსეთია. ამის სანაცვლოდ, უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს, თავად წარმოვიჩინეთ, როგორც არაპროგნოზირებადი სახელმწიფო. ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, დღევანდელ რუსეთთან სულ ცოტა ნორმალური ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება უაღრესად ძნელია, თუ შეუძლებელი არა. მაგრამ, ჩვენს ხელთაა ვაჩვენოთ მსოფლიოს, რომ ამაში ბრალი მთლიანად რუსეთს მიუძღვის, ჩვენ კი ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ასეთი ურთიერთობები გვქონდეს.

მოუგვარებელი კონფლიქტები

საქართველოს ნატო-სკენ სავალ გზაზე, შესაძლოა, არც ერთ სხვა მოვლენას თუ ტენდენციას არ მოუტანია ისეთი ზიანი, როგორც 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა. 1995 წელს ნატო-მ მიიღო დოკუმენტი სახელწოდებით „კვლევა ნატო-ს გაფართოების შესახებ“. მასში, სხვასთან ერთად, ნათქვამია, რომ „სახელმწიფოებმა, რომლებიც ჩართულნი არიან ეთნიკურ დავებში ან ქვეყნის გარეთ არსებულ ტერიტორიულ დავებში, მათ შორის დავებში, რომლებიც ირიდენტიზმს უკავშირდება, ან იურისდიქციასთან დაკავშირებულ საშინაო დავებში, უნდა მოაგვარონ ეს დავები მშვიდობიანი საშუალებებით ეუთო-ს პრინციპების შესაბამისად მანამ, სანამ გახდებიან წევრები“. რუსეთთან ურთიერთობების არ იყოს, კონფლიქტების მოგვარება ორივე მხარეზეა დამოკიდებული და, აქაც არსებობს მოსაზრება, რომ თუ სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელები და მათი მფარველი რუსეთი ინდომებს არსებული ვითარების შენარჩუნებას ან მის გაღვივებას, საქართველო უძლური იქნება რაიმე ილონოს. ანუ, კვლავ, საქართველოს ნატო-ში შემდგომი ინტეგრაციის გასაღები მესამე მხარის ხელშია. და კვლავ, ეს მთლად ასე არ არის. როგორც ნატო, ისე დასავლელი ლიდერები ჩვენგან საკმარისად მიიჩნევენ იმის დემონსტრირებას, რომ საქართველო შეუქცევადად /!!!/ ადგას კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიან გზას. უფრო მეტიც, უფრო ამაგვარი შეუქცევადობის მემკვიდრეობითობის მოთხოვნაც, ანუ: შეუქცევადობის დამამტკიცებელი ის იქნება, თუკი საქართველოს შემდეგი ხელისუფლებაც მოახდენს ამის დემონსტრირებას. სხვა ხელისუფლება იქით იყოს და არსებულმა სრულიად საპირისპიროს დემონსტრირება მოახდინა. და თუკი 2004 წლის ივლისის მოვლენები ცხინვალის რეგიონში დასავლეთში ბევრს დაავიწყდა, გამუდმებულმა საომარმა პროპაგანდამ და რიტორიკამ და 2008 წლის აგვისტომ გარკვეული ეჭვები წარმოშვა ჩვენი ქვეყნის უნართან დაკავშირებით ანარმოს მოლაპარაკებები და თავიდან აიცილოს კონფლიქტური სიტუაციები. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორების თვალში რუსეთის მიერ უკანასკნელ წლებში კარგად დაგებული მახე, რომელშიც ჩვენ 2008 წლის აგვისტოში გავებით, მახე გამოცდა იყო საქართველოსთვის, რომელიც მან ვერ ჩააბარა.

ქვეყანაში დემოკრატიის დაბალი ხარისხი

ეს ის შემაფერხებელი ფაქტორია, რომლის აღმოფხვრა მთლიანად ჩვენს ხელთაა. ნატო-ს ბევრ დოკუმენტში დემოკრატიის დაბალ ხარისხზე პირდაპირ მიგვითითებენ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იმავე პიერ ლელუშის მოხსენება, ნატო-ს რიგის 2006 წლის უმაღლესი დონის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელშიც ნატო აღნიშნავს, რომ ელის მეტ პროგრესს „პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში, მათ შორის, სასამართლო რეფორმის განხორციელებას“. ექსპერტებმა იმთავითვე

მიაქციეს ყურადღება იმას, რომ პოლიტიკური რეფორმების აუცილებლობა პირველ რიგში დასახელდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებულ პირდაპირ რეკომენდაციებზე. აქვე აღნიშვნის ღირსია ის, რომ ნატო-ს და ჩვენი დასავლელი პარტნიორების მიერ სამხედრო სფეროში განხორციელებული რეფორმები სხვებთან შედარებით ყველაზე წარმატებულადაა მიჩნეული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას სამხედრო სფეროს აქცევს. ამას გვაფიქრებინებს საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც 2007 წელს საქართველოს ბიუჯეტის თითქმის მეოთხედს შეადგენდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია, აგრეთვე, ანტიტერორისტული კოალიციის ოპერაციებში საქართველოს მზარდი მონაწილეობა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ არ სურს რა გაატაროს დემოკრატიული რეფორმები, ხელისუფლება ცდილობს ნატო-ს თვალში ფონს სამხედრო სფეროში წარმატებებით გავიდეს, ხოლო დასავლელ პარტნიორებს ერთგულება ერთობლივ ოპერაციებში მზარდი მონაწილეობით დაუმტკიცოს. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ნახსენებ დოკუმენტში „კვლევა ნატო-ს გაფართოების შესახებ“ აღნიშნულია, რომ ალიანსის ერთობლივ ოპერაციებში მონაწილეობა ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება ქვეყნის ინტეგრაციის პროცესში, ასეთი ცალმხრივი მიდგომა არაეფექტურად მიგვაჩნია. ნატო-სთან თავსებადი ძლიერი სამხედრო მანქანის მშენებლობა ვერც საქართველოს მოქალაქეების და ვერც ნატო-ს თვალში ვერ ანაზღაურებს სიცოცხლისუნარიანი, ფუნქციონირებადი დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობას. თუმცა, 2008 წლის აგვისტო მოვლენებმა ქართული არმიის ბრძოლისუნარიანობასთან დაკავშირებითაც წარმოშვა სერიოზული ეჭვები სარდლობის საქმიანობით დაწყებული და რეზერვის სამსახურით დამთავრებული. მაგრამ, ამ საკითხების განხილვა სცილდება წინამდებარე მოხსენების მიზნებს. ზემოთნახსენები 2008 წელს ნატო-ს ბუქარესტის უმაღლესი დონის შეხვედრის შემაჯამებელ დოკუმენტში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ნატო ყურადღებას დაუთმობს საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში. იმდენად, რამდენადაც ალიანსი არ აგზავნის სადამკვირვებლო მისიებს არჩევნებზე, მათზე წარმოდგენას იქმნის სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების სადამკვირვებლო მისიების ანგარიშების მიხედვით. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შესახებ ნატო მსჯელობს მათ შორის ყველაზე ავტორიტეტულის - ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) 2008 წლის 7 სექტემბრის ანგარიშის მიხედვით, რომელიც საქართველოსთვის ერთობ მძიმეა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ნატო-ს გენერალური მდივნის 2008 წლის სექტემბრის ვიზიტი საქართველოში, როდესაც მან კრიტიკულად შეაფასა როგორც ზოგადად დემოკრატიის მდგომარეობა საქართველოში, ისე 21 მაისის არჩევნები.

რა გამოსავალია?

1. ხელისუფლებამ არ უნდა შექმნას გადაჭარბებული მოლოდინები ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე რაიმე ვადებთან დაკავშირებით. მოსახლეობას უნდა ჰქონდეს მკაფიო და ნათელი წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ ნატო-ში ინტეგრაცია დამოკიდებულია მხოლოდ საქართველოს მიერ შესაბამის სფეროებში მიღწეულ წარმატებებზე და არა იმაზე, თუ რამდენ ხანს შევასრულებთ ამა თუ იმ ეტაპის გეგმას. თუკი ქვეყანა ვერ აჩვენებს შედეგს, ის ვერ გახდება ალიანსის წევრი. „ცივი ომის“ დროინდელი მაგალითების მოყვანა /თურქეთი, პორტუგალია/ კონტრპროდუქტიულია, ვინაიდან არ შეესაბამება დღევანდელ გლობალურ პოლიტიკურ კონტექსტს და ქმნის უსაფუძვლო მოლოდინს ქვეყნის შიგნით. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა აჩვენა, რომ მოსახლეობაში გადაჭარბებული მოლოდინისა და მისი მუდმივად არასწორი ინფორმირებულობის გამო იმის შესახებ, თუ რა არის ნატო, შესაძლოა გაჩნდეს დასავლეთის, და კერძოდ ალიანსის მიმართ იმედგაცრუების გრძნობა და განწყობა, რომ მათ მიგვატოვებს.

2. ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს რუსეთთან კონფრონტაცია მხოლოდ ავნებს. შესაძლოა ამას გარკვეული ქულები მოაქვს რუსეთისადმი განსაკუთრებით კონფრონტაციულად განწყობილი ზოგიერთი სახელმწიფოს ლიდერის თვალში, მაგრამ, საბოლოო ჯამში ეს გვაშორებს ნატო-ს. 2008 წლის მოვლენებმა უარყოფით კონტექსტში დააგვირგვინეს საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების მრავალწლიანი ვარდნა. ნაკლებად გვაინტერესებს რა ის, თუ რამდენად შეილახა ამის შედეგად რუსეთის იმიჯი, ვფიქრობთ, რომ არც საქართველოს იმიჯი გაუმჯობესებულა. რუსეთთან საქართველოს ურთიერთობა უნდა იყოს თანმიმდევრული, არაკონფრონტაციული და ცივილიზებულ ჩარჩოებში მოქცეული იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ იქცევა რუსეთი.

3. კონფლიქტების მოგვარებისადმი დამოკიდებულება ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ნატო არ მიიღებს თავის რიგებში საქართველოს, თუკი კონფლიქტების მოგვარების მეთოდების ჩამონათვალიდან ერთხელ და საბოლოოდ არ ამოირიცხება შეირალებული გზა. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ იმის დემონსტრირება, რომ საქართველო შეუქცევადად დაადგა სამშვიდობო გზას, ძალზე გართულდება. აუცილებელია გადაჭრით შეწყდეს ყოველგვარი საომარი რიტორიკა, აიკრძალოს ტერიტორიების ძალით დაბრუნებაზე ორიენტირებული ნებისმიერი პროპაგანდა, განემარტოს საქართველოს მოსახლეობას, რომ ნატო არ არის ის ორგანიზაცია, რომელიც ძალის გამოყენებით აღადგენს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. აუცილებელია ნებისმიერ სამშვიდობო პროცესში მოქნილი დიპლომატიის გატარება პროცესის ფორმატივისგან დამოუკიდებლად, აგრეთვე, პირდაპირი დიალოგის წარმოება სეპარატისტულ ხელისუფლებებთან.

4. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ერთგვარად შელახული იმიჯის აღდგენის ყველაზე ეფექტური და სწრაფი საშუალება, ნატო-ში ინტერგაციის გზაზე, სიცოცხლისუნარიანი, ფუქციონირებადი დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაა. ეს ის სფეროა, სადაც ჩვენ არ ვართ საგარეო ფაქტორებზე დამოკიდებული და ხელგვენიფება მოკლე დროში ვაჩვენოთ დადებითი ტენდენციები.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის შეცდომები რუსეთთან მიმართებაში

ეს მასალა მიზნად არ ისახავს რუსეთის სამხედრო აგრესიის მიზნებისა და შედეგების ანალიზს, რაც განსჯის ცალკე საკითხია. იგი აშუქებს მხოლოდ იმ შეცდომებს, რომლებიც, ავტორის აზრით, დაშვებულ იქნა საქართველოს მხრიდან რუსეთთან მიმართებაში.

რუსეთთან უთანხმოებისა და კონფრონტაციის მთავარი მიზეზი საქართველოს დასავლური ორიენტაციაა. ამის გამო 1990-იან წლებში მოსკოვი, თბილისზე ზენოლის მიზნით, ბლოკავდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემების მოგვარებას და სეპარატისტული რეჟიმების გაძლიერებას უჭერდა მხარს. ეს, თავის მხრივ, აიძულებდა საქართველოს კიდევ უფრო გაეღრმავებინა დასავლეთთან თანამშრომლობა.

მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში საქართველომ მოახერხა ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის სასაზღვრო ჯარების გაყვანა და 1999 წელს სტამბულში რფ-ის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით შეთანხმების გაფორმება, რომლის რეალიზაციაც 2001 წელს დაიწყო.

1990-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთისათვის მთავარი “გამაღიზიანებლები” გახდა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, აშშ-თან საქართველოს მზარდი თანამშრომლობა, პანკისის რეგიონში ჩეჩენი ბოევიკების თავმოყრა და შემდგომ აშშ-ს დახმარებით წრთენისა და ალჭურვის პროგრამის დაწყება. ურთიერთობების გამწვავებამ პიკს 2002-2003 წლებში მიაღწია.

ამასთანავე, სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში აღინიშნებოდა დადებითი ტენდენციები, რასაც ხელს უწყობდა სამთავრობათაშორისო კომისიის მუშაობა. საკმაოდ რეგულარულად ხორციელდებოდა კონტაქტები აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს, ასევე უშიშროების საბჭოებს შორის.

2001-2003 წლებში მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების თაობაზე, ასევე ხორციელდებოდა კულტურული და სხვა სახის პროგრამები.

“ვარდების რევოლუციის” შემდგომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არსებული ექვსთვიანი “თაფლობის თვე” 2004 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში განვითარებულმა დრამატულმა მოვლენებმა დაასრულა, რომლებიც მოსკოვმა მთლიანად საქართველოს ხელისუფლებას დააბრალა. იწყება ურთიერთობების გამწვავების “სპირალი”.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართულმა მხარემ ზედმეტად სწრაფად აიცრუა გული რუსეთთან ფართო დიალოგის წარმოებაზე. შესაძლებელია, საქართველოს ხელისუფლებაზე ზემოქმედებას ახდენდა საყოველთაო განცდა, რომ საქართველოსა და უკრაინაში “ფერადი რევოლუციების” შემდეგ მოსკოვმა დაკარგა დსთ-ს ფარგლებში გავლენა და ინიციატივა. მომდევნო პერიოდში ქართულ და რუსულ მედიაში ძალას იკრებს დესტრუქციული რიტორიკა, რაც საზოგადოების სხვა ფენებზეც ვრცელდება.

ამ პერიოდიდან რუსეთთან კონტაქტები პრაქტიკულად შემოიფარგლება შეხვედრებით უმაღლეს დონეზე (როგორც წესი დსთ-ს ფორმატით). მნიშვნელოვნად იზღუდება ურთიერთობები სხვა დონეებზე. კერძოდ, მინიმუმამდე დადის საპარლამენტათაშორისო კონტაქტები, თანამშრომლობა სხვადასხვა უწყებას შორის, ფუნქციონირებას წყვეტს ორმხრივი სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისია. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემებზე დიალოგის წარმოება უმთავრესად დასავლელი პარტნიორების მეშვეობით ხდება, როგორც სჩანს იმ ვარაუდით, რომ დასავლეთი აიძულებს რუსეთს გადადგას შესაბამისი ნაბიჯები (ამ კონტექსტში აღსანიშნავია 2005 წელს პრეზიდენტ ჯ.ბუშის გამოსვლა თბილისში თავისუფლების მოედანზე, როდესაც მან ღიად მოუწოდა ქართულ მხარეს გამოენახა საერთო ენა რუსეთთან. ევროპელი პარტნიორებიც გამოუდგებიან ამისკენ მოუწოდებდნენ ოფიციალურ თბილისს).

რფ-თან პირდაპირი დიალოგის მინიმუმამდე დაყვანამ განუმტკიცა აზრი მოსკოვს იმის შესახებ, რომ თბილისის ხელისუფლება “ვამინგტონის მარიონეტია”. ამის გამო მოსკოვშიც იმისკენ იხრებიან, რომ საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების განხილვა უშუალოდ დასავლეთთანაა მიზანშეწონილი.

მოსკოვის ასეთ განწყობას ეხმიანებოდა ის გარემოებაც, რომ 2005 წლიდან საქართველოს საელჩოს საქმიანობა მოსკოვში საგძნობლად შეიზღუდა, საგარეო საქმეთა სამინისტროში გაუქმდა რუსეთის დეპარტამენტი (საერთოდ უცნობია, თუ სად ხდებოდა რუსეთის პრობლემატიკის ანალიტიკური შესწავლა). ფაქტობრივად შეწყდა ურთიერთობა რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა წრესთან, რუსეთის რეგონებთან, ქართულ დიასპორასთან. გაკეთდა მწვავე, გაუნონასწორებელი განცხადებები.

ქართულ-რუსულ ურთიერთობების “მოედანზე” წარმოქმნილი ვაკუუმით ოსტატურად ისარგებლეს აფხაზმა და ოსმა სეპარატისტებმა, მათმა მხარდამჭერმა ძალებმა. მათ რუსეთში უპრეცედენტო ანტიქართული კამპანია გააჩაღეს, რის წინააღმდეგაც მუშაობა პრაქტიკულად არ მიმდინარეობდა.

მომდევნო პერიოდში ხდება ურთიერთწყენების კრიტიკულ ზღვრამდე დაგროვება, რომლის განმუხტვაც, სამუშაო დონეზე დიალოგის არქონის გამო, არ ხდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გარკვეულ მომენტებში საქართველოს ხელისუფლებასაც აწყობდა ამ დაძაბულობის გამოყენება შინაგანი გამონეგვების გასანეიტრალებლად. დაძაბულობა პიკს აღწევს ე.წ. ჯაშუშების სკანდალის შედეგად. ქართული მხარის ხაზგასმულად თეატრალიზებული დემარშის საპასუხოდ რუსეთის მხარე იღებს სრულიად არასამართლებრივ გადაწყვეტილებებს საქართველოსათვის ფაქტობრივად ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადების შესახებ. რუსეთის ფედერაციიდან უხეში, დამამცირებელი ფორმით აძევებენ საქართველოს მრავალ მოქალაქეს.

მიუხედავად მოსკოვთან დაძაბული ურთიერთობებისა, 2005 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება 2008 წლამდე ბათუმიდან და ახალციხიდან რფ-ის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. ეს ვალდებულება რუსეთმა შეასრულა. რფ-ის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ აღნიშნულ საკითხზე შეთანხმების მიღწევის პარალელურად ოფიციალურმა თბილისმა თანხმობა განაცხადა საქართველოში ერთობლივი ქართულ-რუსული ანტიტერორისტული ბიუროს შექმნაზე, რაც შემდგომ არ განხორციელდა. ქართული საზოგადოებისთვის უცნობია რეალურად საქმის ვითარება, თუმცა ფაქტია, რომ მოსკოვს მიეცა დამატებითი საბაზი იმის დასამტკიცებლად, რომ ქართულმა მხარემ სიტყვა არ შეასრულა.

2007 წელს რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში ერთადერთი ქვეყანა, რომელიც პრაქტიკულად მტრად იქნა გამოცხადებული — საქართველოა. ამგვარი პოლიტიკური დემარში სერიოზულ ანალიზსა და საპასუხო ნაბიჯების გააზრებას ითხოვდა, მათ შორის რუსეთთან შეძლებისდაგვარად ურთიერთობათა გაუმჯობესების თვალსაზრისით. სამწუხაროდ ეს არ მოხდა, პირიქით, თითქოს საქართველომ ეს გამოწვევაც აიტაცა და ფეხი აუწყო კონფრონტაციის ესკალაციას.

საქართველოს ხელისუფლება თავს იკავებდა კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი დამოკიდებულების დადასტურებისაგან, რაც, ჩვენი აზრით, არამართებული იყო. ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოს გამოკვეთილად უარყოფით პოზიციას განსაკუთრებული კრიტიკული რეაქცია მოჰყოლოდა დასავლეთის მხრიდან. დასავლელი პარტნიორებისთვის სრულიად გასაგები უნდა ყოფილიყო კოსოვოს დამოუკიდებლობის მიუღებლობა საქართველოსათვის – ეს ხომ ეგზისტენციალური საკითხია და არა პოლიტიკური კონიუქტურა. ოფიციალური თბილისის ამგვარმა თავშეკავებულმა პოზიციამ მეტი მანევრირების საშუალება მისცა რუსეთს დესტრუქციული ქმედებისათვის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ 2008 წლის აპრილში ვ.პუტინის მიერ მიღებული ცნობილი გადაწყვეტილება აფხაზეთთან მიმართებაში (1996 წლის დსთ–ს შეთანხმების გაუქმების თაობაზე) საქართველოს ხელისუფლებამ ამ რეგიონის დე-ფაქტო ანექსიის მცდელობად შეაფასა. ასეთი შეფასება საერთაშორისო საზოგადოებრიობამაც გაიზიარა. რფ-ს აფხაზეთში შეჰყავს “სარკინიგზო ჯარი” და დამატებითი შეიარაღებული ძალები, ფაქტობრივად ხდება “გაყინული” კონფლიქტის რეანიმაცია. რფ დაუფარავად უკავშირებს ამ ნაბიჯებს საქართველოს მისწრაფებას ნატოში ინტეგრირებისაკენ. კეთდება ოფიციალური განცხადებები, რომ რუსეთის ფედერაცია არ დაუშვებს ნატოს შემოსვლას სამხრეთ კავკასიაში და “მიიღებს ამის სანაღმდეგოს ყველა ზომას”. ამ

თვალსაზრისით მოსკოვი დასავლეთის მხრიდან თავისებურ წახალისებად აღიქვამს იმ გარემოებას, რომ საქართველო ვერ იღებს მავპ-ს 2008 წლის მარტში ნატოს ბუქარესტის სამიტზე.

მიუხედავად რუსეთის ასეთი სახიფათო განცხადებებისა, საქართველოს მხრიდან არ გადაიდგა ნაბიჯები ნატოსთან დაკავშირებით ალტერნატიული ვარიანტების საძიებლად. კერძოდ, განხილვის საკითხი შეიძლება ყოფილიყო საკანონმდებლო აქტის მიღება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ განლაგდებოდა სხვა ქვეყნების სამხედრო ინფრასტრუქტურა (პირობითად, ნატოში საფრანგეთის წევრობის მოდელი), რაც რუსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია. გასათვალისწინებელია, რომ მავპ-ი თავისთავად არ იძლევა უსაფრთხოების გარანტიებს, ამიტომ საზოგადოებისთვის ამ თემის პანაცეის სახით წარმოჩენა აშკარად გაზვიადებული იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ ბუქარესტის სამიტის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ არ გადადგა ქმედითი ნაბიჯები ნატოს მხრიდან საქართველოს მისამართით გამოთქმული რეკომენდაციების შესასრულებლად. ამიტომ 2008 წლის დეკემბერში მავპ-ის მიღების ალბათობა აშკარად ნაკლები და არაპროპორციული იყო იმ რისკისა, რასაც ეს პერსპექტივა უქადდა საქართველოს რუსეთის საფრთხის სახით.

2008 წლის გაზაფხულზე და ივნის-ივლისში რუსეთის მედია ინტენსიურად ამზადებდა შესაბამის ფონს სამხედრო მოქმედებისათვის. პარალელურად ოფიციალური მოსკოვი მოითხოვდა საქართველოს ხელისუფლებისაგან, რათა ხელი მოეწერა შეთანხმებაზე აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების განუახლებლობის შესახებ. ქართული საზოგადოებისათვის უცნობია, თუ თბილისისაგან რა სახის ვალდებულებების აღებას ითხოვდა მოსკოვი. ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასავლელი პარტნიორების დახმარებით ასეთ შეთანხმებებზე მუშაობა მეტი მანევრირების საშუალებას მოგვცემდა და დამატებითი ალიბი იქნებოდა იმისათვის, რათა დაგვერწმუნებინა მსოფლიო ჩვენს მშვიდობიან განზრახვებში.

ივლისის თვეში ჩრდილო კავკასიაში ჩატარდა 58-ე არმიის სამხედრო წრთვები. პოტენციურ მონინაალმდეგედ დაუფარავად საქართველო იქნა გამოცხადებული. საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდა რფ-ის სამხედრო ავიაციის რეიდები, რაც მოსკოვმა დაუფარავად აღიარა. ამგვარად, რუსეთის ფედერაციამ ცალსახად დაგვანახა ის ალტერნატივა, რაც საქართველოს ელოდა მოსკოვთან შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში. პარალელურად თბილისს ეწვივნენ რუსი ოფიციალური პირები, რომლებიც უმთავრესად აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებების განუახლებლობის შესახებ შეთანხმების გაფორმების თაობაზე აყენებდნენ საკითხს.

რამდენადაც ცნობილია, მოახლოებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად ივლისის თვეში თბილისში ჩამოვიდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კ.რაისი. მისი გზავნილი ნათელი იყო: “ფრთხილად, მახეა!”

ამგვარად, გაუგებარია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები იმის თაობაზე, რომ ისინი რუსეთის სამხედრო აგრესიას არ ელოდნენ. მეორეს მხრივ, გაკეთდა სრულიად საპირისპირო განცხადებებიც, რომ აგრესია გარდუვალი იყო. შესაბამისი კრიტიკული დასკვნები არ კეთდება, რაც მომავალში ანალოგიური მოვლენების განმეორების საფრთხეს ქმნის.

თუმცა ერთი რამ ცხადია: საქართველოს მხრიდან დაშვებული შეცდომები არანაირად არ ამართლებს რუსეთის სამხედრო აგრესიასა და მის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას.

საქართველოს ეკონომიკა: შეცდომები, საფრთხეები და მათი დაძლევის გზები

საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში შექმნილია სიტუაცია, რომელიც დიდი საფრთხეების შემცველია. ეს საფრთხეები იმ შეცდომების შედეგია, რაც ბოლო წლების განმავლობაში “უხვად” იქნა დაშვებული. შექმნილ სიტუაციას მნიშვნელოვნად ამძიმებს რუსული სამხედრო აგრესია. ეს საფრთხეები შესაძლოა გახდეს რუსული ოკუპაციის შემდგომ პერიოდში ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური რეაბილიტაციის სერიოზული ხელშემშლელი ფაქტორები.

ქვემოთ ცალკეული სფეროების მიხედვით მოყვანილია დაშვებული შეცდომების არსი და დასახულია მათი თავიდან აცილების გზები.

საკუთრების უფლება

შეცდომის არსი

ყველაზე დიდი შეცდომა, რაც დაუშვა “ვარდების რევოლუციის” გზით მოსულმა ხელისუფლებამ ეს კერძო საკუთრების უფლების ხელყოფაა. მესაკუთრებს ძალოვანი უწყებების ზენოლით აიძულებდნენ ვითომდა “ნებაყოფლობით” დაეთმოთ საკუთრება სახელმწიფოს სასარგებლოდ. ეს პროცესი დეპრივატიზაციის საბურველქვეშ იქნა გატარებული, რომლის მიზნადაც პრივატიზაციაში 2004 წლამდე დაშვებულ შეცდომათა ვითომდა გამოსწორება იქნა გაცხადებული. სინამდვილეში საკუთრების უფლების ხელყოფა გამოყენებულ იქნა ხელისუფლებასთან დაახლოებულ ე.წ. ელიტარულ ბიზნესმენტათვის ქონების გადანაწილების მიზნით. ამ სიტუაციას ისიც ამძიმებდა, რომ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაინგრა არაერთი შენობა-ნაგებობა; თითოეული ასეთი შემთხვევა საკუთრების უფლების დარღვევის თვალსაჩინო პრეცედენტი იყო.

საფრთხე

საკუთრების უფლების ხელყოფა არასტაბილურობის განცდას ქმნის, რაც ეკონომიკური განვითარებისათვის შემაფერხებელი ფაქტორია.

დაძლევის გზა

აუცილებელია საკუთრების უფლების დაცვის არა მარტო საკანონდებლო ბაზის სრულყოფა, არამედ ხელისუფლების მხრიდან იმ პოლიტიკური ნების არსებობაც, რომ ამგვარი რამ აღარ განმეორდეს. ამასთან ყველა მათ, ვისაც უკანონოდ, იძულების გზით ჩამოერთვა თუ გაუნადგურდა საკუთრება, უნდა მიეცეს სათანადო კომპენსაცია.

სახელმწიფო ქონების გასხვისება

შეცდომის არსი

2004 წლიდან დაწყებული მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია მიმდინარეობდა კანონმდებლობის სრული დარღვევით, რაც სულაც არ არის გასაკვირი, თუ კი გავიხსენებთ, რომ სწორედ ამ გზით შემოვიდა საქართველოში რუსული, ყაზახური, თუ არაბული კაპიტალი. ხშირ შემთხვევაში პრივატიზაციისას გაჟღერებულ თანხაზე რამოდენიმეჯერ ნაკლები ფიქსირდებოდა სახელმწიფოსა და ახალ კერძო მესაკუთრეს შორის გაფორმებულ კონტრაქტებში.

არც თუ იშვიათად, სპეციალურად ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზაციაში მონაწილეობის მისაღებად, პრივატიზაციის წინ იქმნება ფორმები საეჭვო დამფუძნებლებითა და საეჭვო კაპიტალით, და სწორედ ისინი გამოდიან შესაბამის ტენდერებში გამარჯვებულნი.

სახეზეა ისეთი შემთხვევებიც, როცა ჩვენი სახელმწიფო ქონების მესაკუთრე ხდება სხვა სახელმწიფო (მაგალითად, თბილგაზის გასხვისების შემდეგ მისი მესაკუთრე ყაზახური სახელმწიფო კომპანია გახდა), რაც პრივატიზაციად ვერანაირად ვერ ჩაითვლება, თუმცა საქართველოს მთავრობამ ეს გარიგებაც პრივატიზაციის კონტექსტში გააპიარა.

ყველაზე დიდ გაცებას კი ის იწვევს, რომ პრივატიზებული გაერთიანებული ქართული ბანკის ნაციონალიზაცია საქართველოს მთავრობის ნახალისებით განახორციელა რუსულმა სახელმწიფომ, როცა მისი საკონტროლო პაკეტი რუსულმა სახელმწიფო ბანკმა — ვნეშტორგბანკმა შეიძინა.

მთავრობამ საჯაროდ უარყო სტრატეგიული ობიექტების ცნება, რათა ხელ-ფეხი გახსნოდა ასეთი ობიექტების გასასხვისებლად.

საფრთხე

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის არაგამჭვირვალობა ქმნის კორუფციის შესაძლებლობებს, ხოლო სტრატეგიული ობიექტების გადაცემა საქართველოს მტრის — რუსეთის კომპანიების (მათ შორის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული) ხელთ ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ საქართველოში ხელი შეუწყონ ეკონომიკურ საბოტაჟს.

დაძლევის გზა

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესი უნდა ტარდებოდეს მაქსიმალური გამჭვირვალობით ისე, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ არიან ამა თუ იმ კომპანიის დამფუძნებლები. კანონით უნდა აიკრძალოს ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების

შემოსვლა საქართველოს ეკონომიკაში. იმ ობიექტებზე კი, რომლებიც დღეს არიან რუსული კაპიტალის და ასევე საეჭვო წარმომავლობის ფირმების (მაგალითად, “ენერგო-პრო”, “მულტი-პლექსი” და სხვ.) კონტროლქვეშ, უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო ზედამხედველობა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების (საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის) მხრიდან. შესაბამის კანონებში უნდა აისახოს ამ უწყებებისათვის ხსენებული მიმართულებით უფლებამოსილებათა გაძლიერების მექანიზმები.

კონკურენციის შეზღუდვა

შეცდომის არსი

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ დაიწყო არაერთი სახელმწიფო ინსტიტუტის ნგრევა, რამაც ხელი შეუწყო ქართული სახელმწიფოს დასუსტებას. კერძოდ, 2004 წლის ბოლოს, ვითომდა რეფორმების საბურველქვეშ გაუქმდა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და შესაბამისად სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, რითაც ხელი შეეწყო ბაზარზე მონოპოლიების განვითარებას.

ამკარა კუროზი კი ის იყო, როცა 2007 წლის ოქტომბერში მთავრობის სხდომის ტელეტრანსლიაციისას შევიტყვეთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ანტიმონოპოლიური რეგულირების ფუნქცია მარილის, შაქრის და სხვ. საქონლის ბაზრებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა, რაც სრული ნონსენსია, რამეთუ ეს ფუნქცია არანაირ კავშირშია პოლიციისა, თუ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობასთან. (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მსგავსი კუროზი ადრეც, კერძოდ, 2006 წლის გაზაფხულზეც მოხდა, როცა თავდაცვის მინისტრს პრეზიდენტის მიერ ქართული ღვინისათვის საზღვარგარეთ ბაზრების მოძიება დაევალა).

საფრთხე

მონოპოლიების მხრიდან საბაზრო კონკურენციის შეზღუდვა არა მარტო აფერხებს ეკონომიკის განვითარებას, არამედ საბოლოო ჯამში მომხმარებელს აზარალებს, რომელიც იძულებულია საჭირო საქონელი თუ მომსახურეობა მონოპოლიურად მაღალ ფასში შეიძინოს.

გარდა ხსენებულისა, ანტიმონოპოლიური რეგულირების არარსებობა სერიოზული ბარიერია იმისათვის, რომ ევროკავშირმა საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მიანიჭოს.

დაძლევის გზა

აუცილებელია ანტიმონოპოლიური რეგულირების ისეთი კანონის მიღება და ამოქმედება, რომელიც თავსებადი იქნება ევროკავშირის სათანადო კანონმდებლობასთან.

სახელმწიფო სტატისტიკა

შეცდომის არსი

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი 2004 წლამდე უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტს ექვემდებარებოდა, ხოლო 2004 წელს კი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში იქნა შეყვანილი, რაც აშკარად ინტერესთა კონფლიქტია. შედეგად დღეს საქართველოში სტატისტიკას იგივე პოლიტიკური ფუნქცია აკისრია, რაც მას ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ჰქონდა. ეს კი, კერძოდ, იმაში გამოიხატება, რომ რეალური ფაქტების მიუხედავად სახელმწიფო სტატისტიკამ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ყოველწლიურად უპირობო გაუმჯობესება უნდა გამოაქვეყნოს.

2006 წლის აგვისტოში სტატისტიკის დეპარტამენტს “შემთხვევით გაეპარა” და წლიური ინფლაცია ივლისის თვის მდგომარეობით 14,5 პროცენტის დონეზე დააფიქსირა. ამის გამო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის თბილისში მყოფი მუდმივი წარმომადგენლის მხრიდან მწვავე, თუმცა სამართლიანი, კრიტიკა დაიმსახურა. შედეგად მთავრობამ დეპარტამენტის თავმჯდომარე გადააყენა და მთავრობისადმი აშკარად მორჩილ მის შემცვლელს დაევალა ინფლაციის გამოქვეყნებული მაჩვენებლის თანდათანობითი შემცირება. მთავრობის განცხადების თანახმად 2006 წლის დეკემბრის მდგომარეობით წლიური ინფლაცია 8,8 პროცენტის დონეზე იქნა დაფიქსირებული, რითაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა, რომ ინფლაციის წლიური მაჩვენებელი არ ყოფილიყო ორნიშნა, ფორმალურად დაკმაყოფილდა. ფაქტია, რომ არც ჩვენი მოქალაქეების მხრიდან იყო იმის განცდა და არც ქართველი ექსპერტებისაგან იმის შეფასება, რომ წლიური ინფლაციის დონე არ იყო ორნიშნა.

სამწუხაროდ, სტატისტიკური ინფორმაციით მანიპულირება მთავრობის მიერ დღესაც გრძელდება. ამ “თამაშში”, სამწუხაროდ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიც “წარმატებით” მონაწილეობენ.

საფრთხე

ფაქტია, რომ არავინ იცის ის რეალური სურათი, რასაც მეტ-ნაკლებად ობიექტური სტატისტიკა უნდა იძლეოდეს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის დამახინჯება არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სათანადო კორექცია მოხდეს ეკონომიკურ პოლიტიკაში. მცდარი გზით სიარული კი საბოლოო ჯამში უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენებს მთელ ქვეყანას და მის მოსახლეობას.

დაძლევის გზა

აუცილებელია სტატისტიკის შესახებ ახალი კანონის მიღება, რომელიც შესაბამის სახელმწიფო დანებს უზღვევს მინიჭებს რეალურ დამოუკიდებლობას მთავრობისაგან. ამისათვის, აუცილებელია ამ დანებს უზღვევს გამოყვანა მთავრობის შემადგენლობიდან და მისი დაქვემდებარება ქვეყნის პრეზიდენტისადმი, ან უკიდურეს შემთხვევაში პარლამენტისადმი მაინც.

ინფლაციის სტიმულირება მთავრობის მიერ

შეცდომის არსი

პოსტ-რეველუციური მთავრობისათვის, სამწუხაროდ, დამახასიათებელი გახდა პოპულისტური ეკონომიკური პროგრამების გატარება, რაც პრაქტიკულად ინფლაციის ზრდას უწყობდა ხელს. ამ ტიპის პროგრამებში განსაკუთრებით გამოირჩევა დასაქმების გაზრდის კეთილშობილური მიზნების მქონე ღონისძიებები, რომელთა თანახმადაც, მენარმეებს იმპერატიულ ტონალობაში ეთხოვათ სამი თვის განმავლობაში დაესაქმებინათ უმუშევრები, რომლებიც ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდნენ 2006 წელს თვეში 150 ლარის, ხოლო 2007-2008 წლებში თვეში 200 ლარის ოდენობით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული ათეულობით მლნ. ლარის შედეგად ერთეულები მართლაც დასაქმდნენ, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში მოხდა ჩვეულებრივი გარიგება: მენარმეები თანახმა იყვნენ ხელი მოეწერათ ნებისმიერ დოკუმენტზე თითქოს კონკრეტული პირი სამსახურში დადიოდა და რაღაცას აკეთებდა. უმუშევარიც კმაყოფილი დარჩა, რადგან მან ჯერ 450, მოგვიანებით 600 ლარი მიიღო არაფერში. უფრო მახინჯი სიტუაციებიც დაფიქსირდა — ზოგი მენარმე ხელს მხოლოდ იმ შემთხვევაში უწერდა შესაბამის დოკუმენტზე, თუ უმუშევარი მას თანხის ნახევარს მისცემდა. საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაქმების ზრდის ხელშეწყობისათვის გამოყოფილი ათეულობით მლნ. ლარის შინაარსობრივი დატვირთვა უმთავრესად უმუშევართათვის შემწეობის გაღებაში გამოიხატა. ეს თანხა ისე გავიდა ბაზარზე სამომხმარებლო პროდუქციის შესაძენად, რომ ადეკვატური ოდენობის პროდუქცია და მომსახურება არ შეუქმნია, რამაც ბუნებრივად ინფლაციის ზრდას შეუწყობდა ხელი. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ე.წ. დასაქმების პროგრამასთან ერთად წინასაარჩევნოდ სტუდენტებისათვისაც გაკეთდა მსგავსი შინაარსის მქონე ქალაქის დასუფთავების პროგრამა, ხოლო 2007-2008 წლის ზამთარში დარიგდა სხვადასხვა სახეობის საქონლის შესაძენად გამოყოფილი ვაუჩერები, რის შედეგადაც ინფლაციის დონე კიდევ უფრო გაიზარდა.

საფრთხე

ამ ტიპის პოპულისტური პროგრამები ხელს უწყობენ ინფლაციის ზრდას და დასახულ მიზანს, როგორც წესი, ვერ აღწევენ. მაღალი ინფლაცია კი არა მარტო მოსახლეობისათვის აძვირებს ცხოვრებას, არამედ მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას უწყობს ხელს, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება მთელს ეკონომიკაზე.

დაძლევის გზა

აუცილებელია ხელისუფლებამ გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და უარი თქვას არაპროფესიონალიზმსა და პოპულიზმზე.

საბიუჯეტო მანიპულაციები

შეცდომის არსი

2008 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა გადაყვანილ იქნა ახალ მეთოდოლოგიაზე, რომლის თანახმადაც ბიუჯეტის დეფიციტის ფენომენი, როგორც ასეთი, “გაქრა”. მთავრობის მიერ წლის განმავლობაში აუთვისებელი თანხები, როგორც მეტობა საბიუჯეტო ხარჯებზე ფიქსირდება, როგორც

ბიუჯეტის პროფიციტი. სინამდვილეში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები თავისი ბუნებით აღწარმოებადი უნდა იყოს, და სწორედ ამიტომაც ბიუჯეტის შემოსავლებში გაითვალისწინება საგადასახადო შემოსავლები და არაერთჯერადი მოსაკრებლები. თუ ეს შემოსავლები მეტია საბიუჯეტო ხარჯებზე, მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი პროფიციტს, ხოლო თუ შემოსავლები ხარჯებზე ნაკლებია, მაშინ ბიუჯეტი დეფიციტურია. ყველა ერთჯერადი შემოსავალი (მაგალითად, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები, გრანტები, კრედიტები, და სხვ.) ბიუჯეტში მისი დეფიციტის დაფარვის წყაროა.

საფრთხე

ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით იქმნება იმის შთაბეჭდილება, თითქოს და სახელმწიფო ბიუჯეტი პროფიციტურია, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ბიუჯეტში ასახულია შემოსავლები პრივატიზაციიდან, ახლად აღებული საგარეო ვალი, ერთჯერადი მოსაკრებლები და სხვა, რაც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს იმას, რომ ბიუჯეტი დეფიციტურია. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტურობის შესახებ სწორი ინფორმაციის არქონა კი ქმნის იმის ილუზიას, რომ მთავრობა ანტიინფლაციურ პოლიტიკას ატარებს, რაც, სამწუხაროდ, სინამდვილისაგან შორსაა.

დაძლევის გზა

აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის საყოველთაოდ მიღებულ მეთოდოლოგიაზე გადასვლა, რომლის თანახმადაც, ბიუჯეტის შემოსავლებად მხოლოდ გადასახადები და არაერთჯერადი მოსაკრებლები შევა.

ურთიერთობები დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის

შეცდომის არსი

პოსტ-რეგულაციური მთავრობის ერთ-ერთ “დამსახურებად” ითვლება შრომის კოდექსის ისეთი ვარიანტის მიღება, რომელიც მაქსიმალურ უფლებებს აძლევს დამქირავებელს და აბსოლუტურად უუფლებოს ხდის დაქირავებულს. ამ ტიპის შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას მთავრობა იმით ასაბუთებს, რომ მიმზიდველი გახადოს საქართველო უცხოელი ინვესტორებისათვის.

2006 წელს პრეზიდენტის ინიციატივით 20 პროცენტის სოციალური გადასახადი და 12 პროცენტის საშემოსავლო გადასახადი უნდა გაერთიანებულიყო (!?) საშემოსავლო გადასახადში, რომლის დონეც უნდა დადგენილიყო 25 პროცენტით. ეს ასეც გაკეთდა, და შესაბამისი საგადასახადო ცვლილება ძალაში 2007 წლიდან შევიდა. 2008 წლის ბოლოს მიღებული გადანყვეტილების თანახმად 2009 წლიდან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 25 პროცენტიდან 20 პროცენტამდე უნდა შემცირდეს, რაც თავისთავად კარგია დაქირავებულთათვის, თუმცა სულაც არ უნდა იყოს დავინყებულის ის, რომ ორიოდე წლის წინ ეს განაკვეთი მხოლოდ 12 პროცენტი იყო.

იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი სხვადასხვა ბაზიდან იანგარიშება, მათი გაერთიანება პრინციპულად შეუძლებელია.



საფროტხე

ახალმა შრომის კოდექსმა დაქირავებულთა სოციალური მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა. გარდა ამისა, დაქირავებულთა უფლებობა სერიოზული ბარიერია იმისათვის, რომ ევროკავშირმა საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მიანიჭოს.

რაც შეეხება გადასახადებს, აქ სინამდვილეში დამქირავებლებს გაუუქმეს 20 პროცენტის სოციალური გადასახადი და მის სანაცვლოდ დაქირავებულებს საშემოსავლო გადასახადი 12-დან 25 პროცენტამდე გაუზარდეს. ფაქტობრივად დაქირავებულთა მდგომარეობა არსებითად გაუარესდა.

დაძლევის გზა

აუცილებელია შრომითი ურთიერთობების რეგულირების ისეთი კანონის მიღება და ამოქმედება, რომელიც თავსებადი იქნება ევროკავშირის სათანადო კანონმდებლობასთან, რაც იქნება იმის გარანტია, რომ დაქირავებულები თავს მეტ-ნაკლებად დაცულად იგრძნობენ.

მიზანშეწონილია სოციალური გადასახადის აღდგენა 12 პროცენტის დონეზე, ხოლო საშემოსავლო გადასახადის დაწევა ასევე 12 პროცენტის დონეზე. ამ შემთხვევაში დამქირავებლებსა და დაქირავებულებზე დასაქმებასთან დაკავშირებული საგადასახადო ტვირთი თანაბრად გადანაწილდება. სამომავლოდ კი ორივე ამ გადასახადის განაკვეთი შეიძლება დაწეულ იქნეს 10 პროცენტამდე.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა – ეკონომიკური განვითარების მახე

შეცდომის არსი

თავისუფალი ეკონომიკური ზონის (ანუ იმ ეკონომიკური სივრცის, სადაც ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისაგან განსხვავებით, სხვადასხვა სახეობის შეღავათები მოქმედებს) იდეა ძირითადად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ლიდერის, ასლან აბაშიძის სახელთანაა დაკავშირებული.

ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური ლიბერალიზაციის პირობებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ეკონომიკური მიზანშეწონილობა კლებულობს, რადგანაც შესაძლო შეღავათების ნუსხა და მასშტაბები სწორედ ამ ლიბერალიზაციის გამო მცირდება. ეს კი ის მნიშვნელოვანი არგუმენტია, რომლის გათვალისწინების სურვილი, სამწუხაროდ, არც ასლან აბაშიძეს და არც პოსტ-რევოლუციურ მთავრობას აღმოაჩნდა.

საფროტხე

სიტუაციას ამძიმებს ის, რომ დღეს (ომამდეც, და განსაკუთრებით ომის შემდეგ) საქართველოს ეკონომიკა ინვესტიციების ნაკლებობას, ანუ ინვესტიციურ “შიმშილს” განიცდის და ასეთ პირობებში თავისუფალი

ეკონომიკური ზონის შექმნა (რისი განხორციელებაც ხელისუფლებამ ფოთში გადაწყვიტა) ქვეყანაში ინვესტიციური “შიმშილის” გაღრმავებას გამოიწვევს, რაც საბოლოო ჯამში მთელი ეკონომიკის განვითარებას შეაფერხებს. ინვესტიციური “შიმშილის” პირობებში არა მარტო უცხოელი, არამედ ადგილობრივი პოტენციური ინვესტორიც ფულს მხოლოდ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში დააბანდებს. ასე რომ, მომავალში ინვესტიციები მხოლოდ ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში ჩაიდება და არცერთი ინვესტორი აღარ მოინდომებს ინვესტიციის გაღებას, მაგალითად, ქუთაისში, ზუგდიდში, რუსთავსა თუ თელავში, რაც იმას ნიშნავს, რომ ფოთისა და მიმდებარე რეგიონების ეკონომიკური განვითარება დანარჩენი საქართველოს ხარჯზე მოხდება.

დაძლევის გზა

თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაარსებისა და რეგულირების საქართველოში მოქმედი კანონი სპეციალური ინდუსტრიული ზონის შესახებ უნდა გაუქმდეს. იმ უცხოელ ინვესტორთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც შეირჩა ფოთში ამ ზონის შესაქმნელად და გასანვითარებლად, სათანადო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებითა და იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ სწორედ ფოთის პორტი და ფოთის მიმდებარე ტერიტორია იყო რუსების მიერ ოკუპირებული და დაზიანებული, საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით უნდა გაუქმდეს.

საქართველოს ეროვნული ბანკის დასუსტება

შეცდომის არსი

საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2006 წლის გაზაფხულზე დააპირა ეროვნული ბანკის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის დაკნინება და ამ მიზნით მოამზადა ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებები, რომელთა თანახმადაც საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს უნდა ჩამოშორებოდა. ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგობის შედეგად მთავრობამ სანადელი ვერ აისრულა და ეროვნული ბანკიც გადარჩა.

2007 წლის გაზაფხულზე კი, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გადამდგარი იყო და მის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი ასრულებდა, მთავრობამ დრო იხელთა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წინააღმდეგობის მიუხედავად ძირითადად მიაღწია სანადელს: საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს ჩამოაშორა, ხოლო თვით ეროვნულ ბანკს ერთადერთი ფუნქცია — ინფლაციის რეგულირება დაუტოვა. ამასთან ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობა დამოკიდებული გახდა ინფლაციის წლიური დონეზე დაწესებული ზედა ზღვარის დარღვევაზე, რაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ხდის მთავრობაზე დამოკიდებულს, რამეთუ მთავრობის ხელთაა წლიური ინფლაციის დონეზე ზეგავლენის არანაკლები ძალის მქონე ინსტრუმენტები, ვიდრე ეს ეროვნული ბანკის განკარგულებაშია.

მართალია საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თავის მემორანდუმში მოკრძალებულ ტონალობაში დააფიქსირა თავისი თხოვნა საქართველოს მთავრობისადმი, რომ ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა არ შელახულიყო, მაგრამ ეს თხოვნა ვერ გახდებოდა ანგარიშგასაწვევი, რადგანაც 2008 წლის გაზაფხულზე ფონდს საქართველოში პროგრამა უკვე აღარ გააჩნდა.

საფროსხე

საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა დიდადაა დამოკიდებული ეროვნული ბანკის საქმიანობაზე. ამდენად მისი რეგულირების სფეროს განმსაზღვრელი ინდიკატორის მხოლოდ ინფლაციის მაჩვენებლით შემოფარგვლა ქმნის იმის წინაპირობას, რომ სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორები (მაგალითად, გაცვლითი კურსი, საგადასხდელო ბალანსი, უცხოური ვალუტის რეზერვები და სხვ.) დარჩება პრაქტიკულად უყურადღებოდ, ანუ მათზე ეროვნული ბანკი იზრუნებს მხოლოდ და მხოლოდ იმ კუთხით თუ რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ მაკროეკონომიკურ ინდიკატორს ინფლაციის წლიურ დონეზე. რაც შეეხება საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის გატანას ეროვნული ბანკიდან მისადმი დაქვემდებარებულ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოში ინვესტს ამ ფუნქციის განხორციელების ინსტიტუციურად უფრო დაბალ დონეზე გადატანას, რაც ზრდის მთავრობის მხრიდან ამ სააგენტოზე ზენოლის შესაძლებლობებს. ეროვნული ბანკი ინსტიტუციური დაკნინება მას დამოკიდებულს ხდის მთავრობაზე, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ბანკის პოლიტიზაციას და ნაკლებად დაცულს ხდის საბანკო სისტემას, ხოლო მაკროეკონომიკური სტაბილურობის გარანტიები კი მნიშვნელოვნად სუსტდება.

დაძლევის გზა

აუცილებელია ეროვნული ბანკის შესახებ ახალი კანონის მიღება, რომელიც ხელს შეუწყობს მისი დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდას. მრავალფეროვანი უნდა გახდეს ეროვნული ბანკის მიზნები (ის არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ინფლაციის წლიური დონით), რამაც მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და შენარჩუნების მყარი გარანტიები უნდა შექმნას. საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია კი აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს ეროვნულ ბანკს.

ევროობლიგაციების ემისია და საგარეო ვალის დამატებით 500 მლნ. აშშ დოლარით გაზრდა

შეცდომის არსი

მიუხედავად იმისა, რომ “ვარდების რევოლუციის” შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები პრაქტიკულად უწყვეტ რეჟიმში იზრდებოდა, რის გამოც საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ვალი არ უნდა გაეზარდა, 2008 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ ქვეყანას ევროობლიგაციების გამოშვებით საგარეო ვალი 500 მლნ. აშშ დოლარით გაუზარდა. ამ კუროზს ისიც ემატება, რომ მთავრობამ პრაქტიკულად აღიარა, რომ არც კი იცის, თუ რაში სჭირდება ეს ფული. ის თავიდან აცხადებდა, რომ ეს ფული მას ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის დასაფინანსებლად სჭირდებოდა, ხოლო ბოლოს აღიარა, რომ ამ თანხის ნახევარს მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდებში მოუყრის თავს, ხოლო მეორე ნახევარზე გადანყვეტილებას კი მომავალში მიიღებს. ჯერ ერთი, ხსენებული ფონდები ბიუჯეტის პროფიციტიდან (თანაც რეალური და არა ვირტუალური) უნდა ივსებოდეს, ხოლო მეორე და მთავარი კი ისაა, რომ გადასახადის გადამხდელებს მთავრობამ არც კი აუხსნა, თუ რატომ აიღო მან ეს სესხი, რომელიც 5 წლის შემდეგ ჩვენი (გადასახადის გადამხდელების) გადასახდელია, რასაც ყოველწლიურად ამ სესხზე 7,5 პროცენტის გადახდაც ემატება.

რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული აგრესიის შემდეგ ეს 500 მლნ. აშშ დოლარი შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკური ზარალის ასანაზღაურებლად და სხვა შიდა სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის.

საფროსე

ხსენებული საგარეო ვალი 2013 წელს იქნება დასაფარი. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად 2012 წელს უნდა ჩატარდეს საპარლამენტო, ხოლო 2013 წელს კი საპრეზიდენტო არჩევნები, რისი გათვალისწინებით ნაკლებად სავარაუდოა, რომ იმ დროს სახელმწიფო ბიუჯეტში მოიძებნოს ნახევარი მილიარდი დოლარის (ხოლო პროცენტის გათვალისწინებით კი უფრო მეტიც) ეკვივალენტი “თავისუფალი” თანხა ამ საგარეო ვალის დასაფარად. ამ ვითარებაში მთავრობა იძულებული იქნება კვლავ გამოიყენოს იგივე მექანიზმი და აიღოს ახალი საგარეო სესხი არა ნაკლები ოდენობით, ვიდრე ეს საჭირო იქნება ძველის დასაფარად. საქართველოში არსებული საარჩევნო ციკლის გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ჩამოყალიბდეს “სავალო პირამიდა”, რომელიც დაეფუძნება პრაქტიკულად უწყვეტ მექანიზმს ზრდადი ახალი საგარეო სესხის აღებას ძველის დასაფარავად, რაც ქვეყნის საგარეო ვალდებულებების გაუმართლებელ ზრდას შეუწყობს ხელს.

დაძლევის გზა

აუცილებელია სახელმწიფო ვალის შესახებ კანონში ისეთი ცვლილებების შეტანა (შესაძლოა თვისებრივად ახალი კანონპროექტის მომზადებაც კი გახდეს საჭირო), რომელშიც მკაცრად იქნება რეგლამენტირებული სახელმწიფო ვალის ზრდასთან დაკავშირებული საკითხები, რაც მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს ამ სფეროში ბევრად უფრო მაღალ რანგში აიყვანს, რათა ქვეყანაში “სავალო პირამიდა” არ ჩამოყალიბდეს.

„მწვანე პარასკევი“

შეცდომის არსი

საქართველოსათვის ავბედით 7 ნოემბერს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კომერციული ბანკების მოთხოვნამ აშშ დოლარზე, მათი მხრიდან ნულოვანი მიწოდების პირობებში (როგორც ეს იყო ბოლო ერთ თვეზე მეტი დროის განმავლობაში) 31 მლნ-ს გადააჭარბა. ეროვნულმა ბანკმა ამ მოთხოვნიდან მხოლოდ 270 ათასი დააკმაყოფილა და შემდეგ საბირჟო ვაჭრობა შეწყვიტა ვითომდა ტექნიკური მიზეზების გამო. ამან კი იმავე დღესვე შექმნა პანიკა: ბანკომატები ფულისაგან მყისიერად დაცარიელდა, ხოლო გადამცვლელმა ჯიხურებმა დოლარის კურსი მნიშვნელოვნად აწიეს, თანაც ხშირ შემთხვევაში უარს ამბობდნენ დოლარის გაყიდვაზე. ასე რომ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ქვეყანას “მწვანე პარასკევი” მოუწყო. საქართველოს სავალუტო ბაზარზე პანიკური დაბნეულობა შაბათ-კვირასაც გაგრძელდა, ხოლო ორშაბათს, 10 ნოემბერს, როცა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობა განახლდა, ეროვნულმა ბანკმა გაყიდა 47 მლნ დოლარი და დააფიქსირა ლარის ახალი გაცვლითი კურსი, რომლის თანახმადაც “მწვანე პარასკევის” დილასთან შედარებით ლარი დოლართან მიმართებაში 15 პროცენტით გაუფასურდა. მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ განცხადება იმის შესახებ, რომ ის, რაც 7 ნოემბერს მოხდა, თითქოსდა წინასწარ იყო დაგეგმილი.

აგვისტოს ომის შემდეგ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად Stand-By-ს პროგრამით (stand-by arrangement) 750 მლნ აშშ დოლარის

კრედიტი გამოუყო, რომლიდანაც 250 მლნ უკვე 2008 წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა ეროვნული ბანკის რეზერვებში. ქართული ლარის თანდათანობით, მცოცავი გაუფასურების ნაცვლად საქართველოს ეროვნული ბანკი ცდილობდა ამ რეზერვების ხარჯვით უზრუნველყო ლარის თითქმის შეუმჩნეველი გაუფასურება. კერძოდ, ერთი თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის რეზერვებიდან დაიხარჯა 300 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ლარი დოლართან მიმართებაში გაუფასურდა მხოლოდ 2,5 პროცენტით. ასე რომ, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული 250 მლნ აშშ დოლარი უკვე გახარჯულია, თუმცა ამ ხარჯვის ეფექტიანობა კი ძალზედ დაბალი, რაც გახდა იმის საფუძველი, რომ ხელისუფლებას ქვეყნისათვის “მწვანე პარასკევი” მოეწყო.

საფროსხე

“მწვანე პარასკევის” შემდეგ მოსახლეობა გაურბის ლარს, კომერციული ბანკები ერიდებიან ლარში კრედიტების გაცემას და საბოლოო ჯამში ეკონომიკის დოლარიზაცია გაიზარდა. რადგანაც სამომხმარებლო ბაზრის 80 პროცენტი იმპორტულ საქონელს უჭირავს, ამან ხელი შეუწყო ფასების ნახტომისებურ ავარდნას.

დაძლევის გზა

ომის შემდგომ საქართველოში ლარის დევალვაციის პროცესი გარდუვალია, მაგრამ მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელია დევალვაცია განხორციელდეს თანდათანობით, რომ სავალუტო ბაზარზე გამოირიცხოს პანიკა, როგორც ეს “მწვანე პარასკევი” მოხდა. 2008-2010 წლებში საქართველოსათვის 4,5 მლრდ დოლარის დახმარება ქმნის იმის ობიექტურ საფუძველს, რომ ლარის შესაძლო ნახტომისებური ვარდნა გამოირიცხოს, თუმცა თუ “მწვანე პარასკევის” მომწყობთა მიმართ თუნდაც პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგა, არ არის გამორიცხული მისი გამეორება. ლარისადმი ნდობის აღდგენისათვის კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება დევალვაციის პროცესის მხოლოდ და მხოლოდ თანდათანობით რეჟიმში წარმართვას.

ეკონომიკური პროგრამა

შეცდომის არსი

ხელისუფლების 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მონოდება იყო “ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე!” ამ მონოდებას მთავრობამ “ხორცი შეასხა” იმავე სათაურის მქონე ე.წ. პროგრამით, რომელიც პარლამენტმა 2008 წლის იანვრის ბოლოს დაამტკიცა. ამ დოკუმენტს მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს პროგრამა, რამეთუ ის მხოლოდ და მხოლოდ რამოდენიმე გვერდზე ჩამონერლი მონოდებებით შემოიფარგლება.

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობითა და დაფინანსებით ჯერ კიდევ 2003 წელს მომზადდა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცდა “ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის

შემცირების” ვრცელი პროგრამა, რომელმაც თავის დროზე დიდი მონონება დაიმსახურა ამ ორგანიზაციების მხრიდან. ფაქტია, რომ იმდროინდელი მთავრობა იმდენად უუნარო იყო, რომ ამ პროგრამის განხორციელების დაწყება არც კი უცდია, ხოლო რევოლუციით მოსულმა მთავრობამ უარყო რა ყოველივე ის, რაც რევოლუციამდე გაკეთებულა, ხსენებული პროგრამა არათუ განაახლა, არამედ მისი არსებობა მივიწყებასაც კი მისცა!

მიუხედავად ამისა, საერთაშარისო სავალუტო ფონდიც და მსოფლიო ბანკიც წარმატებით იტყუებდნენ თავს და საჯაროდ აფიქსირებდნენ, რომ საქართველოში ხელს უწყობდნენ სიღარიბის შემცირების პროგრამას, ანუ მას, რასაც საქართველოს მთავრობა არც კი სცნობდა... უფრო მეტიც 2007 წლის სექტემბერში საერთაშარისო სავალუტო ფონდმა ისიც კი განაცხადა, რომ საქართველოში სიღარიბის შემცირების პროგრამა წარმატებით დასრულდა კიდეც! მას მერე საქართველოს მთავრობას ფონდთან ახალი პროგრამის დაწყება აღარ მოუსურვებია და რომ არა რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული აგრესია, სავალუტო ფონდს საქართველოში პროგრამა კიდეც კარგა ხანს არ ექნებოდა.

საფრთხე

საქართველოს ეკონომიკის გაძლოლა მთავრობის მხრიდან ბოლო წლებში ყოველგვარი პროგრამის გარეშე ხორციელდება. მარტო 2008 წელს გაპიარებული 50 თვიანი, თუ 18 თვიანი პროგრამები ხელმისაწვდომი არ არის, რაც ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ ასეთი დოკუმენტები სინამდვილეში არც კი არსებობს. ნამდვილი ეკონომიკური პროგრამის არარსებობა კი ქმნის იმის საფუძველს, რომ შეცდომების დაშვების ალბათობა გაიზარდოს.

დაძლევის გზა

აუცილებელია საქართველოს მთავრობამ მოამზადოს “ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების” ახალი ხუთწლიანი პროგრამა და მასზე მუშაობის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც ქართველი, ისე საერთაშარისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშარისო ორგანიზაციების სპეციალისტები.

მაკროეკონომიკური საფრთხეების გაძლიერება რუსული აგრესიის შემდეგ და მათი ნეიტრალიზაციის გზები

1. ეკონომიკური ზრდის ტემპის დაცემა (რეცესია)

ომამდელი ვითარება

ბოლო სამ წელიწადში (2005-07) საქართველოს ეკონომიკა დინამიკურად ვითარდებოდა: რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) ზრდის საშუალო ტემპმა 2005-2007 წლებში 10 პროცენტს გადააჭარბა. 2008 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 9 პროცენტს შეადგენდა. 2008 წლის პირველ ორ კვარტალში კი მშპ-ი 8.5 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკური ზრდის ძირითად მამოძრავებელ ძალას უცხოეთიდან კერძო კაპიტალის ნაკადების (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები + საბანკო კრედიტები) შემოდინება წარმოადგენდა. ოფიციალური მონაცემებით, რომელსაც სსფ-ც იზიარებს, 2004-2007 წლებში აღნიშნული ნაკადების მოცულობა 4.6 ჯერ გაიზარდა და 2.3 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია (მშპ-ის 22.5 პროცენტი).

ღრმა რეცესიის საფრთხე

საომარმა მოქმედებებმა და რუსულმა ოკუპაციამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა დარგს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს, ტურიზმს, ვაჭრობას, მშენებლობას და ფინანსურ შუამავლობას. ფაქტობრივ დანაკარგებს აღნიშნულ სფეროებში დაემატა საინვესტიციო კლიმატის მკვეთრი გაუარესება, რაც უცხოეთიდან კერძო კაპიტალის ნაკადების შემცირებაში გამოიხატება. ოფიციალური პროგნოზით, რომელსაც სსფ-ც ეთანხმება, ამ ნაკადების მოცულობა 2008 წლის პირველი ნახევრის 1.5 მლრდ აშშ დოლარიდან მეორე ნახევარში 0.5 მლრდ-მდე დაეცემა, რაც 2008 წელს მშპ-ის ზრდის ტემპის საპროგნოზო მაჩვენებლის 9-დან 3.5 პროცენტამდე ვარდნას გვიქადის. საინვესტიციო ნაკადების აღდგენის კვალობაზე 2009-10 წლებში, მთავრობა და სსფ ეკონომიკური ზრდის ტემპების, შესაბამისად, 4 და 6 პროცენტამდე მატებას ვარაუდობს. არსებობს უფრო ოპტიმისტური პროგნოზიც, რომლის თანახმადაც, მასშტაბური საერთაშორისო ფინანსური დახმარების პირობებში, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი მიმდინარე წელს დაახლოებით 5 პროცენტი იქნება, მომდევნო წლებში კი შესაბამისად 6-7 პროცენტს მიაღწევს.

რა ვიღონოთ?

რეცესიის ნაკლებად მტკივნეული სცენარი რომ განვითარდეს, საერთაშორისო ფინანსური დახმარება, განსაკუთრებით კი მისი საგრანტო კომპონენტი, რომელიც პირდაპირ ხაზინის ანგარიშზე ირიცხება (მიმდინარე წელს იგი სავარაუდოდ 500 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს), მაქსიმალურად უნდა წარიმართოს შიდა მოთხოვნის სტიმულირებისკენ. მიღებული გრანტები მკაცრად მიზნობრივად უნდა მოხმარდეს როგორც დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენას და დაზარალებულთა (იძულებით გადაადგილებულ პირთა) განსახლებას, ისე, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ენერჯეტიკის, ტურიზმის და კომუნალური მეურნეობის რეაბილიტაციას. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სახსრების ხარჯვას მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტი ჰქონდეს. ამასთან, თავიდან უნდა ავიცილოთ ფინანსური დახმარების მასობრივი მონეტიზაცია, რასაც შესაძლოა ინფლაციური პროცესების შემდგომი გაღვივება მოჰყვეს.

ეკონომიკური დინამიკის ომამდელი ტემპების მიღწევისათვის რაც შეიძლება მალე უნდა აღდგეს კერძო უცხოური ინვესტიციების ნაკადის ინტენსივობა. ვინაიდან ინვესტორთა ნდობის დაბრუნება, განსაკუთრებით მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში, ადვილი არ იქნება, უნდა ვისარგებლოთ პოლიტიკური რისკის დაზღვევის არსებული მექანიზმებით. ამ მხრივ, მიზანშეწონილია ინვესტიციების დაზღვევის სფეროში ცალკეული ქვეყნების კერძო ინვესტიციების ხელშემწყობი სამთავრობო ინსტიტუტების (ისეთების,

როგორცაა, მაგალითად, აშშ-ს OPIC-ი) შესაძლებლობების გამოყენება, რაც საერთაშორისო ფინანსური დახმარების ამჟამინდელ სქემაში ნაკლებადაა გათვალისწინებული; არადა, ანალოგიური დაწესებულებები თითქმის ყველა ძირითად დონორ ქვეყანაში ფუნქციონირებს.

სარისკო აქტივებიდან გლობალური გაქცევის ფონზე, აუცილებლად მიგვაჩნია ახალი ინვესტორების მოზიდვის არაორდინალური მეთოდების გამოყენება. ამ თვალსაზრისით სავსებით დასაშვებია მათთვის, გარკვეული დროით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ზოგიერთი ისეთი საგადასახადო შეღავათის მინიჭება, როგორც დღემდე, არსებული კანონმდებლობით, მხოლოდ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მოქმედ ინვესტორებს ჰქონდათ. ამასთან, განსაკუთრებული შეღავათებით მიზანშეწონილია იმ ინვესტორებმა ისარგებლონ, რომლებიც თავიანთ კაპიტალს ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებაში განათავსებენ და ახალ სამუშაო ადგილებს შექმნიან.

ეკონომიკური აქტივობის მხარდასაჭერად დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციები, რისთვისაც, ოპტიმალურად უნდა იქნას შერწყმული ეროვნული ბანკის და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (უნინარეს ყოვლისა EBRD-ისა და IFC-ის) ძალისხმევა. კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების საკუთარი ინსტრუმენტები კომერციული ბანკების მოკლე-ვადიანი (ერთ წლამდე) ლიკვიდობის შენარჩუნებას უნდა მოახმაროს, მაშინ როდესაც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო რესურსები მიზანშეწონილია ბანკების გრძელვადიანი საკრედიტო დაბანდებათა დაფინანსებაზე წარიმართოს, რაც საპროცენტო განაკვეთების სტაბილიზაციასა და დაკრედიტების მოცულობის ზრდას შეუწყობს ხელს.

აგრარული სექტორისა და მისი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის, აგრეთვე ადგილებზე ტურისტული ინფრასტრუქტურის უფრო ეფექტიანი მხარდაჭერის მიზნით “იაფი კრედიტის” პროგრამა მიზანშეწონილია საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირების პროგრამით შეიცვალოს, რომლის ფარგლებშიც, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრიორიტეტების საფუძველზე წარმოდგენილი პროექტების განხორციელების კომერციულ მიზანშეწონილობას უშუალოდ კომერციული ბანკები განსაზღვრავენ. ამასთან, საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირების ფონდის დაფინანსების მოცულობა, ახალი რეალობის გათვალისწინებით, “იაფი კრედიტის” პროგრამის დაფინანსებაზე ბევრად მეტი უნდა იყოს.

სამშენებლო სექტორში შექმნილი სერიოზული ფინანსური პრობლემების ნაწილობრივ განეიტრალების მიზნით დანგრეული სამოქალაქო ინფრასტრუქტურის აღდგენის და ახლის მშენებლობის სამუშაოებში მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული მოქმედი მსხვილი სამშენებლო კომპანიების სიმძლავრეები, ხოლო მათ მიერ განხორციელებული სამუშაოები დაუყოვნებლივ უნდა დაფინანსდეს, რათა აღნიშნულმა კომპანიებმა შეძლონ ბანკების მიმართ არსებული დავალიანების დროულად მომსახურება ან რესტრუქტურისება.

2. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და ლარის დევალვაცია

ომამდელი ვითარება

ბოლო სამ წელიწადში (2005-2007) საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2.8-ჯერ გაიზარდა და 2 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა (მშპ-ის 19.7 პროცენტი). ამგვარი დინამიკა ძირითადად იმპორტის მკვეთრმა მატებამ განაპირობა, რომელიც იგივე პერიოდში 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. იმპორტის ფორსირებული ზრდა ძირითადად სამომხმარებლო ბუმის შედეგი იყო, რომელიც მნიშვნელოვანწილად ბანკების მიერ უცხოეთიდან მოზიდული შედარებით იაფი საკრედიტო რესურსებით ფინანსდებოდა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი უცხოეთიდან კერძო კაპიტალის შემოდინებით, უნინარეს ყოვლისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით იფარებოდა. ამდენად, საგადამხდელო ბალანსის გარღვევას ომამდელ პერიოდში ფაქტობრივად ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, სტაბილური იყო ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსიც.



საგადამხდლო ბალანსის გარღვევა

რუსული აგრესიის შემდეგ საქართველოს მთავრობა და სსფ მიმდინარე ანგარიშის რაიმე სერიოზულ გაუარესებას არ ელიან, პირიქით, 2008-10 წლებში აღნიშნული დეფიციტის საკმაოდ მნიშვნელოვან შემცირებას ვარაუდობენ. 2008 წლის დარჩენილ პერიოდში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წლის პირველ ნახევართან შედარებით, როდესაც მან უპრეცედენტოდ მაღალ დონეს მიაღწია, მართლაც საგრძნობლად იკლებს, რაც უცხოური ინვესტიციებით და საბანკო კრედიტით დაფინანსებული იმპორტის არსებით შემცირებას უკავშირდება.

2007 წლის დონესთან შედარებით კი მიმდინარე ანგარიშის ბალანსის სერიოზული გაუმჯობესება საშუალოვადიან პერსპექტივაში ნაკლებად მოსალოდნელია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენა და დაზარალებულთა (დევენილთა) მატერიალური დახმარება მასშტაბური იმპორტის გარეშე ვერ მოხერხდება; მეორე, იგივე პირობებში (ინვესტიციების და კრედიტის ნაკლებობა) კიდევ უფრო ბუნდოვანია ექსპორტის პერსპექტივები; და მესამე, რუსეთის მხრიდან ბლოკადა შესაძლოა ფულად გზავნილებსაც შეეხოს, რომელთა ნაკადის საგრძნობი კლება ამ ქვეყნიდან აგვისტოში უკვე აღინიშნა. გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში კი გამორიცხული არ არის, რომ ფულადი გზავნილები სხვა ქვეყნიდანაც შემცირდეს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში (2010 წლის ბოლომდე) მიმდინარე ანგარიშის ბალანსი დაახლოებით 2007 წლის დონეზე იქნება.

მეორე მხრივ აშკარად გაუარესდა საქართველოს საინვესტიციო კლიმატი, რამაც მიმდინარე საინვესტიციო პროექტების შეჩერება და ახლის დაწყების გაურკვეველი ვადით გადადება გამოიწვია. ეს იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფარვის წყარო მნიშვნელოვნად კლებულობს. მართალია უცხოური ფინანსური დახმარება ამ დანაკლისს ძირითადად აანაზღაურებს, მაგრამ იგი მაინც არ იქნება საკმარისი მთლიანად საგადამხდლო ბალანსში წარმოქმნილი ფინანსური გარღვევის დასაფარად. ამგვარ პერსპექტივას, განსაკუთრებით 2009-10 წლებში, სსფ-ც ვარაუდობს.

ლარის კურსის ნახტომისებური დაღმასვლა

გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე ფინანსური დახმარება დონორების მხრიდან დროში არ დაემთხვა საგადამხდლო ბალანსის უზრუნველყოფის საჭიროებებს, რასაც ქვეყნიდან უცხოური ვალუტის მსხვილი ნაკადების განზიდვა მოჰყვა. ეროვნულმა ბანკმა, ჯერ ხელოვნურად შეაკავა ლარის კურსის დაღმასვლა, ხოლო შემდეგ, 2008 წლის 7 ნოემბერს, ერთბაშად მიუშვა იგი. თანაც, ეროვნული ვალუტის ნახტომისებური დევალვაცია უქმე დღეებში განხორციელდა, როდესაც ბანკები და სავალუტო ბირჟა არ ფუნქციონირებენ და ბაზარი ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ამარა რჩება, რომლებიც ადვილად ექვემდებარებიან სპეკულაციურ აჟიოტაჟს. საბოლოო ჯამში, ლარის ბანკოტური კურსის ნახტომისებური ვარდნის შედეგი ოფიციალურად გაფორმდა. ეროვნული ვალუტა თითქმის 13 პროცენტით გაუფასურდა. მსგავსი შოკი საქართველოს შინამეურნეობებს და ეკონომიკურ სუბიექტებს დიდი ხანია არ მიუღიათ. გასაკვირი არ არის, რომ მკვეთრად შეირყა წლების მანძილზე ეროვნული ვალუტის მიმართ ჩამოყალიბებული ნდობა, რასაც უაღრესად უარყოფითი გრძელვადიანი შედეგები ექნება.

სამომავლო ამოცანები

საგადამხდლო ბალანსის მნიშვნელოვანი გარღვევის და ლარის შემდგომი დევალვაციის თავიდან ასაცილებლად, უნინარეს ყოვლისა, საჭიროა დონორებთან ერთად 2008-10 წლებში საერთაშორისო ფინანსური დახმარების კოორდინაციის მექანიზმის შემუშავება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას უცხოეთიდან შემოსული ფინანსური ნაკადების ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფარვასთან უკეთ მორგების საშუალებას მისცემს.

საგადამხდლო ბალანსის გრძელვადიანი მგრადობის უზრუნველყოფა კი, საერთაშორისო ფინანსური დახმარების ამონურვის კვალობაზე, შეუძლებელი იქნება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის არსებითი შემცირების გარეშე. ამ მიზნით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადის აღდგენა განუხრელად უნდა იყოს დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკის საექსპორტო სექტორის სწრაფ განვითარებასთან.

უცხოელ ინვესტორთა დაინტერესება ახლო მომავალში, სხვა საშუალებებთან ერთად, აშშ-თან და ევროკავშირთან პრეფერენციული ვაჭრობის შესაძლებლობით უნდა მოხდეს. პრეფერენციების გაფართოების შესახებ აშშ-თან მიღწეული შეთანხმების შემდეგ, ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირის **GSP+**-ის სავაჭრო რეჟიმით სარგებლობის უფლების გაგრძელება, რისთვისაც ქართულმა მხარემ დროულად უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

პოტენციური ინვესტორებისთვის განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება იყოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დადების რეალური პერსპექტივა აშშ-სა და ევროკავშირთან. საქართველოს მთავრობამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის რათა, 2010 წლის ბოლომდე ორივე მხარესთან დაასრულოს მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ეს ადვილი არ იქნება, რადგანაც შეთანხმების მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ განხორციელდება ვაჭრობასთან დაკავშირებული ქართული კანონმდებლობისა და მარეგულირებელი პრაქტიკის ევროპულთან და ამერიკულთან ჰარმონიზაცია. სავარაუდოდ, ევროკავშირის მოთხოვნათა გაზიარება ქართული მხარისათვის უფრო ძნელი იქნება, რადგანაც მარეგულირებელი ჩარჩო ქვეყანაში ანგლო-საქსური ეკონომიკური მოდელის ულტრალიბერალურ ვერსიას ეფუძნება, რომელიც არსებითად განსხვავდება ევროპული მოდელისგან. მიუხედავად ამისა, საჭიროა, რომ უკვე 2009 წელს იქნას მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი იმ სფეროებში (მაგალითად, სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლი, სტანდარტები და ტექნიკური რეგულირება, საბაჟო პროცედურები, საჯარო შესყიდვები, პრუდენციული რეგულირება და სხვა), რომლებსაც აუცილებლად მოიცავენ თავისუფალი ვაჭრობის მომავალი ხელშეკრულებები.

მიღებული სავაჭრო პრეფერენციებით სარგებლობის უცხოურ ინვესტიციებთან ოპტიმალური შეთანხმება ახლო მომავალში მიზანშეწონილია განხორციელდეს ე.წ. გადაამუშავებით ვაჭრობის სქემით, რომლის ფარგლებშიც უცხოელი ინვესტიციით შექმნილი სანარმო გადაამუშავებს უშუალოდ ინვესტორის ან მისი პარტნიორის მიერ შემოტანილ ნედლეულს ან ნახევარფაბრიკატს, მათი შემდგომი რეექსპორტის მიზნით.

პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების მაქსიმალურად გამოყენება უშუალოდ უკავშირდება არასატარიფო ბარიერების გადალახვის აუცილებლობას, ამ მიზნით აუცილებელია ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარება, კერძოდ, ევროპული სტანდარტებისა და საექსპორტო პროდუქციის სერთიფიცირების ცივილური სისტემის დამკვიდრება.

ექსპორტის ხელშეწყობის ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებისათვის, აუცილებელია დონორი ორგანიზაციების (მაგალითად, **EBRD, KfW** და სხვა) მხარდაჭერით ექსპორტის დაფინანსების ფონდის შექმნა, რომელიც, მინიმალური ადმინისტრაციული დანახარჯებით, სავაჭრო პრეფერენციებით სარგებლობის დროს ფინანსურად უზრუნველყოფს ქართველი ექსპორტიორების საგარანტიო და სადაზღვევო მომსახურებას.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (**EBRD, IFC, ADB, BSTDB** და სხვა) უახლოს გეგმებში საქართველოს მიმართ პრიორიტეტული უნდა იყოს ისეთი პროექტების დაფინანსება (მათ შორის ქართული ბანკების საშუალებით), რომლებიც საექსპორტო და ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებული წარმოების ხელშეწყობასთან იქნება დაკავშირებული. ამდენად, ხანგძლივი მოხმარების საქონლის იმპორტთან შედარებით უპირატესობა ტექნოლოგიურ იმპორტს და ლიზინგის განვითარებას უნდა მიენიჭოს.

3. საბანკო სექტორის მდგრადობის შესუსტება

ომამდელი ვითარება

ბოლო სამ წელიწადში (2005-07) საბანკო სექტორი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი იყო: ამ პერიოდში მისი აქტივები საშუალოდ 60 პროცენტით იზრდებოდა, ხოლო დეპოზიტები 55 პროცენტით. 2007 წელს საბანკო სექტორის მთლიანმა აქტივებმა მშპ-ის 43 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როდესაც 2005 წელს 22 პროცენტს არ აღემატებოდა. მოყვანილი მონაცემები აშკარად მეტყველებენ იმაზე, რომ ბოლო წლებში საქართველოში ნამდვილ საკრედიტო ბუმს ჰქონდა ადგილი,

რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მოკლევადიანთან შედარებით გრძელვადიანი და კრედიტების წინმსწრები ტემპით ზრდა. გრძელვადიანი კრედიტების უმეტესობა სამ დარგში — ვაჭრობაში, მრეწველობასა და მშენებლობაში იყო განთავსებული, აქედან საკრედიტო დაბანდებაები ვაჭრობაში მნიშვნელოვნად აღემატებოდა დანარჩენი ორი სექტორის დაკრედიტების საერთო მოცულობას. ამდენად, საკრედიტო ბუმი, კერძოდ კი გრძელვადიანი დაკრედიტება, უფრო იმპორტის დაფინანსებას ემსახურებოდა, ვიდრე მატერიალური წარმოების განვითარებას.

საკრედიტო ბუმს თან სდევდა საბანკო რისკების გაძლიერება. დეპოზიტებისა და კრედიტების ვადიანობის აშკარა შეუსაბამობის უცხოეთიდან მოზიდული შედარებით იაფი და გრძელვადიანი საკრედიტო რესურსებით მასობრივმა გადაფარვამ გაამძაფრა ლიკვიდურობის რისკი. გლობალური ფინანსური კრიზისის გაღრმავების კვალობაზე ქართულმა ბანკებმა ველარ შეძლეს უცხოეთიდან საჭირო ოდენობის საკრედიტო რესურსების მოზილზება, რამაც საბოლოო ჯამში საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. სარგებლის განაკვეთების მატებას განაპირობებდა აგრეთვე ინფლაციის გაღვივება, რასაც ეროვნულმა ბანკმა საბაზისო საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი მომატებით უპასუხა. კრედიტის გაძვირებას ბანკების საკრედიტო პორტფელის გაუარესება მოჰყვა: სამშენებლო და სავაჭრო კომპანიებს მნიშვნელოვნად შეუმცირდათ გაყიდვები და სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ყოველივე ამის შედეგად საკრედიტო ბუმი საქართველოში საგრძნობლად დამუხრუჭდა.

საბანკო კრიზისის საფრთხე

რუსულმა აგრესიამ მყისიერად გაართულა საბანკო სექტორში არსებული ვითარება. მენაბრეების მნიშვნელოვანი ნაწილი ბანკებს მიაწყდა და თავისი ანაბრები გაიტანა. მართალია მოგვიანებით პანიკა ჩაცხრა, მაგრამ დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 15 პროცენტი სისტემიდან მაინც გავიდა. იმავდროულად გაუარესდა ბანკების საკრედიტო პორტფელი, რაც დაკავშირებული იყო საომარი მოქმედებების შედეგად სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ნგრევასა და ქვეყნის რამდენიმე რეგიონში ეკონომიკური აქტივობის სრულ პარალიზებასთან. ოდნავ მოგვიანებით ერთბაშად დამძიმდა სამშენებლო სექტორისა და ვაჭრობის სფეროს ფინანსური მდგომარეობა, რაც ბანკების მიმართ ვადაგადაცილებული დავალიანების ერთობ მნიშვნელოვან მატებაში გამოიხატა. ამ ფონზე სისტემაში ლიკვიდობის მკვეთრი დეფიციტი გამოიკვეთა, რომელიც ნაწილობრივ გაანეიტრალა ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა რეფინანსირების ოპერაციებმა და კომერციული ბანკების მიმართ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ნორმის არსებითმა დაწევამ. სიტუაციის დროებით განმუხტვას ხელი შეუწყო აგრეთვე კომერციული ბანკებისათვის დაწესებული ლიკვიდობის კოეფიციენტის მნიშვნელოვანმა შემცირებამ.

ლიკვიდობის დეფიციტის ერთგვარი შერბილება 2008 წლის სექტემბრის ბოლოს სრულებითაც არ ნიშნავს ამ პრობლემის გადაწყვეტას: მართალია, ბანკები თავიანთ მიმდინარე ვალდებულებებს ასე თუ ისე უმკლავდებიან, მაგრამ, ამ ვითარების მდგრადობა ერთობ საეჭვოა. საქმე იმაშია, რომ 2009 წლის პირველ ნახევარში წამყვან ქართულ ბანკებს უცხოეთში ადრე ნასესხები თანხების მნიშვნელოვანი ნაწილის, (რომლის მოცულობა ნახევარ მილიარდ დოლარს აღწევს), დაბრუნების ვადა უდგებათ. საბანკო კრიზისის თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა და დონორმა ქვეყნებმა 2008-09 წლებში საქართველოს დახმარების პაკეტის ფარგლებში საბანკო სექტორის რეაბილიტაციისათვის თითქმის 1 მლრდ. აშშ დოლარი გამოყვეს, რომელიც ბანკებმა საკრედიტო ხაზების და საგარანტიო მხადაჭერის, აგრეთვე კაპიტალში მონაწილეობის გზით უნდა მიიღონ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დახმარების დიდი ნაწილი კვლავ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას უკავშირდება, ამდენად ქართული ბანკების მდგრადობის შენარჩუნება გრძელვადიან პერიოდში ერთობ რთული იქნება, თუმცა ამჯერად უფრო აქტუალური მოკლე და საშუალოვადიანი პერსპექტივაა.

გადაუდებელი ღონისძიებები

რუსული აგრესიის შემდეგ საქართველოს ეკონომიკის რეკონსტრუქციასა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის აღდგენაში საბანკო სექტორის განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს მთავრობის, ეროვნული ბანკისა და ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან შეთანხმებით, საბანკო სექტორის რეაბილიტაციის დეტალური საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით ფინანსური ზედამხედველობის სააგენტომ უმოკლეს ვადებში უნდა დაასრულოს მოქმედი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხის და ვალდებულებათა სტრუქტურის ზედმინევიანობით ობიექტური შეფასება და ბანკების შესაბამისი პოზიციონირება, რის საფუძველზე უნდა განისაზღვროს ცალკეული საბანკო დანესებულებების ფინანსური დახმარების მიზანშეწონილობა და მასშტაბი.

სამოქმედო გეგმის რეალურობა ბევრად იქნება დამოკიდებული ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების რეფინანსირების შედარებით მოკლევადიანი (ერთ წლამდე) ინსტრუმენტების შემუშავებასა და მათზე სარგებლის ნორმის განსაზღვრის ისეთი წესის შემოღებაზე, რომელიც ფულის ბაზრის კონიუნქტურას დაეყრდნობა. რეფინანსირება ისეთმა ბანკებმა უნდა მიიღონ, რომელთაც მხოლოდ მიმდინარე ლიკვიდობის პრობლემა აქვთ და საშუალოვადიან პერსპექტივაში, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების თანადგომით, სტაბილურ ზრდას შეძლებენ. ის ბანკები კი, რომლებსაც უკვე აქვთ გადაულახავი ფინანსური სიძნელებები, დაუყოვნებლივ უნდა დაექვემდებარონ რეკაპიტალიზაციის მკაცრ მოთხოვნას, რაც მათში დამატებითი ინვესტიციის მოზიდვას ან კიდევ სხვა, უფრო სტაბილურ ბანკთან შერწყმას გულისხმობს.

რამდენადაც, როგორც გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, საბანკო სისტემის მდგრადობას უპირატესად მაკროეკონომიკური დეტერმინანტები განაპირობებენ, ხოლო ბანკების ლიკვიდობის სისტემურ მართვას უშუალოდ ეროვნული (ცენტრალური) ბანკები ახორციელებენ, აუცილებელია საბანკო და საზოგადოდ საფინანსო სექტორის რეგულირების სფეროში ეროვნული ბანკის როლის გაძლიერება. ამ თვალსაზრისით, მხოლოდ ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება ეროვნულ ბანკსა და საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს შორის საკმარისი არ იქნება. საჭიროდ მიგვაჩნია სააგენტოს საბჭოში ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ერთად თანამდებობრივად შეყვანილ იქნას ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტიც, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს კანონით შეეზღუდოთ თანამდებობის სააგენტოს საბჭოს წევრობასთან შეთავსების შესაძლებლობა.

საბანკო დანესებულებების რესურსების დანაწევრების და მათ მიერ არასაბანკო რისკების გაზიარების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში, რომლის მიხედვითაც ბანკებს არ ექნებათ, პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობის უფლება ა) სადაზღვევო კომპანიების კაპიტალში, რათა ამ უკანასკნელთ მიეცეთ საბანკო საქმიანობისგან დამოუკიდებელი განვითარების და სადაზღვევო საქმის შემდგომი დივერსიფიკაციის საშუალება და ბ) არასაფინანსო სექტორის კომპანიების კაპიტალში (ვაჭრობა, უძრავი ქონებით ოპერაციები, ტურიზმი და სხვა).

უძრავი ქონების ბაზრის კონიუნქტურის გაუარესების საბანკო დანესებულებებზე შესაძლო ნეგატიური გავლენის მინიმუმამდე დაყვანისათვის მიზანშეწონილია ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს ეგიდით დაინიშნოს მოლაპარაკებები ბანკებსა და წამყვან სამშენებლო კომპანიებს შორის ამ უკანასკნელთა ბანკების მიმართ დავალიანების გონივრული რესტრუქტურისა და შედარებით პერსპექტიული მიმდინარე პროექტების დაფინანსების აღდგენის თაობაზე, რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნას საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო რესურსები.

საბანკო დანესებულებათა მიმართ ნდობის აღდგენის მიზნით საჭიროა ახლო მომავალში ქვეყანაში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საბანკო დანესებულებათა ბანკროტობის შემთხვევაში მენაბრეთა ინტერესების გარკვეულ დაცვას უზრუნველყოფს. კანონპროექტს დეპოზიტების დაზღვევის შესახებ, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ გერმანელი ექსპერტების დახმარებით იქნა შემუშავებული, თავის დროზე მსვლელობა არ მიეცა. გარკვეული კორექტივების შეტანის შემდეგ, აღნიშნული კანონპროექტი კვლავ შეიძლება წარდგენილ იქნას პარლამენტში განსახილველად.

სოციალური კრიზისის ზოგიერთი ასპექტი

სოციალურ სფეროში არსებული სიტუაციის შესაფასებლად საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება „საზოგადოებრივი განვითარების ზღვრული კრიტიკული მაჩვენებლები“, რომლებიც აფასებენ ზოგად-სოციალურ მდგომარეობას. კერძოდ, დემოგრაფიულ სიტუაციას, უმუშევრობისა და სიღარიბის დონეს, ახდენენ მოსახლეობის დიფერენციაციას შემოსავლებისა და ხელფასის მიხედვით. ამ მაჩვენებლებით საქართველო არცთუ სახარბიელოდ გამოიყურება. თუ „ზღვრულ-კრიტიკული“ დონის მიხედვით, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (ფერტილური ასაკის ქალთა მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რიცხვი) 2,15-ია, საქართველოში ეს მაჩვენებელი 1,4-ს შეადგენს; მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტი (65 წელს ზემოთ ასაკის ადამიანთა ხვედრითი წილი) შესაბამისად 7,0 და 14,6 პროცენტია; უმუშევრობის დონე – 8-10 და 15,7 პროცენტი; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილი – 10% და 34,5%; თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე მდიდარ და ყველაზე ღარიბ 10%-იანი ჯგუფების შემოსავლებს შორის – 10:1 და 22:1; თანაფარდობა მინიმალურ და საშუალო ხელფასებს შორის – 1:3 და 1:14.

ამდენად, ყველა განხილული მაჩვენებლის მიხედვით, **საქართველოში მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა ე.წ. „ზღვრულ-კრიტიკულ დონესთან“ შედარებით**, რაც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს სოციალურ სფეროში ურთულესი ვითარების არსებობას. ამას კი შედეგად მოსდევს ისეთი მძიმე სოციალური შედეგები, როგორცაა: თაობათა მარტივი ცვლის უქონლობა, მოსახლეობის დაბერების მაღალი დონე, სოციალურად დაუცველი კატეგორიების ზრდა და მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ლუმპენიზაცია, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ანტაგონიზაცია და დესტაბილიზაცია ქვეყანაში.

სიღარიბის დაძლევის გზები — სურვილები და რეალობა: თანამედროვე საქართველოსათვის სიღარიბე უმწვავესი სოციალური პრობლემაა. ოფიციალური მონაცემებით, სიღარიბის დონე საარსებო მინიმუმის მიმართ 2003 წელს 54,5 %-ს შეადგენდა, 2004 წელს კი 52,0% იყო. 2006 წელს საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდის ცვლილების საფუძველზე თითქმის 1/3-ით შემცირდა საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი, რამაც გავლენა იქონია სიღარიბის დონის პარამეტრზეც. შესაბამისად, კორექტირდა 2004-2005 წლების მონაცემები და 2004 წლის სიღარიბის დონე 35,7%-ით, ხოლო 2005 წლისა - 35,5%-ით განისაზღვრა. 2006 წლის შემდეგ სიღარიბის დონე საარსებო მინიმუმის მიმართ აღარ გაიანგარიშება (!?)

სიღარიბის ოფიციალური მაჩვენებლის კორექტირების მიუხედავად, უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესება, სამწუხაროდ, არ ფიქსირდება. შემაშფოთებელია ქვეყანაში სიღარიბის სიღრმისა და სიმწვავეის ზრდის ტენდენცია. ამასთან, სულ უფრო მატულობს სოციალური უთანასწორობა და ლატაკი მოსახლეობის წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ჯინის ინდექსი საერთო მოხმარების მიხედვით 0,39-ია, ფულადი ხარჯების მიხედვით კი 0,45, რაც შეესაბამება ლათინური ამერიკის ყველაზე უთანასწორო ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს.

საქართველოს მთავრობის 2008-2012 წლების სამოქმედო პროგრამის სახელწოდებაა „საქართველო სიღარიბის გარეშე“ და პროგრამის ძირითად მიზნად მოსახლეობის კეთილდღეობა და სიღარიბის დაძლევაა აღიარებული, მაგრამ რეალურად გატარებული პოლიტიკა აშკარად შეუძლებელს ხდის დასახული მიზნის მიღწევას არამცთუ 2012 წლამდე პერიოდში, არამედ უფრო შორეულ მომავალშიც. ასეთი შეფასების საფუძველს იძლევა სოციალური პოლიტიკის ძირითადი კომპონენტების ანალიზი. მოკლედ შევჩერდებით თითოეულ მათგანზე:

საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული **სოციალური დახმარებების მოდელი** ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი (სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი) ოჯახების რეგისტრაციას მათი ნებაყოფლობითი განცხადების საფუძველზე, სოციალური მუშაკების მიერ მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას, იდენტიფიკაციასა და სარეიტინგო ქულის მინიჭებას. ამის შემდეგ წყდება ოჯახისათვის სოციალური დახმარების საკითხი (სამედიცინო დაზღვევის, ელექტრო ენერჯისა და გაზზე გადასახადის ნაწილის დაფარვისა და ფულადი შემწეობის გაცემის სახით). ამასთან, აუცილებელია ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სისტემატური მონიტორინგი, რაც საკმაოდ დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს მოითხოვს.

სოციალურად დაუცველი პირის შემწეობების ოდენობა თვეში შეადგენს 30 ლარს, ხოლო ასეთი პირის კმაყოფაზე მყოფი თითოეული პირისათვის – 12 ლარს. ცხადია, შემწეობის ეს ოდენობა კვებისათვისაც არ არის საკმარისი და საეჭვოა, რომ მან რეალურად უზრუნველყოს უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გამოყვანა ლატაკთა წრიდან.

სოციალური დახმარებების აღნიშნული მოდელი მთელ მსოფლიოში ითვლება ძალიან ძვირადღირებულ და ნაკლებეფექტიან მოდელად და მის გამოყენებაზე თავის დროზე უარი თქვეს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მთავრობებმაც. საქართველოს მსგავს მცირე ზომის სახელმწიფოსთვის, სადაც თითქმის ყველამ იცის ერთმანეთის მდგომარეობა, უფრო გამართლებული იქნებოდა მაღალი რისკის ჯგუფებზე სოციალური დახმარებების სპეციალური პროგრამების შემუშავება-განხორციელება იმ მოდელით, რომელიც 2005 წლამდე მოქმედებდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში. აღნიშნული მოდელი ითვალისწინებდა სოციალური დახმარებების პაკეტს I ჯგუფის უსინათლო ინვალიდებისათვის, 18 წლამდე შეზღუდულ შესაძლებლობათა მოზარდებისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (7 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვებით), დედ-მამით ობოლი ბავშვებისათვის, მარტოხელა მოხუცებისათვის და სხვ., ანუ ყველა იმ ჯგუფისათვის, რომელიც სიღარიბის მაღალი რისკის მქონეა. აღნიშნული პროგრამები ხორციელდებოდა სამინისტროს მიერ ყოველგვარი სპეციალური სააგენტოებისა და ზედმეტად დახარჯული მილიონების გარეშე. დახმარებების მიზნობრიობისა და ადრესატულობის გაზრდა, რაც ამ მოდელის მთავარ ნაკლად იყო აღიარებული, ადმინისტრირების გაუმჯობესებითა და გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლებითაც იყო შესაძლებელი.

სიღარიბის დაძლევის საქართველოში მოქმედი ორგანიზაციული მოდელი ნამგებიანია როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით, ვინაიდან იგი ძვირადღირებული, მოუქნელი და სუბიექტურ შეფასებებზე დაფუძნებული ბიუროკრატიული მოდელია. მის შენახვასა და ფუნქციონირებაზე დახარჯული ორგანიზაციული ხარჯები (წელიწადში საშუალოდ 12-15 მლნ. ლარი) ფაქტობრივად არამიზნობრივი და არაეფექტიანია.

ქვეყნის ხელისუფლება კიდევ უფრო შორს წავიდა, როცა 2007 წელს მიღებული კანონით „სოციალური დახმარების შესახებ“ უკიდურესად შეზღუდა სოციალური დახმარების მიმღებთა კატეგორიები და სოციალური დახმარება განსაზღვრა როგორც „სახელმწიფოს საჩუქარი“, რითაც ფაქტობრივად უგულვებლყო სახელმწიფოს კონსტიტუციური და საერთაშორისო ვალდებულებები მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში. კერძოდ, იგი ითვალისწინებს სოციალური დახმარების მთელი „კატალოგის“ (ეს ტერმინია გამოყენებული კანონპროექტის განმარტებით ბარათში) წარმართვას „საქართველოს კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, ლატაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე“.

რა თქმა უნდა, სიღატაკის დონის შემცირების მიზნით მთავრობამ პირველ რიგში დახმარება უნდა გაუწიოს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებს, მაგრამ ეს დახმარებები მოშიმშილეთა მყისიერ დახმარებასთან ერთად ორიენტირებული უნდა იყოს შედარებით ხანგრძლივ შედეგზე და სიღარიბის მაღალი რისკის სხვა ჯგუფებზეც. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიღარიბის დაძლევა შორეულ ანდა გადაუჭრელ პრობლემად იქცევა, მით უფრო, რომ სოციალური პოლიტიკის რიგი კომპონენტები (ჯანმრთელობის, უმუშევრობის, საპენსიო დაზღვევის სისტემები) საქართველოში ჩამოუყალიბებელია და რიგი კომპონენტები (შრომითი გარანტიები) უკანასკნელ პერიოდში გაუარესების მიმართულებით შეიცვალა.

რაც მთავარია, სიღარიბის დაძლევა მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელია. მსოფლიო ბანკის ექსპერტთა შეფასებითაც, „უმუშევრობა და საკმარისად კარგად ანაზღაურებადი სამსახურების ნაკლებობა წარმოადგენს იმის ძირითად მიზეზს, რის გამოც საქართველოში მცხოვრები ოჯახები თავს ვერ აღწევენ სიღარიბეს“.

დასაქმების პრობლემა: საქართველოში დასაქმების სფეროში არსებული ვითარება, შეიძლება ითქვას, კრიტიკულია. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, უმუშევრობის დონე საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, არ მცირდება. 2007 წელს მან 13,6% (ე.წ. შერბილებული კრიტერიუმით კი 15,6%) შეადგინა. ქართველ ექსპერტთა ყველაზე ლიბერალური შეფასებითაც კი უმუშევრობის რეალური დონე ქვეყანაში 30-35%-ის ფარგლებშია.

რა თქმა უნდა, უმუშევრობის შემცირება, პირველ რიგში, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებითა და ეკონომიკური განვითარების დაჩქარებით არის შესაძლებელი. მაგრამ სამუშაო ადგილები ქვეყანაში არამცთუ იზრდება, არამედ შემცირდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. აგვისტოს მოვლენებისა და საყოველთაო ეკონომიკური კრიზისის შედეგად ეს მდგომარეობა ძნელად წარმოსადგენია, რომ გაუმჯობესდეს. ამასთან, როგორც მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, დასაქმების სფეროში სიტუაციის გაუმჯობესებისათვის, ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გარდა, აუცილებელია ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება დასაქმების ხელშეწყობისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირების მიზნით.

საქართველოს ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, უარი განაცხადა დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაზე. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 2006 წლის მაისში გაუქმდა კანონი „დასაქმების შესახებ“, 2006 წლიდან საქართველოში აღარ არსებობს შრომისა და დასაქმების სფეროს მარეგულირებელი რაიმე სახელმწიფო სტრუქტურა (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში არსებული „შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი“ გაუქმდა 2005 წლის დეკემბერში და დღეისათვის სიტყვა „შრომა“ მხოლოდ სამინისტროს სახელწოდებაშია); გაუქმდა შრომის სახელმწიფო ინსპექცია, რომლის დანიშნულება იყო შრომითი კანონმდებლობის დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება; ფაქტობრივად აღარ არსებობს დასაქმების სახელმწიფო სამსახური (2005 წლიდან იგი გადაკეთდა „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოდ“ და მის ძირითად საქმიანობად იქცა ლატაკი ოჯახების რეგისტრაცია; 2006 წლის ივლისიდან კი მას ეწოდება „სოციალური სუბსიდიების სააგენტო“); 2006 წლიდან აღარ ფინანსდება დასაქმების ხელშეწყობის არცერთი სახელმწიფო პროგრამა (2006-2007 წელს განხორციელებული „სამუშაო ადგილზე პროფესიული სწავლების პროგრამები“ ფაქტობრივად გათვლილი იყო პიარ-კამპანიაზე და რეალურად არაფერი საერთო არ ჰქონდათ დასაქმების სახელმწიფო პროგრამებთან); 2006 წლის მაისიდან გაუქმდა უმუშევრის შემწეობა და დღეისთვის საქართველოში უმუშევრის სოციალური დაცვისთვის სახელმწიფოს არა აქვს არანაირი ვალდებულება.

საპენსიო რეფორმა: საქართველოში საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა პერმანენტულად რეფორმირების პროცესშია. რეფორმის მიზნებისა და ფორმების ხშირმა ცვლამ განაპირობა განხორციელებული ცვლილებების არათანმიმდევრობა და არაეფექტიანობა. მაგალითად, 2002-2003 წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის რეორგანიზაციისა და რეფორმირების თვალსაზრისით: მომზადდა საკანონმდებლო ბაზა ახალი, მრავალსაფეხურიანი, ფინანსურად მდგრადი საპენსიო სისტემის ფორმირებისათვის. კერძოდ, შემუშავებული და მიღებული იქნა კანონები „სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ“, „სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ“, „სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემაში ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვისა და ინდივიდუალური ანგარიშების შემოღების შესახებ“. აღნიშნული კანონების ამოქმედება არსებითად ქმნიდა ბაზას სოციალური დაზღვევის ცივილურ ფორმებზე გადასასვლელად, მაგრამ, გაურკვეველი მიზეზების გამო, ჯერ გადაიდო მათი ამოქმედების ვადა, შემდეგ კი (2005 წელს) გაუქმდა ეს კანონები.

2005 წლის 23 დეკემბერს მიღებული იქნა კანონები „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“. აღნიშნული კანონები არეგულირებენ სახელმწიფო პენსიის, კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლების წარმოშობის საფუძვლებს, ოდენობას, დანიშნის, გაცემის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს.

საკანონმდებლო ბაზის განახლების მიუხედავად საქართველოში ფაქტობრივად არ შეცვლილა ძველი საპენსიო სისტემა. დღეისათვის იგი ისევ ემყარება სოლიდარული გადახდის პრინციპს, თანაბარი სიდიდის პენსიებს, არ ითვალისწინებს პენსიების დიფერენციაციას სამუშაო სტაჟისა და ხელფასის ოდენობის მიხედვით (სოციალურ პენსიაზე მუშაობის სტაჟის მიხედვით 1-დან 10 ლარამდე დანამატი ნამდვილად არ ასახავს პენსიების დიფერენციაციის პრინციპს).

მართალია, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ არსებითად აღმოფხვრა პენსიების დაგვიანებით გაცემის მავნე პრაქტიკა და საპენსიო დავალიანებებიც თითქმის სრულად

დაფარა, ხანდაზმულთა სახელმწიფო პენსია 14 ლარიდან 70 ლარამდე გაზარდა, მაგრამ მცირე სიდიდისა და სამომხმარებლო ფასების ზრდის გამო, პენსია ისევ ვერ უზრუნველყოფს ხანდაზმულს საარსებო მინიმუმით. საქართველოს მთავრობის 2008-2012 წლების პროგრამით გათვალისწინებული „სოციალური პენსიის პაკეტის“ გაზრდა 100 დოლარამდე მაშინ, როცა საარსებო მინიმუმი დღევანდელი მდგომარეობითაც აღემატება 100 აშშ დოლარს, ძნელია იმის დაჯერება, რომ ამ ოდენობის პენსია 2012 წლისთვის მაინც შეძლებს პენსიონერთა უზრუნველყოფას საარსებო მინიმუმით.

საპენსიო სისტემის ენ. „ჩანაცვლების კოეფიციენტი“ (საშუალო პენსიის შეფარდება საშუალო ხელფასთან) საქართველოში ძალიან დაბალია (14%), რაც საპენსიო სისტემის არაადექვატურობას ადასტურებს. ამის გამო ხანდაზმულთა უმეტესობა იძულებულია ეძებოს ნებისმიერი სამუშაო, თავი ირჩინოს მათხოვრობით, ან უკეთეს შემთხვევაში, იარსებოს ოჯახის სხვა წევრთა დახმარებით. შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციისა და უკანასკნელი წლების საკადრო პოლიტიკის გამო კი დასაქმება ურთულესი პრობლემაა არამც თუ ხანდაზმული ადამიანებისათვის, არამედ 40 წელზე უფროსი ასაკის პირებისათვისაც. შესაბამისად, მატულობს იმ კატეგორიების წილი, რომელთაც არსებობისთვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარება ესაჭიროებათ.

სამედიცინო მომსახურება: საქართველოში უკანასკნელ 2 წელიწადში 2-ჯერ და მეტად გაიზარდა სამედიცინო მომსახურების ფასები. სამედიცინო სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტი ვრცელდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების წევრებზე, პედაგოგებზე, შეიარაღებული ძალების საბრძოლო შემადგენლობასა და პოლიციაზე, ასევე საჯარო მოხელეებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალურად დაუცველი კატეგორიებისათვის სამედიცინო დაზღვევის პოლისი ვრცელდება სამედიცინო მომსახურების უაღრესად შეზღუდულ და შედარებით იაფ სახეობებზე, მაშინ როცა საჯარო მოხელეებისა და რიგი სხვა კატეგორიებისათვის მომსახურების სპექტრი შედარებით ფართოა და ძვირადღირებული პაკეტი მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირებისთვის არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, ჯანდაცვის ჰოსპიტალური სექტორის “რეფორმირება” (არსებული დანესებულებების, მათი შენობებისა და ტერიტორიების პრივატიზაცია და მათ ნაცვლად 100 ახალი კერძო საავადმყოფოს აშენება), სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის მოსახლეობის დიდ ნაწილს სამედიცინო მომსახურების ტერიტორიული, ფინანსური ხელმისაწვდომობის და ხარისხის თვალსაზრისით.

განათლების სფერო: სულ უფრო მცირდება სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი სასწავლებლების რაოდენობა, იზრდება საგანმანათლებლო მომსახურების საფასური და ხარისხიანი განათლება ნაკლებად ხელმისაწვდომი ხდება მოსახლეობის უმრავლესობისათვის. სკოლების ოპტიმიზაციის პროგრამის რეალიზაციის შედეგად ფინანსურ პრობლემებს ემატება ტერიტორიული გადაადგილების პრობლემები, განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში, სადაც ცხოვრების დონე ისედაც ძალიან დაბალია და მათი გაუკაცრიელების პრობლემა უაღრესად აქტუალურია თანამედროვე საქართველოსთვის. გადაუჭრელ პრობლემად რჩება მასწავლებელთა შრომის არაადექვატურად დაბალი ანაზღაურება.

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები? - თუ გავითვალისწინებთ იმ დამატებით სიძნელეებს, რაც შეიქმნა აგვისტოს მოვლენების შედეგად, დღეისათვის და უახლოეს და საშუალოვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია სოციალური პირობების კიდევ უფრო გამწვავება (ახალი ლტოლვილები, როდესაც 15 წლის წინანდელ ლტოლვილთათვისაც კი არ არის უზრუნველყოფილი ელემენტარული არსებობის პირობები, ეკონომიკის ვარდნა, უცხოური ინვესტიციების პერსპექტივის დაკნინება, უმუშევრობა, მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის გაუარესება, დაბერების ტემპებისა და ხარისხის ზრდა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრობლემების გამწვავება, შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია, აბსოლუტური რაოდენობის კლება, მათი ეკონომიკური დატვირთვის გაზრდა და ა.შ.).

მოსახლეობის სოციალური პირობების კატასტროფული გაუარესება რომ შენელებს მაინც, საჭიროა სასწრაფო და კარდინალური ცვლილებები ქვეყნის სოციალურ პოლიტიკაში, (თუ ამის უნარი შესწევს არსებულ ხელისუფლებას). კერძოდ:

1. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმების ხელშეწყობისა და უმუშევრობის შემცირების მიზნით დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციას. ამ მიზნით:

- უნდა შემუშავდეს დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ახალი კონცეფცია, სადაც აისახება

დასაქმების ხელშეწყობის თანამედროვე, ეფექტიანი მიმართულებები და მათი რეალიზაციის მექანიზმები; საქართველოს მთავრობის მიერ ახალი კონცეფციის მიღების შემთხვევაში, მის ბაზაზე უნდა მომზადდეს „დასაქმების სახელმწიფო რეგულირების შესახებ“ კანონპროექტი;

- უნდა გაიმიჯნოს ჯანდაცვისა და შრომის სამინისტროები ;
- უნდა ჩამოყალიბდეს მობილური, ეფექტიანი, დამსაქმებლის მოთხოვნებზე ორიენტირებული დასაქმების სახელმწიფო სამსახური;
- უნდა აღდგეს მიზნობრივი „დასაქმების სახელმწიფო ფონდის“ საფინანსო ინსტიტუტი; სადაც გადარიცხება საშემოსავლო გადასახადის 1,0-1,5% და საბიუჯეტო წლის განმავლობაში თანხების აუთვისებლობის შემთხვევაში მოხდება მათი ფონდში აკუმულირება (და არა „ჩამოჭრა“); აღნიშნული ფონდიდან დაფინანსდება დასაქმების ხელშეწყობისა და უმუშევართა სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამები;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის დაბალკონკურენტუნარიანი კატეგორიების დასაქმებისა და სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას;

2. უნდა შემუშავდეს ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზირებული „შრომის კოდექსის“ ახალი ვარიანტი, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც დამქირავებლის, ასევე დაქირავებულის ინტერესები. შრომითი ურთიერთობების ლიბერალიზაციასთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის მინიმალური სოციალური ნორმატივები (საარსებო მინიმუმი, მინიმალური ხელფასი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შვებულების ხანგრძლივობა და სხვა სოციალურ-შრომითი ნორმატივები), რომლებიც დადგენილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებითა და „ევროპის სოციალური ქარტიით“.

3. უნდა მომზადდეს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა სოციალური დაზღვევის მოდელზე თანდათანობით გადასვლისათვის, სავალდებულო (სახელმწიფო) და ნებაყოფლობითი (კერძო) დაზღვევის პრინციპების ურთიერთშეხამების საფუძველზე. დაზღვევის სისტემაზე გადასვლისათვის საფუძვლების მოსამზადებლად;

4. მოსახლეობის უკიდურესად გაჭირვებული ჯგუფების სოციალური დაცვის მიზნით გამართლებული ასეთი ოჯახებისა და პირების იდენტიფიკაციის უფრო მარტივი და იაფი ორგანიზაციული მოდელის გამოყენება. მაგალითად, იმის მსგავსი, რაც მოქმედებდა 2005 წლამდე. აღნიშნული მოდელის გამჭვირვალობისა და ადმინისტრირების ხარისხის გაუმჯობესების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სოციალური შემწეობების მიზნობრიობის და ეფექტიანობის ამაღლება.

5. აუცილებელია სოციალური დახმარებების სფეროში სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებების ძალისხმევის კოორდინაცია, რაც გაზრდის დახმარების ეფექტიანობას.

6. ორგანიზაციულ ცვლილებებს წინ უნდა უსწრებდეს სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონალური ანალიზი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ხდებოდეს კონკრეტულ უწყებათა ტრანსფორმაცია ან გაუქმება;

7. განათლებისა და ჯანდაცვის სფეროს რეფორმირებისას მათი ხარისხის გაუმჯობესების გარდა გათვალისწინებული უნდა იყოს მოსახლეობისათვის მათი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა.

ქართული მედიის პრობლემები

ქართული მედია 2008 წლის აგვისტომდე

2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდგომ ქართულ მედიაში პარადოქსული ვითარება შეიქმნა. ერთის მხრივ, არსებობდა საკმაოდ ლიბერალური საკანონდებლო ბაზა მედიის თავისუფლების გარანტიების შესაქმნელად (კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ, ინფორმაციის თავისუფლების აქტი, ცილისწამების დეკრიმინალიზაცია), მეორე მხრივ, 2003 წლიდან დღემდე ქართული მედია სივრციდან არაერთი მედია საშუალება გაქრა ყოველგვარი დამაჯერებელი ახსნა-განმარტების გარეშე (ტელეკომპანიები "იბერია", "მეცხრე არხი", "202"; გაზეთები "ახალი ეპოქა", "დილის გაზეთი", "მთავარი გაზეთი"; გადაცემები "ლამის კურიერი", "ლამის მზერა", "არჩევანის ზღვარზე", "60 წუთი", "ტაიმაუტი" და ა.შ.). პარალელურად, ერთის მხრივ, 2004 წელს პარლამენტმა ბეჭდურ მედიას საგადასახადო შეღავათები დაუწესა, მეორე მხრივ, 2005 წელს, საბიუჯეტო თანხების ეკონომიის მიზნით, პრეზიდენტის სიტყვიერი განკარგულებით, სახელმწიფო დაწესებულებებს ქართული გაზეთების გამოწერა აეკრძალათ.

ტელეკომპანიების დახურვის პარალელურად, გაჩნდა ახალი ტელეკომპანიები "საქართველო" და "ალანია" (ეს უკანასკნელი წლების მანძილზე ლიცენზიის გარეშე მაუწყებლობდა) — "საქართველო" ოფიციალურად თავდაცვის სამინისტროს ტელევიზიაა. "ალანია" კი ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ინფორმირების მიზნით შეიქმნა. ორივე ტელეკომპანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, თუმცა ინფორმაცია მათი ბიუჯეტების შესახებ გასაიდუმლოებულია.

საქართველოს სარეკლამო ბაზრის მოცულობის გათვალისწინებით - 2007 წელს სარეკლამო ბაზრის მოცულობა 20 მილიონი იყო და სავარაუდოდ, ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ის შესაძრევად შემცირდება - ფაქტია, რომ საქართველოში მედია ბიზნესი წამგებიანია და ტელევიზიების ფლობა პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენის საუკეთესო იარაღია. ამიტაც შეიძლება აიხსნას, რომ 2003 წლიდან დღემდე ყველა ტელეკომპანიის მეპატრონე შეიცვალა "კავკასიის" გარდა. ახალი მეპატრონის ვინაობა ხელისუფლებასთან მისი სიახლოვეთა და ლოიალურობით იყო განპირობებული. 2008 წლის საქართველოს ომბუცმენის მოხსენებაში მოყვანილია ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ყოფილი მეპატრონის ქიზარ ხალვაშის ნაამბობი, რომ ტელეკომპანიის წილი მას იძულებით დაათმობინეს ხელისუფლების უმაღლესი პირების ზენოლის შედეგად.

ზენოლა ხდებოდა ჟურნალისტებზეც. ერთ-ერთი ყველაზე პირველი გახმაურებული ფაქტი დაკავშირებულია გორის გაზეთ "ხალხის გაზეთის" რედაქტორის რევაზ ოქრუაშვილის დაპატიმრებასთან. 2005 წელს ზენოლის პროტესტის ნიშნად, გაიფიცნენ აჭარის ტელევიზიის თანამშრომლები. 2006 წელს რუსთავი 2-ის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა ეკა ხოფერიამ ღია ეთერში განაცხადა, რომ ზენოლის გამო, ტოვებს ტელევიზიას. ტელეკომპანია "მზემ" სამსახურიდან გაათავისუფლა თოქ-შოუს "არჩევანის ზღვარზე" წამყვანი ირაკლი იმნაიშვილი. 2007 წელს ტელეკომპანია "რუსთავი 2" დატოვეს გენერალურმა დირექტორმა ნიკა ტაბატაძემ, ტელეკომპანიის სახეებმა ნათია ლაზაშვილმა, ნანა ლეჟავამ და თამარ რუხაძემ.

ქართული მედიისთვის თავისებური გამოცდა იყო 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენები, როცა რუსთაველის პროსპექტზე და რიყეზე მანიფესტანტების დარბევის შემდეგ, სპეცნაზი ტელეკომპანია "იმედში" შევიდა და ტელერადიო კომპანია დაარბია. საგანგებო ვითარების გამოცხადების პირობებში, ელექტრონულ მედიას აეკრძალა საინფორმაციო პროგრამების მომზადება საზოგადოებრივი ტელევიზიის გარდა. ტელერადიო კომპანია "იმედის" ირგვლივ დაწყებული მოვლენები კვლავ განვითარების პროცესში - ძველი მფლობელის ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი სამართლებრივი გზებით ცდილობს დაიბრუნოს ტელევიზია, რომელიც საეჭვო გზებით სხვა მეპატრონის ხელში აღმოჩნდა.

მედიისადმი პოლიტიკური ელიტების დამოკიდებულება არხის მეპატრონისადმი დამოკიდებულებით აიხსნება - 7 ნოემბრამდე სახელმწიფო მოხელეები და უმრავლესობის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ "იმედის" თოქ-შოუებში. ასეთივე დამოკიდებულება არსებობდა ტელეკომპანია

”კავკასიის” მიმართ. თავის მხრივ, ოპოზიციამ სხვადასხვა დროს ბოიკოტი გამოუცხადა ტელეკომპანიებს ”რუსთავი 2“-ს, მზეს და საზოგადოებრივ მაუწყებელს. ოპოზიციის ზენოლის ერთ-ერთ ობიექტად იქცა საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა, რომელიც ხელისუფლებამ შეცვალა. ოპოზიციისა და მმართველი პარტიის კონსესუსის საფუძველზე, დამტკიცდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა, რომელმაც ახალი გენერალური დირექტორი აირჩია. არსებობიდან რამდენიმე თვეში, პროტესტის ნიშნად გადადგა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ოპოზიციას კი კვლავ აქვს საფუძველი, აკრიტიკებოს საზოგადოებრივი მაუწყებელი პროსახელისუფლებლო პოზიციისთვის.

ბოლო 2 წლის განმავლობაში, ხელისუფლება ეფექტურად იყენებდა ქართულ ეთერს საზოგადოების ცნობიერების მილიტარიზაციისთვის - სახელმწიფო დაკვეთით შესრულებული კლიპები ქართული შეიარაღებული ძალების სიძლიერების შესახებ ყველა ტელეკომპანიის ეთერში გადიოდა თვეების მანძილზე. მძლავრი სატელევიზიო მხარდაჭერა ჰქონდა ე.წ. რეზერვისტების კამპანიასაც. პარალელურად, ეთერიდან გაქრა ჟურნალისტური გამოძიებები - მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ცალკეულ დამოუკიდებელ სტუდიებს საშუალება ჰქონდათ, ენარმოებინათ ჟურნალისტური გამოძიება და მოემზადებინათ სიუჟეტები, ნაციონალური ტელეკომპანიები მათ ეთერში გაშვებაზე უარს ამბობდნენ. ეთერის დიდი ნაწილი ეკავა სერიალებს, იუმორისტულ და გასართობ გადაცემებს, ქვეყანაში მიმდინარე მტკივნეულ რეფორმებთან დაკავშირებით გაჩენილი კითხვები კი უყურადღებოდ იყო დარჩენილი.

ქართული მედია 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისას

აგვისტოს მოვლენებისას მთელი დატვირთვა ელექტრონულ მედიაზე გადავიდა, რომელიც საომარი მოქმედებების პირობებში მუშაობისთვის მზად არ აღმოჩნდა. ექსტრემალურ ვითარებაში ქართველი ჟურნალისტების მოუშვადებლობით შეიძლება აიხსნას სამწუხარო მსხვერპლი ჟურნალისტთა შორის. გორში ჩასული ჟურნალისტები ომის პირველ ეტაპზე ინფორმაციას გორში განთავსებული საინფორმაციო ცენტრიდან იღებდნენ. მათ არ ჰქონდათ საშუალება ინფორმაცია მიეღოთ პირველწყაროდან - სამხედრო ხელმძღვანელობისგან. დღეს არ არსებობს - ან არსებობს და საზოგადოებრივთვის უცნობია - ომის პერიოდის ამსახველი კადრები. ჟურნალისტები არ დაინტერესებულან ომის თვითმხილველების - ”ახალი” დევნილების ნაამბობით. იმ შემთვევაშიც, როცა გორის ოკუპაციის შემდეგ ქართველ ჟურნალისტებს ეძლეოდათ საშუალება, შესულიყვნენ ქალაქში, ისინი იქ მყოფი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებების გავრცელებით კმაყოფილდებოდნენ. მართლია, აგვისტოს დღეებში ქართულ მედიაში არ გამოცხადებულა სამხედრო ცენზურა, მაგრამ სიუჟეტების მსგავსება ყველა ეთერში ქმნის საფუძველს ვარაუდისა, რომ ყველა ტელევიზია ერთი ”ცენტრიდან” იმართებოდა. ომის დღეებში მსგავსი იყო ე.წ. არასაინფორმაციო ბადეც - ომის დროს ყველა ტელევიზია გადასცემდა ქართულ ”პატრიოტულ” ფილმებს ან მძაფრსიუჟეტიან უცხოურ ვესტერნს ისევე და ისევე ომის თემებზე. საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, რუსთავი 2-ის ეთერში გადიოდა სიუჟეტების სერია ქართული შეიარაღებული ნაწილების კონკრეტული პირების თავგანწირვის და გმირობის შესახებ. პარალელურად, უყურადღებოდ დარჩა დევნილების პრობლემები - არც ერთ ტელეკომპანიას არ გაუშუქებია, თუ რა პრობლემების მოგვარება უნევთ ადამიანებს, რომლებიც სახლ-კარის გარეშე დარჩნენ. საომარი მოქმედებების დღეებში, ხელისუფლების გადანყვებილებით, აიკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე საკაბელო კომპანიების მეშვეობით რუსეთის არხების გავრცელება. შეზღუდვა დღემდე მოქმედებს. შეზღუდვა გავრცელდა რუსულ ინტერნეტსაიტებზეც, თუმცა ეს შეზღუდვა სექტემბრის ბოლოსთვის მოიხსნა.

ქართული მედია აგვისტოს მოვლენების შემდეგ

საქართველოს პრეზიდენტმა აგვისტოს ბოლოს ქვეყანაში დემოკრატიის ახალი ტალღის შესახებ გააკეთა განცხადება. ამ თვალსაზრისით, მისი ინიციატივა გულისხმობს საზოგადოებრივი მაუწყებლობის კანონში ცვლილებების შეტანას და ამ ტელეკომპანიისთვის თოქ-შოუს მომზადების კანონით დავალდებულებას. აგვისტოს მოვლენების შემდეგ, საპარლამენტო ოპოზიციის ინიციატივით, მარეგულირებელ კომისიასა

და ტელეკომპანია "მაესტროს" შორის შედგა კონსესუსი ტელეკომპანიისთვის მაუწყებლობის ლიცენზიის მოდიფიკაციის თემაზე - მანამდე "მაესტრომ" მარეგულირებელ კომისიას ლიცენზიის მოდიფიცირებაზე უარის თქმის გამო სასამართლოში უჩივლა, თუმცა, პროცესი წააგო. ნოემბრის დასაწყისში მიხეილ სააკაშვილის მიერ კიდევ ერთი ინიციატივა იქნა წამოყენებული, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის პოლიტიკურ არხად ქცევას ითვალისწინებს. თუმცა რაიმე ქმედითი ნაბიჯი ამ განცხადებას არ მოჰყოლია.

დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს კონკრეტული ჟურნალისტების მიერ დამოუკიდებელი სტუდიების შექმნის ტენდენცია. მათ მიერ მომზადებული გადაცემები ჯერჯერობით მხოლოდ ტელეკომპანია "კავკასიის" ეთერში გადის. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებული საერთაშორისო ფონდები 2009 წლიდან მედიის დაფინანსების გაზრდას გეგმავენ - სავარაუდოდ, მედიის თავისუფლების ალტერნატიული გზები იკვეთება.

პარალელურად, ეკონომიკური კრიზისი მედიის მუშაობაზეც აისახება - სარეკლამო ბაზრის შემცირებამ მძიმე დღეში ჩააყენა რეგიონული მედია, რომელიც აქამდეც რთულ პირობებში მუშაობდა. რეკლამის რაოდენობის შემცირებიდან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, რეგიონულ ტელევიზიებში შეჩერდეს საინფორმაციო გამოშვებების მომზადება და ჟურნალისტები უმუშევრად დარჩნენ. თანამშრომელთა შემცირების ტენდენციები დაწყებულია რადიოებსა და გაზეთებშიც. სავარაუდოდ, ეს პროცესი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

რეკომენდაციები

- საჯარო გახდეს ტელეკომპანიების მფლობელთა ვინაობა და ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია\ ტელეკომპანიების დაფინანსების წყაროების შესახებ;
- მოხდეს მარეგულირებელი კომისიის დეპოლიტიზაცია;
- შევიდეს ცვლილებები კანონში საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ, რომელიც ტელეკომპანიის თავისუფლების ხარისხს გაზრდის;
- ბიუჯეტში აღდგეს შეღავათები ბეჭდვითი მედიისთვის;
- სამართლიანად გადაწყდეს ტელერადიო კომპანია "იმედის" მფლობელობის საკითხი;
- მოიხსნას შეზღუდვა რუსული არხების მაუწყებლობაზე;
- დასავლურ დონორებს მიეცეს რეკომენდაცია მედიის მხარდამჭერი პროგრამების დაფინანსებაზე;
- მეტი ყურადღება დაეთმოს ინტერნეტ-მედიის განვითარებას;
- დახმარება გაენიოს მცირე ტელეკომპანიებს გავრცელების არეალის გასაფართოებლად;
- გამჭვირვალე გახდეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული ტელეკომპანიების "საქართველოსა" და "ალანიას" ბიუჯეტი.

ყალბი დემოკრატია - სისტემური სახელმწიფო კრიზისის სათავე

პოსტსაბჭოთა “დემოკრატია” თავისი შინაარსითა და გამოხატვის ფორმებით ჯერ კიდევ ძლიერ განსხვავდება ამ ტერმინის დასავლური ინტერპრეტაციისგან.

როგორც მოსალოდნელი იყო, მეოცე საუკუნეში საბჭოეთში არსებულ ავტორიტარულ ცნობიერებას მყარი გენეტიკური კოდი აღმოაჩნდა და დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრება მტკივნეულ პროცესად იქცა.

მოულოდნელი ის გახლდათ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში ამ მძიმე მენტალური მემკვიდრეობისგან განთავისუფლება არ გახდა პოლიტიკურ ელიტათა რეალური მიზანი. ისინი დაკმაყოფილდნენ დემოკრატიული ტერმინოლოგიისა და ფრაზეოლოგიის დაზეპირებით, პარალელურად კი გააძლიერეს ავტორიტარული მართვის ინსტრუმენტები.

დღეს უკვე ცხადია, რომ ასეთი მავნე პრაქტიკის მთავარი მსხვერპლი გახდა მრავალ თაობათა ოცნება სამართლიან სახელმწიფოზე, გარანტირებულ ადამიანის უფლებებზე, სიტყვის სრულ თავისუფლებაზე, დემოკრატიულ, გამჭვირვალე არჩევნებზე და სხვ.

საქართველო, სადაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისკენ მრავალსაუკუნოვანი სწრაფვა განიხილებოდა, როგორც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსი, დღეს კვლავ აღმოჩნდა სახიფათო გზაჯვარედინზე დასავლურ ცივილიზაციასა და საბჭოურ “ველიკოდერჟავიეს” შორის.

ნანატრი დამოუკიდებლობის აღდგენის 18 წლისთავზე იგივე მიზნების დადასტურების აუცილებლობა გაჩნდა, რაც, თითქოს, მეოცე საუკუნის მიწურულს უკვე აღარ საჭიროებდა რაიმე დამატებით არგუმენტაციას. დღეს ქვეყნის მოსახლეობას კვლავ საკუთარი სისხლითა და ცრემლით უწევს მსოფლიოს დარწმუნება, რომ მისი გაცნობიერებული არჩევანია პროგრესული დასავლური ღირებულებანი და რეალური დემოკრატია.

ასეთ ჭეშმარიტებაში საერთაშორისო თანამეგობრობის კვლავ დარწმუნების აუცილებლობა, ძირითადად, განპირობებულია ქვეყანაში 1990 — 2008 წლებში არჩეული (და/ან თავსმოხვეული) ხელისუფლების მართვის სტილის შეუსაბამობით საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებთან და ტრადიციულ ზნეობრივ ფასეულობებთან.

ქართველი ხალხი, როგორც ყველა თავმოყვარე ერი, ძნელად ეგუება იმედგაცრუებას, სიყალბესა და უსამართლობას. ეს ანბანური ჭეშმარიტება რატომღაც ძნელად აღსაქმელი აღმოჩნდა დამოუკიდებელი საქართველოს სამივე პრეზიდენტისთვის და შედეგად შესაბამისი იყო. სამივე მათგანი კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე დაემშვიდობა პრეზიდენტის სავარძელს. ქვეყნის დღევანდელი პრეზიდენტი კი უნიკალური საფრთხის წინაშეა — ორი წლის მანძილზე მეორედ დაკარგოს თანამდებობა.

ხელისუფლების წინააღმდეგ ახალი საპროტესტო ტალღა გამოიწვია 2008 წელს საქართველოში განვითარებულმა სისტემურმა კრიზისმა, რომლის ადექვატური შეფასებისა და სიტუაციის განმუხტვის პოტენციალი არსებულ სახელისუფლებო გუნდში ვეღარ მოიძიება.

სისტემური სახელმწიფო კრიზისი რამოდენიმე წლის მანძილზე ყალიბდებოდა. მისი პროგნოზირება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგან ნეგატიური პროცესები თვალსაჩინო იყო. არსებული და პოტენციური საფრთხეების შესახებ საჯაროდ საუბრობდნენ პოლიტიკოსები, სხვადასხვა დარგის

პროფესიონალები, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები.

პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებას არასოდეს გამოუჩენია პოლიტიკური ნება საზოგადოებაში გავრცელებული რაიმე სახის კრიტიკულ მოსაზრებათა გაზიარებისა, ან თუნდაც მათი საჯარო განხილვისა. განსხვავებული აზრის პათოლოგიური სიჯიუტით უარყოფა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი.

ამასთანავე, ხელისუფლება აცნობიერებდა, რომ დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპების დაცვა საფრთხეს უქმნიდა მის სიმყარეს და ცდილობდა ფასადური, მოჩვენებითი დემოკრატიის დამკვიდრებას. რეალობის გამყალბებელი და არარეალური მოლოდინების პროპაგანდისტული კამპანიები გულუხვად ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საზოგადოებისთვის სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა, რომ ხელისუფლების უპირველესი პრიორიტეტი იყო არა სიღარიბის დაძლევა ან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მშვიდობიანი გზით, არამედ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება ნებისმიერი, თუნდაც დანაშაულებრივი გზით.

ასე აღმოჩნდა ქვეყანა არაადექვატურ რეალობაში, როდესაც მისი გაცხადებული პოლიტიკური განვითარების ვექტორი ცალსახად დასავლეთისკენ იყო მიმართული, ხოლო ეკონომიკური განვითარების ვექტორი, ყოველგვარი განმარტების გარეშე, ხელისუფლებამ გამიზნულად, ჩრდილოეთის მიმართულებით გაამყარა ოკუპანტი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების საამებლად.

დემოკრატიის, როგორც ცხოვრების წესისა და საზოგადოების განვითარების აუცილებელი პირობის უგულვებლყოფამ საქართველოს ავტორიტარული ხელისუფლებისთვის დააკნინა ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების მქონე სუბიექტის ფუნქცია. შესაბამისად, ამ სუბიექტის ადგილი აღარ არის სახელისუფლებო ფასეულობების პრიორიტეტთა შორის. ადამიანის, მოქალაქის, თანამემამულეს მიმართ ინტერესი და თანაგრძნობა უცხოა ასეთი ხელისუფლებისთვის. მისი ინტერესების სფეროში მოიაზრება (თანაც, 4-5 წლინადში ერთხელ), მხოლოდ “ამომრჩეველი”. უპირატესად — ღარიბი და უპოვარი ამომრჩეველი, ვისი ხმაც ბევრად უფრო მარტივი მოსაპოვებელია არჩევნებზე.

ხელისუფლება, რომლისთვისაც სიმართლე, სამართალი და დემოკრატიული განვითარება წარმოადგენს საფრთხეს საკუთარი კეთილდღეობისთვის, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს მუდმივად ილაპარაკოს სწორედ სამართლიანი დემოკრატიის მიღწევებზე და იმავე დროს არაფერს მოერიდოს მისი დასამარებისთვის. ცხადია, ეს პოლიტტექნოლოგია არ გახლავთ ქართული ნოუ-ჰაუ, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მარტივად მოერგო პოსტრევოლუციური საქართველოს რეალობას.

ხელისუფლებისთვის საჯარო სიცრუე და ფარისევლობა გახდა საკუთარ ხალხთან და გულუბრყვილო უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობის ჩვეული ფორმა. ქართული ყალბი დემოკრატიის შემომქმენი შქმნიდნენ და ალამაზებდნენ კმაყოფილ, ვირტუალურ საქართველოს. იმედგაცრუებული და ღირსება-აყრილი რეალური საქართველო კი სულ უფრო შორდებოდა ხელისუფლების მიერ დაპირებულ ევროპულ და ევროატლანტიკურ სამოთხეს, სულ უფრო მკაფიოდ აცნობიერებდა იმ რუსული საფრთხის რეალობას, რომლისთვისაც უცხო არასოდეს ყოფილა სიყალბე შინ და გარეთ.

სწორედ უკიდევანო სიყალბე თამაშობს განსაკუთრებულ როლს საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებშიც. იგი სათავეს იღებს ამ ორი ქვეყნის მართვის მეთოდების აბსოლუტური იდენტურობიდან.

რეალური დემოკრატიის ნაცვლად XXI საუკუნეში გამეფებული “მიშაკრატია” საქართველოში და “ვოვაკრატია” რუსეთში ტყუპისცალეზივით ჰგვანან ერთმანეთს. ამაში გვარნმუნებს სააკაშვილისა და პუტინის ხელისუფლებათა მიერ საკუთარ ქვეყნებში დამკვიდრებული ანალოგიური პრაქტიკა, კერძოდ:

- პრეზიდენტის სურვილისამებრ კონსტიტუციის და კანონების ხშირი შეცვლის;
- პრეზიდენტის მორჩილი ერთპარტიული პარლამენტის შექმნის;
- სასამართლო სისტემის პროკურატურისთვის დაქვემდებარების;
- ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ნორმების იგნორირების;
- არჩევნების გაყალბების ხერხების და მასშტაბების;
- კერძო ბიზნესზე უხეში ზეწოლის, ფავორიტ ბიზნესმენტა მფარველობის;
- მედია სივრცის მონოპოლიზაციის;
- პოლიტიკური ოპონენტთა მიმართ შეუწყნარებლობის;
- საერთაშორისო ურთიერთობებში ნაკლებად სანდო პარტნიორობის;
- უტიფარ საჯარო განცხადებათა და რეალურ პროცესებს შორის რადიკალური განსხვავებების;
- სამართლიანობის, ზნეობრივ და ჰუმანურ ღირებულებათა იგნორირებისა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სხვისი შეცდომაში შეყვანის სურვილით გამოგონილ ტყუილს, სხვაზე ადრე თავად ამ სიყალბის ავტორი ხელისუფლება იჯერებს.

ასე დაარწმუნა საკუთარი თავი საქართველოს მთავრობამ, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები არ გაყალბებულა, რომ ქვეყანაში საამური საინვესტიციო გარემოა, რომ სასამართლო რეფორმა წარმატებით ვითარდება, რომ დემოკრატია გაიფურჩქნა, რომ კორუფცია სულს დაფავს, რომ ქართული ჯარი უძლეველია, რომ რუსეთის 58-ე არმია კავკასიონის ქედთან საზაფხულო არდადეგებზე ნებივრობს და არასოდეს გადმოლახავს საქართველოს საზღვარს და ა.შ.

ასევე დაარწმუნა კრემლი საკუთარმა პროპაგანდამ, რომ თითქოს, უკანასკნელ წლებში საქართველოსთან დაპირისპირების მხოლოდ სამი მიზეზი ჰქონდათ: ურჩი მეზობლის სწრაფვა ჩრდილოატლანტიკური ბლოკის წევრობისკენ, “კოსოვოს პრეცედენტი” და პრეზიდენტ სააკაშვილთან პერსონალური შეუთავსებლობა.

ეს არგუმენტები, რომელთა გამეორებაც ბოლო არ უჩანდა არა მხოლოდ რუსეთში, ძალიან მოკლე მესხიერების მქონე ადამიანებზე იყო გათვლილი. ანუ მათზე, ვისაც არ ახსოვს, რომ მოსკოვმა, საკუთარ სამხედრო ძალაზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ 1992/93 წლებში წაართვა თბილისს ცხინვალსა და სოხუმთან კონსტიტუციურ ურთიერთობათა უფლება. ანუ, მაშინ, როდესაც ზემოთხსენებული მიზეზებიდან არცერთი ბუნებაში არ არსებობდა.

რუსეთში არ სურთ თვალი გაუსწორონ სიმართლეს, რომ მისი აგრესია საქართველოს მიმართ აშკარა გახდა საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე. პუტინის რუსეთისთვის, რომელიც დღესაც სტალინისეულ სახელმწიფო ჰიმნს ეთაყვანება, საბჭოთა იმპერიის დაშლა “XX საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფაა”. ქართველი ხალხისთვის კი ეს ფაქტი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ხანგრძლივი ნატვრის აღსრულებას მოასწავებდა.

საქართველოსა და რუსეთს არასოდეს ჰქონიათ ერთმანეთთან სახელმწიფოებრივი ურთიერთობის გამოცდილება. სამწუხაროდ, არც ვინმე გარჯილა, რომ დროულად ესწავლებინა მათთვის ცივილიზებული მეზობლობის ანბანი.

ყველამ მიაბიჭურად დავიჯერეთ, რომ ერთხელ დამარხულ “ბოროტების იმპერიას” მესამე ათასწლეულში გაცოცხლების პერსპექტივა აღარ ექნებოდა. შევცდით?

სად ვიჩივლოთ, რეიგანი მკვდარია...

კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს დამკვიდრება ხანგრძლივი მაგრამ არა უსასრულო პროცესია. ამ პროცესის ეფექტურობა გულისხმობს არა მხოლოდ არსებული არადემოკ-

რატიული, ყალბისმქმნელი ხელისუფლებების არაძალადობრივი შეცვლის აუცილებლობას, არამედ, რაც უფრო საშუაია, საზოგადოების მიერ საკუთარი ფუნქციის მკაფიოდ გაცნობიერებასა და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით მის განხორციელებას.

საზოგადოება მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ხელისუფლებისგან პატიოსანი, თავდადებული შრომა ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ინტერესებისათვის, როდესაც თავად პატიოსნად მოქმედებს ხელისუფლების არჩევის პროცესში.

ცნობილია, რომ სამართლიანი არჩევნების შედეგად ხელისუფლება გადაეცემა არჩეულ მთავრობას, ძალაუფლება კი რჩება ხალხის ხელში. მაშინ, როდესაც არჩევნების რაიმე გზით გაყალბებაში თანამონაწილეობა, საკუთარი საარჩევნო ხმით მანიპულირება, დანაშაულის ჩადენაში თანამზრახველობის ტოლფასია, რადგან ასეთი გზით ხელისუფლებაში მოსული მთავრობა კვლავ დანაშაულებრივად მიითვისებს ძალაუფლებასაც და ხალხის მიმართ მისი პასუხისმგებლობა ისევ საეჭვო გახდება.

ტოტალური სიყალბისგან და უუფლებობისგან თავის დაღწევის გზა ერთია —

ხელისუფლება მთავრობას, ძალაუფლება – ხალხს!

საქართველოს ხელისუფლების მოქმედების სამართლებრივი შეფასება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისას

შესავალი

ჩვენი მიზანია გავხილავთ 2008 წლის აგვისტოში, მანამდე და შემდგომ რუსეთის მოქმედების სამართლებრივი შეფასების დასაბუთებას. ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებში რუსეთი ფაქტობრივად თავიდანვე იყო კონფლიქტის მხარე და სეპარატისტულ ხელისუფლებათა აქტიური მხარდამჭერი. 2008 წლის აგვისტომდე მისი მოქმედება შეიძლება შეფასდეს ამ რეგიონების „მცოცავ ანექსიად“. რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს, მიუხედავად იმისა, საბოლოოდ როგორ შეფასდება რუსეთის მოქმედება, არაპროვოცირებულ აგრესიად თუ არაპროვოცირებულ პასუხად ცხინვალის რეგიონში საქართველოს მოქმედებაზე, აშკარაა, რომ რუსეთი საერთაშორისო სამართლის ნორმათა უხეში დარღვევით შემოიჭრა საქართველოში და მოახდინა მისი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია, ხოლო შემდგომ – ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და აფხაზეთის საბჭოეთის დროინდელი ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსია. ამ ორი რეგიონისა და სეპარატისტთა ხელისუფლებათა ამჟამინდელი მდგომარეობის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ ფაქტობრივი ანექსიის ფაქტი ვერ ბათილდება ვერც შემდგომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობით.

2008 წლის აგვისტოს მოვლენებისას საქართველოს ხელისუფლების მოქმედების სამართლებრივი შეფასების მიზანი არც მისი განზრახვისა და კონკრეტულ მოქმედებათა მიზანშეწონილობის შეფასებაა. ეს საკითხები წარმოდგენილი ანალიზის სხვა ნაწილებშია განხილული.

ჩვენი მიზანია სამართლებრივი თვალსაზრისით შევამოწმოთ საქართველოს ხელისუფლების მოქმედება, შევამოწმოთ, კანონიერი იყო თუ არა მისი კონკრეტული გადაწყვეტილებანი, სათანადოდ შეასრულა თუ არა მან თავისი კონსტიტუციური ვალდებულებანი და გადაწყვეტილებათა მიღებისას დაცული იყო თუ არა კანონით დადგენილი წესი.

ასეთი ანალიზი უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ვინაიდან აგვისტოს მოვლენების შედეგად არსებითად შეილახა საქართველოს სახელმწიფოსა და მისი მთავარი ნაწილის – მოქალაქეთა – ინტერესები. დავკარგეთ დამატებითი ტერიტორიები და მნიშვნელოვნად შეიზღუდა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი – მკვეთრად შემცირდა ქვეყნის უნარი, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს როგორც შიდა, ასევე საგარეო საკითხები. მასობრივად დაირღვა ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, საკუთრებისა და სხვა ფუნდამენტური უფლებები. ამის გამო 2008 წლის აგვისტოს ომი თანამედროვე საქართველოს ყველაზე დიდ ტრაგედიადა იქცა. სწორედ ამიტომ აუცილებელია გაირკვეს, მიზანშეწონილი იყო თუ არა საქართველოს ხელისუფლების მოქმედება, მათ შორის, ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით, რის გარეშეც შეუძლებელი იქნება მისი პასუხისმგებლობის ხარისხის დადგენა.

განალიზებული სამართლებრივი აქტები

2008 წლის აგვისტოს მოვლენების სამართლებრივი შეფასებისათვის აუცილებელია, ერთი მხრივ, იმის გამოკვლევა, რა მოვალეობები და უფლებები ჰქონდათ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებსა და უმაღლესი თანამდებობის პირებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების მიხედვით და, მეორე მხრივ, რამდენად შეესაბამებოდა ამავე წლის აგვისტო-სექტემბერში მათ მიერ გამოცემული

სამართლებრივი აქტები და მოქმედება შექმნილ მდგომარეობასა და მათ უფლება-მოვალეობებს. სამართლებრივი აქტები ის ისტორიული და იურიდიული მნიშვნელობის წყაროა, რომლის საფუძველზედაც შესაძლებელია, ერთი მხრივ, იურიდიული ფაქტების დადგენა და, მეორე მხრივ, ხელისუფლების გადაწყვეტილებათა შეფასება.

ბუნებრივია, ჩვენ ხელი მიგვიწვდებოდა მხოლოდ გამოქვეყნებულ სამართლებრივ აქტებზე და მტკიცებითი ფორმით არაფერი შეგვიძლია ვთქვათ გამოუქვეყნებელ ბრძანებათა შესახებ, აგრეთვე ზეპირ ბრძანებათა და მითითებათა შესახებ. ამ უკანასკნელთა თაობაზე ბევრი გვსმენია, მათ შორის, არაუფლებამოსილ პირთა მიერ გაცემულ ბრძანებათა და მათი შესრულების თაობაზე, რისი გამორკვევაც საგამოძიებო ორგანოების პირდაპირი ვალდებულებაა.

ავგისტოს მოვლენების შინაარსიდან გამომდინარე, გაანალიზდა საქართველოს კონსტიტუცია, ორგანული კანონი „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“, კანონები „საომარი მდგომარეობის შესახებ“, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულება“ (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით), აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის - უმაღლესი მთავარსარდლის, საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და თავდაცვის სამინისტროს მიერ 2008 წლის 1 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე (კრიზისის ყველაზე ცხელი პერიოდის დროს) გამოცემული სამართლებრივი აქტები.

სამხედრო ძალების გამოყენების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 98-ე მუხლის თანახმად, „თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა“ და მას ჰყავს სამხედრო ძალები **„ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად“**.

რადგან განსახილველ შემთხვევაში საქმე არა გვაქვს საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებასთან, ამიტომ სამხედრო ძალების გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად:

- ან თავდაცვითი ომისათვის, რისთვისაც აუცილებელია ქვეყანაზე თავდასხმის ან მასთან გათანაბრებული ფაქტის არსებობა,
- ან საგანგებო მდგომარეობის დროს მისი „შედეგების ლიკვიდაციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის“ [კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, მუხლი 9].

2008 წლის 1 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე საქართველოს არც ერთ ნაწილში საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადებულა. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც ამ პერიოდში, ასევე მანამდე, ცხინვალის რეგიონში არსებული მდგომარეობა, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად [მუხლი 73.1.თ], იძლეოდა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საფუძველს. მითითებული მუხლი ადგენს: „საქართველოს პრეზიდენტი: ... ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ... დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად“.

მაშასადამე, ამ პერიოდში სამხედრო ძალების გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ თავდაცვითი ომისათვის. თავდაცვის უფლება კი წარმოიშობა მხოლოდ ქვეყანაზე თავდასხმის ან მასთან გათანაბრებული ფაქტის არსებობის შემთხვევაში.

თავდაცვის უფლების გამოყენება ნიშნავს იმას, რომ არ დაუშვა და აღკვეთო უცხო ქვეყნის ჯარების ინტერვენცია (შემოჭრა) საკუთარ ქვეყანაში, უცხო ქვეყნის ჯარების მიერ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია.

თავდასხმას გაუთანაბრებოდა ისეთი მდგომარეობა, როდესაც კონფლიქტურ რეგიონებში ჩვენი თანხმობით მყოფი რუსეთის ფედერაციის ე.წ. სამშვიდობო ძალებისთვის მშვიდობისმყოფელთა სტატუსის ჩამორთმევის შემდეგ ისინი მაინც არ დატოვებდნენ საქართველოს ტერიტორიას ამისათვის განკუთვნილ დროში. ამ შემთხვევაში მათი დარჩენა გაუთანაბრებოდა ოკუპაციას (ოკუპაცია ნიშნავს ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნებართვოდ ყოფნას და მისი მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის ფაქტობრივ კონტროლს). ყოფილი „სამშვიდობოების“ უნებართვოდ დარჩენა და მათ მიერ ჩვენი ტერიტორიის ფაქტობრივი კონტროლის გაგრძელება გაუთანაბრებოდა საქართველოზე თავდასხმის ფაქტს და წარმოიშობოდა თავდაცვითი ომის სანარმოებლად სამხედრო ძალების გამოყენების უფლება. მით უმეტეს მაშინ, თუ „სამშვიდობოების“ დაცვის საბაბით ან მათი განდევნის აღსაკვეთად რუსეთის ფედერაცია დამატებით შეიარაღებულ ძალებს შემოიყვანდა.

რადგან საქართველოს ხელისუფლებას 2008 წლის 28 აგვისტომდე არ შეუწყვეტია ის ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზედაც კონფლიქტურ რეგიონებში იმყოფებოდნენ რუსეთის ფედერაციის ე.წ. სამშვიდობო ძალები, ამიტომ ამ თარიღამდე კონფლიქტურ რეგიონებში მათი ყოფნა ვერ ჩაითვლება ოკუპაციად და, შესაბამისად, თავდაცვის უფლების წარმოშობის საფუძველად*.

მაშასადამე, დარჩა ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა სამხედრო ძალების გამოყენებისა და საომარი მოქმედების უფლება. ეს არის საქართველოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ინტერვენციის შემთხვევა.

ამრიგად, იმ კითხვებზე პასუხის გასაცემად, კანონიერად დაინყო თუ არა საქართველოს ხელისუფლებამ სამხედრო ძალების გამოყენება (საომარი მოქმედება) და სათანადოდ შეასრულა თუ არა მან კონსტიტუციითა და კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობა, არსებითია საქართველოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ინტერვენციის ზუსტი დროის დადგენა.

საქართველოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ინტერვენციის თარიღი

უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, რას ნიშნავს სამხედრო ინტერვენცია ანუ შეიარაღებული თავდასხმა. თავდასხმად ჩაითვლებოდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საფრენი აპარატების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვა, საქართველოში სახმელეთო გზით (მაგალითად, როკის გვირაბით) სამხედრო ნაწილების შემოყვანა, საჰაერო დესანტის გადმოსხმა და ა.შ. შესაბამისად, ოკუპაცია, როგორც ინტერვენციის შედეგი, გამოვლინდებოდა ამ ძალების მიერ ჩვენი ტერიტორიის ნაწილის უნებართვოდ დაკავებასა და ფაქტობრივ კონტროლში.

2008 წლის 7 აგვისტომდე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საფრენი აპარატები არაერთხელ უნებართვოდ შემოჭრილან საქართველოს საჰაერო სივრცეში. მაგრამ ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ არც 6 და არც 7 აგვისტოს მათ საქართველოს ტერიტორია არ დაუბომბავთ. ამ რიცხვებში რუსეთის ფედერაციას ცხინვალის რეგიონში არც საჰაერო დესანტი გადმოუხსამს. რაც შეეხება როკის გვირაბის გავლით საქართველოში შემოჭრას, ეს რომ არც 6 და არც 7 აგვისტოს მომხდარა, დასტურდება

* უნდა შევნიშნოთ, რომ 2008 წლის 28 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით (დადგენილება „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ“, №243-რს) რუსეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, ეგრეთ წოდებული სამშვიდობო ძალები, გამოცხადდნენ საოკუპაციო საჯარისო შენაერთებად, ხოლო საქართველოს მთავრობის 2008 წლის 29 აგვისტოს განკარგულებით (განკარგულება „საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამშვიდობო ძალების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 18 ივლისის №3483-რს დადგენილებისა და „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 28 აგვისტოს №243-რს დადგენილებით განსაზღვრულ ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფის თაობაზე“) დაინყო „აუცილებელი პროცედურები აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიმდინარე ე.წ. სამშვიდობო ოპერაციების უსწრაფესი შეწყვეტისა და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაყვანისათვის“. ეს ნიშნავს, რომ მთავრობის განკარგულებაში აღნიშნული „აუცილებელი პროცედურების“ დასრულებამდე საქართველოში ე.წ. სამშვიდობო ძალების ყოფნა ითვლება კანონიერად (ეს არ ეხება რუსეთის მიერ დამატებით შემოყვანილ სამხედრო ძალებს).

თავად საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 9 აგვისტოს №402 ბრძანებულებით „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ“ (ეს ბრძანებულება იმავე დღეს დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა). ამ ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ „8 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის მხრიდან როკის გვირაბის გავლით საქართველოში შემოვიდა ასეულობით სამხედრო პირი და სამხედრო ტექნიკა“ (იხ. ბრძანებულების მე-3 აბზაცი). ამავე ბრძანებულებაში აღნიშნულია რუსეთის ფედერაციის საფრენი აპარატების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევისა და სხვადასხვა დასახლებული პუნქტისა თუ სამხედრო ობიექტის დაბომბვის ფაქტები 8 და 9 აგვისტოს განმავლობაში.

ამრიგად, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით, უნდა დავასკვნათ, რომ რუსეთის ფედერაციამ საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმა დაიწყო 2008 წლის 8 აგვისტოს (და არა უფრო ადრე).

საქართველოს სამხედრო ძალების გამოყენების ქრონოლოგია

საქართველოს პრეზიდენტმა-უმალესმა მთავარსარდლმა 2008 წლის 7 აგვისტოს საჯაროდ (ტელევიზიების მეშვეობით) გამოაცხადა სამხედრო ძალებისათვის ბრძანების მიცემა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით: „ტერიტორიული მთლიანობის და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენისათვის მე გავეცი ბრძანება...“. ის, რომ ეს ბრძანება სწორედ სამხედრო ძალებს მიეცა, დასტურდება ცხინვალის რეგიონში დამატებითი მძიმე სამხედრო ტექნიკის არსებობით და ამ ტექნიკიდან გახსნილი ცეცხლით. მსხვილკალიბრიანი იარაღი და რეაქტიული დანადგარები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებაში არ ირიცხება და ის შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ სამხედრო ძალების მიერ. მოგვიანებით, კონფლიქტის ზონიდან ხალხის ევაკუირებისათვის, საქართველოს პრეზიდენტმა 3-საათიანი მორატორიუმი დაანება ცეცხლის გახსნაზე. ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებია და საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი (იურისპუდენციაში „საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი“ ნიშნავს ისეთ ფაქტს, რომელიც ყველასათვის ცნობილია და, აქედან გამომდინარე, არ საჭიროებს დამატებით მტკიცებას).

ისმის კითხვა: ეს ბრძანებები ზეპირი იყო თუ წერილობითი, კონსტიტუციის ან/და კანონის რომელი ნორმის საფუძველზე გამოიცა და თუ წერილობით გამოიცა, რატომ და რის საფუძველზე არ არის ხელმისაწვდომი?

2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა-უმალესმა მთავარსარდლმა გამოსცა №402 ბრძანებულება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ“, რომელიც იმავე დღეს დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა (დადგენილება №237-რს). ამ ბრძანებულებით გამოცხადდა საომარი მდგომარეობა 15 დღის ვადით, სრული მობილიზაცია და გაიცა ბრძანება „შეიარაღებული თავდასხმის აღსაკვეთად“ საქართველოს სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ.

2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების (ე.წ. სარკოზის, მედვედევისა და სააკაშვილის 6-პუნქტიანი შეთანხმება) საფუძველზე საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეწყვიტეს სამხედრო მოქმედებები და დაუბრუნდნენ დისლოკაციის ადგილებს.

23 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის №408 ბრძანებულებით და საქართველოს პარლამენტის თანხმობით საომარი მდგომარეობის მოქმედების ვადა გაგრძელდა 8 სექტემბრამდე. ამ გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაედო რუსეთის მიერ ზემოხსენებული 6-პუნქტიანი შეთანხმების მხოლოდ ნაწილობრივი შესრულება.

3 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის №424 და №425 ბრძანებულებებით ვადამდე გაუქმდა საომარი მდგომარეობა და 4 სექტემბრიდან, 15 დღის ვადით, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა „აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო საჯარისო შენაერთების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე“. ეს ბრძანებულება იმავე დღეს დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა (დადგენილება №245-1 ს).

საქართველოს ხელისუფლების ვალდებულებები საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში

საქართველოს ხელისუფლების მოქმედების შესაფასებლად აუცილებელია ვნახოთ, ვის და რა ვალდებულებებს აკისრებს საქართველოს კანონმდებლობა საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში:

- „საქართველოს პრეზიდენტი: ... საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად“ [საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 73.1.ზ];
- „საომარი მდგომარეობა გულისხმობს საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული წესების გამოცხადებას, რაც შეესაბამება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს. საომარი მდგომარეობა ცხადდება საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კანონის მიხედვით და მიზნად ისახავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას“ [კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ, მუხლი 1];
- „1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარ მდგომარეობას აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი..
2. საქართველოს პრეზიდენტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აფრთხილებს მოსახლეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, ხოლო გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში ეს გადაწყვეტილება შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად...“ [იქვე, მუხლი 2];
- „საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში უნდა აღინიშნოს ასეთი გადაწყვეტილების მიღების მოტივი და მოქმედების ვადა“ [იქვე, მუხლი 3.1];
- 1. საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციები სახელმწიფოს თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო უშიშროების დარგში გადაეცემა პრეზიდენტს-საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდალს.
- 2. საომარი მდგომარეობის მოქმედებისას, კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი ღონისძიებანი: დროებით გაასახლონ მოქალაქეები საცხოვრებლად საშიში რაიონებიდან; ამასთან აუცილებლად მისცენ მუდმივი ან სხვა დროებითი საცხოვრებელი სადგომები, საომარი მდგომარეობის მოქმედების ადგილებში შემოიღონ მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი; “ ... [იქვე, მუხლი 4];
- „საქართველოს პრეზიდენტი: ... გასცემს ბრძანებებს სამხედრო ძალების მიერ საომარი

მოქმედებების წარმოებაზე“ [კანონი „საქართველოს თავდაცვის შესახებ, მუხლი 5.2.მ],

- „საქართველოს პრეზიდენტი: ... იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე მობილიზაციის გამოცხადების შესახებ“ [იქვე, მუხლი 5.2.ო];
- „ეროვნული უშიშროების საბჭო საქართველოს პრეზიდენტის დავალებით: ი) განიხილავს სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების საკითხებს; ნ) სამხედრო ძალებისათვის ამზადებს საქართველოს პრეზიდენტის-სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის სადირექტივო დოკუმენტებს სამხედრო ძალების მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად; ფ) განიხილავს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებულ საკითხებს; [ორგანული კანონი „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“, მუხლი 2];
- „3. ეროვნული უშიშროების საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს განსახილველ საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად.
- 4. ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ შეიმუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე საქართველო სპრეზიდენტი გამოსცემს შესაბამის აქტებს“ [იქვე, მუხლი 5].

საქართველოს ხელისუფლების მოქმედების ანალიზი

I მოვლენათა განვითარების ზემოთ აღწერილი სურათის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- 2008 წლის 9 აგვისტომდე საქართველოში არც საომარი და არც საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებული არ ყოფილა;
- რუსეთის ფედერაციამ საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმა დაიწყო 2008 წლის 8 აგვისტოს;
- საომარი მდგომარეობა გამოცხადდა 2008 წლის 9 აგვისტოს;
- საქართველოს სამხედრო ძალებმა სამხედრო მოქმედებები დაიწყეს არა უგვიანეს 2008 წლის 7 აგვისტოსი.

ამ ოთხ ფაქტზე დაყრდნობით და იმის გათვალისწინებით, თუ რა პირობების არსებობისას შეიძლება სამხედრო ძალების გამოყენება, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, **სამხედრო მოქმედებების დაწყება სამხედრო ძალების გამოყენებით იყო საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევა. გარდა ამისა, საომარი მდგომარეობა გამოცხადდა არა თავდასხმისთანავე (8 აგვისტოს), არამედ მხოლოდ მეორე დღეს, 9 აგვისტოს, რაც ასევე წარმოადგენს კონსტიტუციის დარღვევას.**

საქართველოს სამხედრო ძალების ფუნქციები და დანიშნულება მხოლოდ კონსტიტუციით არის განსაზღვრული. მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ თავდაცვითი ომისათვის, ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და საერთაშორისო ვალდებულებებთან შესასრულებლად. არ არსებობს არანაირი მითითებითი დებულება რომელიმე სხვა კანონზე და არავის, მათ შორის, არც მთავარსარდალს არა აქვს მათი სხვა დანიშნულებით გამოყენების უფლება. აქედან გამომდინარე, სამხედრო ძალების სხვა დანიშნულებით გამოყენება არის კონსტიტუციის 98-ე მუხლის უხეში დარღვევა და, შედეგების მიუხედავად, წარმოშობს პრეზიდენტის იმპიჩმენტის სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს ხელისუფლების მოქმედების ანალიზი არასრული იქნება, თუ არ გავანალიზებთ ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენელთა მცდელობას, ახსნან და გაამართლონ სამხედრო ძალების გამოყენება 7 და 8 აგვისტოს განმავლობაში. ისინი აცხადებდნენ: „ომი ჩვენ არ დაგვინყია და მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ რუსებმა მოახდინეს როკის გვირაბის ფორსირება, თავდასხმის აღკვეთის მიზნით გადავედით შეტევაზე“.

თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ საქმე გვაქვს კონსტიტუციის იმ ნორმის [მუხლი 73.1.ზ] დარღვევასთან, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს იმპერატიულად ავალდებულებს, რომ გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა საქართველოზე თავდასხმის შემთხვევაში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა პარლამენტს წარუდგინოს დასამტკიცებლად.

ეს 48 საათი მხოლოდ ამ გადაწყვეტილების პარლამენტში დასამტკიცებლად შეტანის ვადაა. ხოლო ის, რომ თავდასხმის ფაქტი არ შეიძლება დაიმალოს და რომ საომარი მდგომარეობა, მოსალოდნელი საფრთხეებიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს, ეჭვს არ იწვევს. კონსტიტუციის ამ მუხლითა და კანონებით „საომარი მდგომარეობის შესახებ“ და „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების სხვა ორგანოთა ვალდებულებები ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმისას, მათ შორის, პრეზიდენტის ვალდებულება:

- გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გააფრთხილოს მოსახლეობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, ხოლო გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში ეს გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს დასამტკიცებლად;
- საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში უნდა აღინიშნოს ასეთი გადაწყვეტილების მიღების მოტივი (ანუ უნდა დასაბუთდეს, რატომ ცხადდება საომარი მდგომარეობა) და მოქმედების ვადა;
- გასცეს ბრძანებები „სამხედრო ძალების მიერ საომარი მოქმედებების წარმოებაზე“.

ამრიგად, თუ საქართველოზე თავდასხმა მართლაც 6 ან 7 აგვისტოს, და არა 8-ში, დაიწყო, რატომ გამოცხადდა საომარი მდგომარეობა მხოლოდ 2-3 დღის დაგვიანებით, 9 აგვისტოს? ამ კითხვას შეიძლება 4 სავარაუდო პასუხი ჰქონდეს: ან საქართველოს პრეზიდენტს არ ჰქონდა ინფორმაცია თავდასხმის თაობაზე, ან სიტუაცია არასათანადოდ (არაადეკვატურად) შეაფასა, ან მოსახლეობას დაუმალა თავდასხმის ფაქტი, ან თავისთვის სავალდებულოდ არ მიიჩნია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება. მიუხედავად იმისა, რომელი პასუხი აღმოჩნდება სწორი, განსაკუთრებით მძიმე შედეგების დადგომის გამო, წარმოიშობა საქართველოს პრეზიდენტის-უმაღლესი მთავარსარდლის პასუხისმგებლობის საკითხის დასმის უფლება.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმა როდის მოხდა, 8 აგვისტოს თუ 8 აგვისტომდე, საქმე გვაქვს საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციისა და კანონების უხეშ დარღვევასთან, მისი მოქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და ამის შედეგად დამდგარი განსაკუთრებით მძიმე შედეგები წარმოშობს მისთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის (იმპიჩმენტის) დაკისრების უფლებას.

ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასთან (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული), რაც გამოიხატა სამხედრო ძალების გამოყენებაში მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი ქვეყანაზე თავდასხმის ფაქტი, ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული საომარი მდგომარეობა და, აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ არ არსებობდა სამხედრო ძალების გამოყენების უფლება. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შედეგად არსებითად დაირღვა როგორც საზოგადოების, ასევე სახელმწიფოს ინტერესები.

მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავის კონსტიტუციურ ვალდებულებათა არასათანადოდ შესრულებასთან, კერძოდ, საომარი მდგომარეობის 2 ან 3 დღის დაგვიანებით გამოცხადებასთან, რითაც დაირღვა: საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც პრეზიდენტი ვალდებულია, საქართველოზე თავდასხმის შემთხვევაში გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა (2-3 დღის დაგვიანებით საომარი მდგომარეობის გამოცხადება ვერ ჩაითვლება გონივრულ ვადად, რომელიც შეიძლება უმაღლეს მთავარსარდალს დასჭირვებოდა თავდასხმის ფაქტის/ფაქტების გაანალიზებისა და სწორი გადაწყვეტილების მისაღებად); კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმადაც „ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ“ (2-3 დღის განმავლობაში სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიუღებლობით შეილახა მრავალი ადამიანის უფლებები, რამაც უმძიმესი შედეგები გამოიწვია).

II. ცალკე უნდა გამოიყოს ზემო აფხაზეთის (კოდორის ხეობის) საკითხი. ფაქტია, რომ როგორც კი მას შეუტიეს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისა და რუსეთის ფედერაციის ძალებმა, ყველა იქ მყოფმა, როგორც მოსახლეობამ, ასევე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, წინააღმდეგობის განხრის გარეშე დატოვეს ხეობა და საქართველოს ხელისუფლებას არც კი უცდია ამ აგრესიის აღკვეთა და ზემო აფხაზეთის დაცვა. ამის შედეგად ჩვენ დავკარგეთ ტერიტორიის კიდევ ერთი ნაწილი, რომლის მოსახლეობაც ლტოლვილად იქცა. ეს მოხდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ და, ცხადია, რომ მას სრული უფლება ჰქონდა გამოეყენებინა სამხედრო ძალები თავისი კონსტიტუციური ვალდებულების – საქართველოს ამ ნაწილის დაცვის – შესასრულებლად, რაც მან არ გააკეთა. ასეთი უმოქმედობით მან დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი „უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას“. ხელისუფლებას არც კი უცდია საზოგადოებისთვის აეხსნა ასეთი უმოქმედობის მიზეზი. ეს მიზეზი აუცილებლად უნდა გაირკვეს, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული ხელისუფლების, კერძოდ კი საქართველოს პრეზიდენტის, პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი.

III. ცალკე მსჯელობის საგანია საქართველოს კონსტიტუციის 69-ე და მე-100 მუხლების მოთხოვნების შესრულება. 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი „უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას“. ამ მოვალეობის შესასრულებლად კონსტიტუცია საქართველოს პრეზიდენტს დამატებით უფლებას ანიჭებს, კერძოდ, იგი უფლებამოსილია „სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით, განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“ მიიღოს გადაწყვეტილება „სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების თაობაზე“, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად [მუხლი 100.2].

ლოგიკურია დაისვას კითხვა: იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოში სამხედრო ინტერვენცია განახორციელა ჩვენზე გაცილებით ძლიერმა სახელმწიფომ, გამოიყენა თუ არა ეს უფლება საქართველოს პრეზიდენტმა? სთხოვა თუ არა ვინმეს დახმარება და თუ სთხოვა, რომელ ქვეყანას და თუ არ სთხოვა, რატომ არ სთხოვა? თუ მას ნამდვილად სჯეროდა იმისა, რაშიც 7, 8 და 9 აგვისტოს არწმუნებდა საზოგადოებას: „როგორც ოდესღაც გამიზღო ფინური არმია, ჩვენც დავამარცხებთ რუს აგრესორებს“, მაშინ იგი პასუხისმგებელია საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის არაადეკვატური შეფასების გამო, რამაც ომში დამარცხება გამოიწვია. ხოლო თუ იგი ადეკვატურად აფასებდა საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობას, მაშინ რატომ არ სთხოვა სხვა ქვეყანას სამხედრო ძალით დახმარება? სხვა საქმეა, ამ თხოვნას რა პასუხი მოჰყვებოდა. ამ უფლების (დახმარების თხოვნის) გამოუყენებლობა უთანაბრდება კონსტიტუციით დაკისრებული მოვალეობის – ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის უზრუნველყოფის ვალდებულების – არასათანადოდ შესრულებას.

IV. ასევე ცალკე უნდა ვიმსჯელოთ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების (ე.წ. სარკოზის, მედვედევისა და სააკაშვილის 6-პუნქტიანი შეთანხმების) კონსტიტუციურობისა და მისი ამოქმედების კანონიერების თაობაზე.

იმის გამო, რომ ამ შეთანხმების ოფიციალური ტექსტი ჩვენთვის ხელმიუწვდომელია, შეუძლებელია მისი

სრულყოფილი სამართლებრივი ანალიზი და ზუსტი სამართლებრივი დასკვნების გაკეთება მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული შინაარსის საფუძველზე. ამის გარეშე კი შეუძლებელია პასუხი გაცეს კითხვას: ამ შეთანხმებით (ხელშეკრულებით) ხომ არ შეიზღუდა საქართველოს სუვერენიტეტი და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა? თუ შეიზღუდა, მაშინ ასეთი მოქმედება არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 309-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი ინფორმაციის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოაღნიშნული შეთანხმება სამხედრო ხასიათისაა. ასეთ შემთხვევაში კი საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სავალდებულოა მისი რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის მიერ. ხოლო „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თუ საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის მოითხოვს რომელიმე შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის შესრულებას, ასეთი ხელშეკრულება საქართველოსათვის ძალაში შევა მხოლოდ სათანადო პროცედურის შესრულების შემდეგ“. მოცემულ შემთხვევაში „სათანადო პროცედურა“ ამ შეთანხმების რატიფიცირებაა, რაც არ გაკეთებულა. მაშასადამე, რატიფიცირების გარეშე ამ შეთანხმების ამოქმედებით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული ნორმები.

V. განხილულ პერიოდში საქართველოს ხელისუფლების მოქმედების სამართლებრივი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს, რა როლი შეასრულა ამ პერიოდში ეროვნული უშიშროების საბჭომ და რა რეკომენდაციები მისცა საქართველოს პრეზიდენტს.

საქართველოს კონსტიტუციის 99-ე მუხლის თანახმად, ეროვნული უშიშროების საბჭო შექმნილია „სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის“. „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად კი საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზედაც საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს შესაბამის აქტებს [მუხლი 5], ანუ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტი უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია გაირკვეს, საბჭოს 6 წევრი: საბჭოს მდივანი ბ-ნი კ. ლომაია, პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ლ. გურგენიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი ქ-ნი ე. ტყეშელაშვილი, თავდაცვის მინისტრი ბ-ნი დ. კეზერაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ვ. მერაბიშვილი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ნ. გილაური აღმოჩნდა თუ არა კომპეტენტური, რომ სწორი რეკომენდაციები მიეცათ პრეზიდენტისათვის, მათ შორის, ზოგიერთი მოქმედების დაუშვებლობის თაობაზე. სამართლებრივი თვალსაზრისით სწორედ ეს პირები არიან ის ადამიანები, რომლებსაც ევალებოდათ არა მარტო რეკომენდაციების მიცემა, არამედ ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში არსებული მდგომარეობის, შიდა და გარე საფრთხეების ძირითადი მიმართულებების შეფასება და პროგნოზირება, სამხედრო ძალების საბრძოლო და სამოხილიზაციო მზადყოფნის საკითხების განხილვა, კოლექტიური უშიშროების სისტემებთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ წინადადებათა შემუშავება, განსაკუთრებულ შემთხვევაში ქვეყნის თავდაცვის მიზნით სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანისა და გამოყენების საკითხების განხილვა, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა (იხ. ამავე კანონის მე-2 მუხლი).

ლოგიკურად ჩნდება კითხვები: რამდენად სწორად იყო შეფასებული გარე საფრთხეები იმ შემთხვევისთვის, თუ ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური ნესრიგის აღდგენისთვის გამოვიყენებდით სამხედრო ძალებს? რამდენად სწორად იყო შეფასებული სამხედრო ძალების საბრძოლო და სამოხილიზაციო მზადყოფნა იმ შემთხვევისთვის, თუ მათ მოუწევდათ რუსეთის სამხედრო ძალებთან დაპირისპირება? შემუშავებული იყო თუ არა თავდაცვის სტრატეგია ასეთი დაპირისპირებისა და სამხედრო ინტერვენციის შემთხვევისთვის? იყო თუ არა საქართველო რომელიმე კოლექტიური უშიშროების სისტემის წევრი? არსებობდა თუ არა რომელიმე ქვეყანასთან წინასწარი შეთანხმება განსაკუთრებულ შემთხვევაში სამხედრო დახმარების განწვევის თაობაზე? და ამ კითხვებზე არსებული პასუხების გათვალისწინებით ვალდებული იყვნენ თუ არა ეროვნული უშიშროების საბჭოს

წევრები, უარყოფითი რეკომენდაცია მიეცათ ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენისათვის სამხედრო ძალების გამოყენებაზე? როგორი იყო მათი რეკომენდაციები საქართველოს პრეზიდენტის ანტიკონსტიტუციურ და კანონსაწინააღმდეგო გადანაცვლებათა თაობაზე?

დღემდე პასუხგაუცემელ ამ კითხვებს, ისევე როგორც ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრთა კომპეტენტურობისა და მათ გადანაცვლებათა კანონიერების საკითხებს ნათელი შეიძლება მოჰფინოს მხოლოდ ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომების ოქმების შესწავლამ. ფაქტია, რომ საქართველოს პრეზიდენტის-უმალესი მთავარსარდლის შემდეგ, სწორედ ეს 6 ადამიანია პასუხისმგებელი მიღებულ გადანაცვლებებსა და წაგებული ომის შედეგებზე.

დასკვნა

ზემოთ მოყვანილი ანალიზი, მიუხედავად იმისა, რომ პასუხგაუცემელი დარჩა არაერთი შეკითხვა, თავად საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების საფუძველზე, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ:

- თუ რუსეთის ფედერაციამ საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმა დაიწყო 2008 წლის 8 აგვისტოს, საქართველოს ხელისუფლების მიერ, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, 7 აგვისტოს სამხედრო მოქმედებების დაწყება სამხედრო ძალების გამოყენებით იყო საქართველოს კონსტიტუციის 98-ე მუხლისა და „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ კანონის უხეში დარღვევა. გარდა ამისა, საომარი მდგომარეობა გამოცხადდა არა თავდასხმისთანავე (8 აგვისტოს), არამედ მხოლოდ მეორე დღეს, 9 აგვისტოს, რაც წარმოადგენს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის დარღვევას.
- თუ რუსეთის ფედერაციამ საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმა 2008 წლის 8 აგვისტომდე დაიწყო, მაშინ საქმე გვაქვს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის იმ ნორმის დარღვევასთან, რომელიც მას იმპერატიულად ავალდებულებს, რომ გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა საქართველოზე თავდასხმის შემთხვევაში [მუხლი 73.1.ზ]. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში დარღვეული აღმოჩნდება კონსტიტუციის 37-ე მუხლიც (უფლება სრულ, ობიექტურ და დროულ ინფორმაციაზე სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ).
- საქართველოს პრეზიდენტმა, რომლის მოვალეობაა ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის უზრუნველყოფა [მუხლი 69], არ სცადა სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით გამოეყენებინა სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანისა და გამოყენების კონსტიტუციური უფლება [მუხლი 100.2], რითაც დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლი.
- 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება (ე.წ. სარკოზის, მედვედევისა და სააკაშვილის 6-პუნქტიანი შეთანხმება) საქართველოს ხელისუფლებამ შეასრულა საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირების გარეშე, რითაც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
- აღნიშნული დარღვევები და ამის შედეგად დამდგარი განსაკუთრებით მძიმე შედეგები წარმოშობს საქართველოს პრეზიდენტისთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის (იმპიჩმენტის) დაკისრების უფლებას. გარდა ამისა, მის მოქმედებაში არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების) ნიშნები.

ომის შემდგომი საქართველო განვითარების ახალი მოდელის ძიებაში

მას შემდეგ, რაც საქართველომ 1991 წელს აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მის ტერიტორიულ მთლიანობას სერიოზული საფრთხეები შეექმნა: ჯერ სამხრეთ ოსეთში, მოგვიანებით კი აფხაზეთში გაძლიერდა სეპარატისტული მოძრაობა, რომელიც გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში და, საბოლოო ჯამში, თბილისმა დაკარგა მათზე კონტროლი. თუმცა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ეჭვის ქვეშ არ დამდგარა და მთელი მსოფლიო, მათ შორის რუსეთიც, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს “de iure” საქართველოს შემადგენლობაში აღიარებდა. საქართველოსთან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა ცალმხრივად აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და იქ სამხედრო ბაზების მშენებლობა დაიწყო. შეიქმნა ახალი რეალობა, რომელიც საქართველოს სრულებით განსხვავებულ სიტუაციაში აყენებს. თუკი ვერ მოხერხდა აგვისტომდელი “status quo“-ს აღდგენა, საქართველო არამარტო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობას დაკარგავს, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის პერსპექტივაც. ასეთ ვითარებაში დღის წესრიგში დგება საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე განვითარების იმგვარი მოდელის მოძებნის ამოცანა, რომელიც შესაძლებელს გახდის საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვით რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებას.

არსებული ვითარება

90-იანი წლების დასაწყისიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა პროვინციებმა რუსეთის არაპირდაპირი სამხედრო მხარდაჭერით მოახერხეს თბილისის კონტროლიდან გასვლა. დსთ-ის ფორმატში რუსეთმა ამ რეგიონებში შეიძინა მშვიდობისმყოფელის სტატუსი და იქ სამშვიდობო ძალები განალაგა. ფაქტობრივად ე.წ. სამშვიდობო ძალები გამოიყენებოდა მოსკოვის მიერ მარიონეტული რეჟიმების უსაფრთხო არსებობის უზრუნველსაყოფად. მართალია, მოსკოვი ფორმალურად საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებდა, მაგრამ როდესაც 2001 წელს რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოიღო და ის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე არ გაავრცელა, ამით კრემლმა პოლიტიკურად პირველად გამიჯნა ეს ორი რეგიონი დანარჩენი საქართველოსაგან. მოგვიანებით კი ამ რეგიონებში მაცხოვრებლებს გამარტივებული წესით დაურიგა რუსული პასპორტები და ისინი რუსეთის მოქალაქეებად აქცია.

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შემდეგ მოსკოვმა ცალმხრივად აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საყურადღებოა, რომ კრემლს თავისი ეს ზრახვები მას შემდეგ, რაც დასავლეთის არაერთმა სახელმწიფომ კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა, სულაც არ დაუმალია. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ კოსოვოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებამდე მოსკოვი აფრთხილებდა მსოფლიოს, რომ კოსოვო შექმნიდა პრეცედენტს და ეს მას ხელფებს გაუხსნიდა ელიარებინა პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებული სეპარატისტული პროვინციების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. მიუხედავად ამისა, პრაქტიკულად წარმოუდგენელია თვალსაწიერ მომავალში მოსკოვმა უარყოს თავისი გადაწყვეტილება. მეტიც, რუსეთი იქ სამხედრო ბაზების განუსაზღვრელი ვადით შენარჩუნებას ეცდება. ამით საქართველო რუსეთთან, როგორც ოკუპანტ ქვეყანასთან, პერმანენტული ტერიტორიული დისპუტის პირობებში აღმოჩნდა. თბილისი, ცხადია, არ შეეგუება ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას და ამ ორი რეგიონის დაკარგვას. იქმნება ვითარება, რომლის მსგავსი ევროპის უახლოეს ისტორიაში არაერთი ყოფილა. თუმცა, ტერიტორიული დისპუტები სხვადასხვა პირობით გადაწყვეტილან ჯერ კიდევ გადაწყვეტის სტადიაშია. ამ ვითარებაში დღის წესრიგში დგება საქართველოს განვითარების

იმგვარი ახალი მოდელის შემუშავების საკითხი, რაც საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს უკეთესად უზასუხებს. აღნიშნული თვალსაზრისით, ყველაზე თვალსაჩინო სამი ევროპული სახელმწიფოს — ფინეთის, სერბეთისა და კვიპროსის — გამოცდილება ჩანს. უდავოა, რომ თითოეულ მათგანს თავისი ძლიერი და სუსტი მხარე აქვს. მიუხედავად ამისა, მათი სათანადოდ შესწავლა სასარგებლოდ გვეჩვენება.

შესაძლებლობები

ფინეთის გამოცდილება საქართველოსათვის პრინციპულად მიუღებელია, რადგანაც, როგორც ცნობილია, ნომინალური სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის საბჭოთა კავშირის სამხედრო და დიპლომატიური წნეხის ქვეშ მყოფი ფინეთი იძულებული შეიქმნა არაერთ დათმობაზე წასულიყო. კერძოდ, გასული საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში მეორე მსოფლიო ომის დროს წარმოებული ომების შედეგად ფინეთმა საბჭოთა კავშირს ქვეყნის ტერიტორიის 10% დაუთმო. თუმცა, ამ ფასად მოპოვებული მშვიდობის პირობებში ფინეთმა მოახერხა ეკონომიკური განვითარების სწორი კურსის შემუშავება და დღეს იგი ევროპის ერთ-ერთი მონივრულ სახელმწიფოა. თვალსაჩინო მომავალში ქართული საზოგადოება, მენტალური თავისებურებებისა და ისტორიული მეხსიერების გათვალისწინებით, ვერ შეეგუება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვას. აქედან გამომდინარე, საქართველო ტერიტორიების დათმობის ფასად განვითარების გზას ვერ აირჩევს. მით უმეტეს, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს პრაქტიკულად მთელი დანარჩენი მსოფლიო.

სერბეთის მაგალითი ოდნავ განსხვავებულია. მას შემდეგ, რაც 2008 წლის თებერვალში აშშ-მ და ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ბელგრადის თანხმობის გარეშე აღიარეს მისი ტერიტორიის ნაწილის – კოსოვოს – დამოუკიდებლობა, დაიწყო სერბეთის დაჩქარებული წესით ევროპეიზაცია. სერბეთს, როგორც ბალკანეთის საკვანძო ქვეყანას, სათანადო სურვილის შემთხვევაში პრაქტიკულად დაპირდნენ ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში სრულ ინტეგრაციას. მასთან ევროკავშირს უკვე ხელმოწერილი აქვს სტაბილიზაციისა და ასოციაციის შეთანხმება და, გარდა ამისა, უკვე საუბრობენ სერბეთსა და შენგენის ზონას შორის უვიზო მიმოსვლის რეჟიმზე გადასვლაზე. ამავ დროს, ყველა აცნობიერებს, რომ სერბეთის მხრიდან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების გარეშე შეუძლებელია არათუ სერბეთის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, არამედ ბალკანეთში გრძელვადიანი მშვიდობისა და უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბება. არადა, ჯერ-ჯერობით სერბეთის ყველაზე პროდასავლური ძალებიც კი არ არიან მზად კოსოვოზე ხელის აღებისთვის. ამიტომ ხდება სერბეთის ერთგვარი “ჩათრევა” ევროპეიზაციის პროცესში, რათა დროთა განმავლობაში სერბეთს იმდენად აღეძრას მადა ამ პროცესის გაღმავებისა, რომ დილემის წინაშე დადგომის შემთხვევაში უარიც კი თქვას კოსოვოზე. მიუხედავად იმისა, რომ სერბეთს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში განევრიანების სახით მნიშვნელოვან თავლაკვერს სთავაზობენ, საქართველოს შემთხვევაში ეს სცენარი, ზემოთაღნიშნული მიზეზების გამო, ვერ განხორციელდება.

აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოსკოვის დაუფარავი მიზანია მსოფლიო დაიყოლოს ერთის მხრივ კოსოვოსა და მეორეს – კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილი სიტუაციის გაიგივებაში. ამ თვალსაზრისით საქართველოსათვის აბსოლუტურად მიუღებელია, რომ მის მიმართ ჩამოყალიბდეს ისეთივე მიდგომა, რაც სერბეთის მიმართ გამოიყენება. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ რუსეთის გარდა მთელი ცივილიზებული სამყარო დაინტერესებულია, რომ კოსოვოს პრეცედენტი არ იქნეს გავრცელებული არა მარტო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, არამედ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში არსებულ შიდასახელმწიფოებრივ ეთნიკურ-ტერიტორიულ დაპირისპირებებზეც.

კვიპროსის გამოცდილება კი ყველაზე უფრო მეტად შეიძლება გახდეს ომის შემდგომი საქართველოსათვის გასაზიარებელი. 30 წელზე მეტი ხნის წინ კვიპროსის ჩრდილოეთი ნაწილი თურქეთის სამხედრო ძალების დახმარებით გაემიჯნა ნიქოზიას, რასაც მოჰყვა ჩრდილოეთ კვიპროსის დამოუკიდებლობის აღიარება ანკარის მიერ. მას შემდეგ მსოფლიოს არცერთ სახელმწიფოს ამ გადაწყვეტილებისთვის მხარი არ დაუჭერია. კვიპროსში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა და საბაზრო რეფორმებმა მას მისცა შესაძლებლობა არსებითად აემალლებინა კეთილდღეობის დონე, გამხდარიყო ევროკავშირის წევრი და, შედეგად, გამხდარიყო აშკარად მიმზიდველი ჩრდილოეთ კვიპროსის ერთ დროს სეპარატისტულად განწყობილ მოსახლეობისათვის. საყურადღებოა, რომ როგორც თურქეთი არ არის ევროკავშირის წევრი, ასევე არც რუსეთი არ არის ევროკავშირის წევრი და, უფრო მეტიც, არც იქნება მომავალში.

21 საუკუნეში კვიპროსის გზით სიარული შესაძლოა ბევრად უფრო ქმედითიც კი იყოს, რადგან თავად ბრიუსელი სთავაზობს არა მარტო ფინანსურ დახმარებას თბილისს, არამედ ე.წ. “აღმოსავლეთის პარტნიორობის” ინიციატივის ფარგლებში მზადაა საქართველოსთან უახლოეს მომავალში გაამარტივოს სავიზო მიმოსვლის პროცედურები და გადავიდეს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე.

დასკვნა

აუცილებელია, რომ თბილისმაც და ბრიუსელმაც გაითავისონ, რომ რუსული აგრესიისა და მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ საქართველოს დემოკრატიულ განვითარებისათვის არ აქვს სხვა არჩევანი, თუ არა კვიპროსის გამოცდილების გაზიარება. უფრო მეტიც, სასურველია, რომ ევროკავშირმა საქართველოსათვის შემოთავაზებული “აღმოსავლეთის პარტნიორობის” ფარგლებში ფინანსური დახმარების პაკეტში გააძლიეროს მოთხოვნები, რომელთა შესრულებაც საქართველოს მაქსიმალურად დაახლოებს ევროკავშირთან.

ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება აშშ-ის როლს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებაში. ამ მიზნით აუცილებელია ვაშინგტონსა და ბრიუსელს შორის საქართველოსთან მიმართებაში მოქმედებათა კოორდინაციის ამაღლება, რათა აშშ-ის საქართველოსადმი ფინანსური დახმარების პოლიტიკა ჰარმონიზირებული იყოს ევროკავშირის დახმარების პროგრამებთან.

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება უნდა იყოს პრიორიტეტული საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისათვისაც, მათი პროგრამების პირობებიც სრულ თანხვედრაში უნდა იყოს ბრიუსელის მიერ თბილისისადმი შეთავაზებული პირობებისადმი.